ღირებულებების დაცვის გამო, რომელიც თემმა დაივიწყა (ან დროებით დაივიწყა), ან, სხვაგვარად, – სოციალური თანაცხოვრების ეთიკური კანონის სიმეტრიულობის დაცვის გამო („ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ, / მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი“...). თავისი დროსივრციდან გაძევებულ ალუდას ვაჟად დიდ დროში – კოლექტიურ მეხსიერებაში – დაუდებს ბინას. ალუდა მითში გადადის იმით, რომ მისი ქმედება განმეორდება სიტყვაში ისევე, როგორც „სტუმარ – მასპინძლის“ გმირების შეხვედრის რიტუალი და მასთან, მეგობრობის, თავგანწირვისა და ერთგულების ხსოვნა განმეორდება. რაც შეეხება „ალუდა ქეთელაურის“ ფინალის შეტყობინებას, იგი სწორედ ტრაგიკული გამოთხოვების სურათშია ფიქსირებული და ორიენტირებულია წარმავალ და მარადიულ („ერთხელ“ და „სამუდამო“) დროთა თანაფარდობისა და დიალექტიკის გააზრებაზე. ალუდას წასვლა ტოვებს კვალს, რომელიც მატერიალურად აუცილებლად წაიშლება თოვლის ნამქერში, მაგრამ თითქოს სწორედ ამის საპირწონედ – დარჩება მეხსიერებაში. ამ ფიზიკურ მოცემულობას ვაჟა საგანგებოდ უსვამს ხაზს ისევე, როგორც ქალის მოთქმა-ტირილის ხმას: „ერთი მაისმა შორითა/ მწარე ქვითინი ქალისა“. ამ, ქრობისკენ მიმართული დინამიკით ვაჟა პაუზისთვის გვამზადებს, რეალობიდან მითში გადასასვლელად მას აუცილებლად სჭირდება სიჩუმე. ჩვენ უნდა შევიგრძნოთ და მოვუსმინოთ იმ სიჩუმეს, რომლის შემდეგაც იწყება მითი.

ალუდას წასვლით სრულდება დროის რომელიღაც ციკლი, რომელსაც იმ წუთას სახელი არ ქვია და რომელიც სახელის შერქმევას ელოდება. მთიელთა ცხოვრებაში ეს ამიერიდან იქნება „ალუდას დრო“. ამაზე მიაწინებს ზამთრის სურათიც – „უხმოდ მეტყველი ბუნება“ (გოეთე), რომელიც ჩართულია ამ პროცესში და აღბეჭდავს გარდა-ცვალების მომენტს. უკანასკნელ წამს ალუდას, შესაძლოა, ერთადერთი რეალური თანამოსაუბრე ჰყავდეს ბუნების სახით, როგორც სიცოცხლის ხატი, სამზერი, სამზეო: „მშვიდობით საჯიხვეებო, გამახარელნო თვალისა“. მაგრამ ეს მაინც არაა ალუდას ანთროპოლოგიური მოცემულობების სიმბოლო ან, თუნდაც, ალეგორია. ესაა სამყაროს „ყოვლისმომცველი თანაგრძობის“ (სტოიკოსთა ტერმინით) რწმენა, რომელსაც ფრეზერი „სიმპათეტურს უწოდებს“. ეს განცდა, რომელიც, კასირერის აზრით, „რელიგიის ერთ-ერთი უმტკიცესი საყრდენია“ (კასირერი 1983: 158), ვაჟასთან ხორცს ისხამს ადამიანისა და ბუნების უხილავი კავშირის ეპიფორაში, რომელსაც საფუძვლად უდევს სიცოცხლის ყოვლისმომცველი გენეზისური ერთიანობის რწმენა, სხვადასხვა რანგის (ადამიანისა და ბუნების) მოვლენათა შინაგანი და უხილავი, შეგრძნების დონეზე მოხელთებული ჰომოლოგიურობის განცდა. ვაჟა არ ცდილობს ამ განცდის აბსტრაგირებას, პირიქით, იგი ცდილობს მის გაცოცხლებას პოეტური გარდასახვის გზით. ეს შემთხვევა უფრო ვაჟას პოეტური აზროვნების სინთეზურ ხასიათზე მიგვითითებს, ვიდრე ანალიტიკურზე და ადასტურებს ერნსტ კასირერის დაკვირვებას, რომ „მითოსური აზროვნების ზოგადი წანამძღვარია სიცოცხლის ფორმათა საერთო „წარმომავლობა“ (კასირერი 1983: 138).

ვაჟას შემთხვევაში ბუნების სურათი მითის შესაქმნელ დამატებით სტრუქტურადაა გამოყენებული.. მაგ., „სტუმარ– მასპინძლის“ ფინალში ვკითხულობთ: „*მაგრამ წამოვა ჯანლი რამ, /კურუმად შავის ფერთა,/ დაეფარება სანახავს /წერა– მწერალის წერთა. / ზედ აწევს ჯადოსავითა, ვერც შეულოცავს მლოცავი/, არც აიხდება ხელითა“*. ვაჟა აქ არაორაზროვნად ლაპარაკობს მოულოდნელად გაჩენილ დაუძლეველ ბნელ ძალაზე, რომელსაც ბუნების მოვლენის სახე აქვს („ჯანლი რამ“) და რომლის წინაღობამაც ცისქვეშეთში არავის ძალუძს. ასევე, თოვლი და ქარბუქი, ზვავი და ყინული, რომელიც ხერგავს ალუდას სავალ გზას და ფარავს ალუდას რეალურ კვალს – არამხოლოდ ალუდას სულიერი მდგომარეობის ამსახველი სტილური ხერხია, არამედ მითოსური ელემენტის გამაძლიერებელი აზრობრივი სტრუქტურაც. როცა ვაჟა ალუდას გამოთხოვებას ზამთარს უკავშირებს, იგი უშვებს პირობითობის მაღალ ხარისხს, რომელშიც რეალურ და ფსიქოლოგიურ დროთა კორელაციის სურათის ესთეტიკური მნიშვნელობა ძალზე ღრმაა.

ის, თუ როგორ გადის არენიდან ალუდა, დამატებითი მნიშვნელობების შემცველია და ვაჟა ამ მნიშვნელობის განსახიერებას ახდენს რიტმით, ქცევით, ბუნების სურათით, ალუდას გამოსამშვიდობებელი სიტყვით, მთელი ფინალური კადრის საერთო სულისკვეთებით. უპირველესად, ალუდას სახის გამითიურებას საფუძველს უმზადებს სიტუაციის ტრაგიზმი: *გამძვინვარებული ზამთრის სურათში ვაჟა თითქოს განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ აზრს, რომ ყველა გზა შეკრულია: „თოვლი თოვს, ქარი ბობოქრობს, /ყვლებ შაკრულა მთებისა, / ჩამოდის ხევად ზოვები, /ჩამონასხლექნი კლდებისა./ გაუბამ ყინულს ლურჯადა/ უბე-კალთები წყლებისა,/ მიუნაქრია ერთიან /ვინრო სავალი გზებისა“*. ამ სურათს ვაჟა იქვე მოაყოლებს კითხვა– რეპლიკას: *„ვის მასწყენია სიცოცხლე, / გზას ის ვინ გაუდგებისა?“* ამ კითხვით ვაჟა უკვე იმ კაცის პორტრეტს ხატავს, ვინც მზადაა უგზობაშიც გაიგნოს გზა, რაც სხვა არაფერია, თუ არა არაპირდაპირი (ასოციაციური) მინიშნება ალუდას არაადამიანურ ძალისხმევაზე, ატაროს თემის სასჯელი ღირსეულად. ვაჟას სურვილია, ალუდა დაუმარცხებელი დაგვანახოს სასჯელში. დავაკვირდეთ: ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი ჩქარობს: *„დედა ეტყოდა ალუდას:– შვილო, იარე ნელაო, / შენთან ვერ გავძლებთ ვერც მენა,/ ვერც შენი ცოლი ლელაო“*. საით იჩქარის ალუდა? ყოფით და რეალისტურ პლანში – სადაღაც, სადაც უნდა გააგრძელოს ცხოვრება ოჯახთან ერთად, წარმოსახვით-მითოსურზე კი – სხვა სივრცეში, შესაბამისად, სხვა დროში. ალუდას მიერ სასჯელის, როგორც დამარცხების მიუღებლობა და მისი ენერგიული ქცევა, როგორც დაუმარცხებელი სულის ფიზიკური გამოსახულება, მითში გადასვლისათვის ალუდას სახის მზადყოფნაზე მიგვანიშნებს.

კონცეპტისა და ნიშნის ურთიერთმიმართებაზე ბარტი წერს: *„ყოვლად მცირე ფორმაც (სიტყვა ან ჟესტი – უნებლიეც კი – მთავარია, ის აღქმული იქნას) შეიძლება იქცეს ძალზე ღრმა ისტორიით დატვირთული კონცეპტის აღმნიშვნელად (Барт 1989: 85).*

ალუდას კონცეპტი ღიადდება შესაძლო ინტერპრეტაციებისათვის და ამითაც ემსგავსება იგი მითოსურ გმირს. ადამიანის ამ ტიპის მდგრადობა ისტორიაში, მისი განმეორებადობა სრული პირობაა საიმისოდ, რომ ლიტერატურულ და მითოსურ გმირთა სახეებმა ერთმანეთი გადაკვეთონ და ჩაენაცვლონ კიდევ. ასე ხდება ვაჟას გმირების შემთხვევაშიც. სწორედ ეს იძლევა შესაძლებლობას, ალუდასა და ჯოყოლას ამბავი საზოგადოებისა და პიროვნების დაპირისპირების უფრო ფართო და ზედროულ კონტექსტში იქნას წაკითხული.

„ვაჟა მითიურ სივრცეში იყო მოქცეული. მითოსი მისთვის დედიშობილა იყო“ (რობაქიძე 2012: 282). ამდენად, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ მითი, როგორც „ლიტერატურის სტრუქტურული ელემენტი“ (ნორტროპ ფრაი), ვაჟას თითქმის ყველა პოემაში პრევალირებს. ამ სტრუქტურის სიგნიფიკანტი, მისი ვერბალური აღმნიშვნელია სიტყვა „ამბობენ“, „იტყვიან“ („ხალხში ამბობენ, მთაშია /დარბის, დახვივის ცხენიო“ – „გიგლია“; „ამბობენ, ქვითინი მოდის /ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა“ – „გოგოთურ და აფშინა“); „საკვირველს ამბავს იტყვიან/ამ ადგილს ნანახისასა“ – „ეთერი“; „ამბობენ: შააძლებინა /სნეულსო ფეხზე დადგომა“ – „ბახტრიონი“; „ამბობენ: თოფიც არუქა“... – ძალღიკა ხიმიკაური“; „ამბობენ თუშეთს წასულსა, /გამოუცვლია სახელი“ – „მანდილი“, და ა.შ.). „ამბობენ“ – იდუმალებას ანიჭებს ამბავს თავისი ორმაგობით – იყო და შესაძლოა, არც იყო. ნამდვილად არის სიტყვაში, მაგრამ იყო თუ არა რეალობაში? ესაა კოლექტიური მეხსიერების აღმნიშვნელი, რომელიც კოლექტიურ ზმანებას ასახელებს. „ამბობენ“, „იტყვიან“ – მიეკუთვნება ყველა დროს და კონკრეტულად არც ერთს. იგი მოიცავს წარსულსაც, რომელიც ახლა ითხრობა, აწმყოსაც, და მომავალსაც, რომელიც აუცილებლად მოხდება. ესაა არა ის, რაც ოდესღაც მოხდა და დასრულდა, არამედ ის, რაც ყოველთვის არის და იქნება. „ვაჟას ენგადში“ გრიგოლ რობაქიძეს მოჰყავს სალუსტის სიტყვები მითზე: „ეს არასოდეს ყოფილა, მაგრამ ყოველთვის არის“ და განაგრძობს: „იგულისხმება: არ ყოფილა ისტორიულად, არის – ზეისტორიულად. სალუსტის ფორმულას ეხმიანება ამაირებით ქართული ზღაპრის დაწყება: „იყო და არა იყო რა“ (რობაქიძე 2012: 269). მითი – ესაა სივრცე ჩვენს გვერდით, რომელიც სხვა განზომილებაში არსებობს, ესაა კოლექტიური წარმოსახვითი ზედროულის განსივრცება და ვერბალიზაცია.

სწორედ კოლექტიური, სისტემური გამოცდილებიდან ინდივიდუალური გადახვევა ქმნის მითს. ოღონდ ესაა ის განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც არასდროს რჩება ინდივიდის გამოცდილების დონეზე, კოლექტიურ მეხსიერებაში იკავებს ადგილს და ადამიანთა საერთო გამოცდილებად იქცევა. ალუდა ქეთელაურის სახეში ისევე, როგორც ჯოყოლაში ხელახლა ცოცხლდება ყველა ამბობებული და დასჯილი გმირის არქეტიპული სახის ინვარიანტული სტრუქტურა და ვაჟა ფრთხილად გვანოძებს თავისი გმირების ამ ასპექტს ერთი შეხედვით რეალისტურ თხრობაში. მითის გზით ვაჟა უბრუნდება დიად პირველსაწყისს, შეჰყავს სიტყვა მარადისობაში, ქმნის ისეთ მნიშვნელობებს, რომლებიც გაუძლებს დროს. ვაჟა ხატავს ტრაგედიას, რომელიც მოსდევს

თემთან დაპირისპირებას. ამისდა მიუხედავად, დაპირისპირება ყოველთვის მეორდება. ეს გამეორება ანიჭებს გმირის ქმედებას მითის ხასიათს. ის რაც ყოველდღიურობის ნაწილი იყო, აწმყოდან მარადიულ დროში განიფინება (სხვათა შორის, ალუდას სახის სწორედ ეს მითოსური პოტენციალია „დაჭერილი“ გურამ რჩეულიშვილის ლიბრეტოს „ალუდა ქეთელაურის“ ფინალურ სცენაში: „ყველაფერი გახლებულია. ელვაზე ქეთელაურის ზურგის სილუეტი ჩანს, რომელიც კიდეც მაღლა მიდის“ (რჩეულიშვილი 2006: 345).

ერნსტ კასირერი გაიხილავს ანრი ბერგსონის ფილოსოფიურ მოძღვრებას ადამიანის ეთიკური არსებობის მამოძრავებელ პრინციპებზე. ძალთა ორ პოლუსს ბერგსონი შეუსაბამებს რელიგიის ორ ფორმას – სტატიკურსა და დინამიურს და საუბრობს მათ სრულ შეუთავსებლობაზე: „ბერგსონის აზრით, ადამიანის ეთიკური ცხოვრებაც უკუფენაა აქტიური და პასიური მტაფიზიკური პრინციპების შეჯახებისა. ასევე, სოციალური ცხოვრებაც იმეორებს და ასახავს ორგანული სამყაროს უნივერსალურ პროცესს. სოციალური არსებობა ორი საპირისპირო ძალით არის განსაზღვრული: ერთი მოქმედებს სინამდვილის ამჟამინდელი მდგომარეობის შენარჩუნებისთვის (იგულისხმება მატერიის მექანიკური ძალა, მატერიის სიზანტე – მ.კ.), მეორე კი იბრძვის ადამიანური არსებობის ახლებური, დღემდე განუხორციელებელი ფორმების დასამკვიდრებლად (შემოქმედებითი, მაფორმირებელი ძალა – მ.კ.). პირველი მისწრაფება დამახასიათებელია სტატიკური, მეორე კი დინამიური რელიგიისათვის. რელიგიის ამ ორ სახეს ვერასოდეს ვერ დავიყვანთ მათ საერთო მნიშვნელზე“ (კასირერი 1983: 147– 48). თუ ალუდას სახეს ბერგსონის ამ მოსაზრების ფონზე წავიკითხავთ, აშკარაა, რომ ალუდა, როგორც ადამიანის ტიპი, დინამიური რელიგიის აღმსარებელთა რიგს მიეკუთვნება. ამის ყველაზე მკაფიო დადასტურებაა ალუდას ძალზე უცნაური და თემისთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელი გადაწყვეტილება, საკუთარი ხელით შესწიროს სამსხვერპლო მუცალის „დასამწყალობლებლად“, რაც აღიქმება კიდეც გაუგონარ მკრეხელობად ხევისბერ ბერდიას მიერ („-გაგონილაა, -იძახდა, -/ ასრე აგდება რჯულისა“), რომელიც პოემაში თემის სტატიკური რელიგიის დამცველად გვევლინება. სწორედ ამ „დაუყვანლობაზე“ მიანიშნებს მას ალუდა სიტყვებით: „მითომ ერთნი ვართ, ბერდიავ“.

ვაჟას პერსონაჟების ჰუმანიზმი მხოლოდ ერთი, ცალკეული ადამიანის ამბოხია, რომელიც მთელი სიცხადით ააშკარავებს ვერშემდგარი თუ განუხორციელებელი სოციალურ-კოლექტივისტური უტოპიის ტრაგიზმს – ერთის მხრივ, და ჯგუფური ცხოვრების წიაღში ჩასახული, სულიერი სიზანტის დაძლევისა და თავისუფალი პიროვნული არსებობის მოპოვების შეუპოვარ ნებას – მეორეს მხრივ. ამ ორ საწყისს შორის წინააღმდეგობა ვაჟას დაძაბული ფიქრის საგანია. ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ მისი ინდივიდუალისტი გმირები საერთოდ უარს ამბობენ კოლექტივისტურზე. ფინალში გარკვევით იკითხება ალუდას შინაგანი სულიერი დრამა, რომელიც გამოწვეულია იმ ერთიანობის რღვევით, რაც ალუდასა და თემს შორის არსებობდა. სხვათა შორის,

ამ კავშირის გაუბრალოებად, მომხმარებლურ დამოკიდებულებამდე დაყვანად აღიქვამს ალუდა დედის სიტყვებს: „*ნეტავ არ დასჭირდება/ ხევსურთა შენი შველაო?!*“ ალუდამ იცის, რომ იმის წინაშე, რაც მოხდა, თემიც ისევე უძლურია, როგორც თვითონ, ამიტომაც უბრაზდება ქალებს: „*ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, / ნუ გადიქცევით ცეტადა!*“. ამიტომ იბრძვის ჯოყოლა მარტო, თემისგან უარყოფილი, იმავე თემის დასაცავად. ამასვე ადასტურებს ალაზას სიკვდილისწინა ფიქრიც: „*ორთავ შევცოდეთ ქისტებსა,/ მათ შამიჩვენეს ქმარია... მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს/ უცხოთვის ცრემლი ვღვარია*“.

რაც შეეხება ალუდას ბოლო სიტყვებს, ეს არაა ჩვეულებრივი დამშვიდობება. ჩნდება განცდა, რომ ვაჟა ალუდას შექცევად ანუ მითოსურ დროში გადასასვლელად ამზადებს. გამომშვიდობება გადასვლის სურათის წინა, მსხვილი პლანია. ვაჟა მას რიტუალურ-სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს და „სამუდამოს“ ნიშნით აღბეჭდავს („*ერთხელ მაუნდა ალუდას,/ ერთხელ მობრუნვა თავისა*“). თავის ეს „ერთხელ მობრუნება“ წარმოადგენს ყველა იმ მოძრაობის არქეტიპს, რომელიც მარადიულად ხდება და რომელიც გამოხატავს ყოველნაირი ცვლილების არსს, მათ შორის ისეთი რადიკალური ცვლილებისაც, როგორიცაა გარდა-ცვალება. ბრუნვა, შემობრუნება – მარადიულობის ნიშნით აღბეჭდილი მოძრაობაა, ერთი წრის დასრულების ნიშანი. იგი მარადგანმეორებადია მაშინაც კი, როცა „ერთხელ“ ხდება. ალუდა ქეთელაურზე შექმნილი მომავალი მითის ქსოვილი სწორედ ამ „ერთხელ“-ზეა შემოგარსული ისევე, როგორც „ამბობენ“-ში სტრუქტურირებულია თხრობის, მოყოლის არქეტიპი. ის, რასაც „ამბობენ“, ანუ სურათი, რომელსაც ვაჟა „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალში ხატავს, მეორდება ყოველ ღამე და წარმოადგენს მეგობრობისა და ურთიერთგატანის რიტუალს, ხოლო ის, რასაც ალუდა აკეთებს – თავის მობრუნება – ასევე რიტუალური დატვირთვისაა, რადგან ხდება ერთხელ, მაგრამ სამუდამოდ. ორივე განსაკუთრებული და ადამიანისათვის აუცილებელი გამოცდილების დამახსოვრების რიტუალია. აქ „ერთხელ“-ს და „ღამ-ღამ“-ს (ყოველ ღამე) შორის, დროის აღმნიშვნელთა მოჩვენებითი ოპოზიციურობის მიუხედავად, არ არსებობს პრინციპული ხასიათის სხვაობა, ანუ დროის თვალსაზრისით, ის, რაც ხდება ერთხელ, სამუდამოდ ხდება; ხოლო ის, რაც მეორდება, უცვლელად ერთსა და იმავე სურათს წარმოადგენს. ასე რომ, ალუდას ფინალური ხატი გამომშვიდობების არქეტიპის შენელებული კადრია, „სტუმარ-მასპინძლისა“ კი – გამრავლებული ერთი და იგივე. **ესაა ერთხელ – სამუდამოს ნიღბით და სამუდამო – ერთხელ-ის ნიღბით.**

დავაკვირდეთ: ვაჟა არ ამბობს, ალუდას დამშვიდობება მოუნდაო, ის ამბობს, ერთხელ მოუნდა თავის მობრუნებაო. ვიზუალური ასპექტის აქცენტირებით ის გვიჩვენებს, ჩვენებას გვიამბობს და არა ოდენ ამბავს. ეს გათვალსაჩინოება „მუშაობს“, როგორც ხატი, მითი კი სხვა არაფერია, თუ არა იმპლიციტური ხატი. სწორედ ამ „თავის მობრუნებით“ იქმნება ის დამატებითი მნიშვნელობა, რომელიც ამ მოძრაობას ზედროულ სახეს ანიჭებს. სწორედ

„ერთხელში“ მარხია ის ეგზისტენციალური მუხტი, რომელიც ახლავს სიცოცხლესთან დამშვიდობებას, გნებავთ, უკანასკნელ მისაღმებას. ვაჟა ხატავს სივრცის დროში გადასვლის სურათს, ალუდას მთელი გარეგანი ცხოვრებისეული გამოცდილების შინაგანად ქცევის წამს; უკანასკნელ თვალის შევლევას, რომელსაც, როგორც ვთქვით, სამუდამო დამახსოვრების ფუნქცია აკისრია. ალუდას თვალი იმახსოვრებს, კრებს, აღბეჭდავს მშობლიურ სივრცეს, შიგნით შეაქვს მატერიალური სამყაროს მთელი სინათლე, მისი ერთიანი ანაბეჭდი, რაც სხვა არაფერია, თუ არა ვაჟას მითო-პოეტური ცნობიერების ნიშანი, სადაც ორივე ასპექტი – პოეტურიცა და მითოსურიც ერთდროულად მონაწილეობენ შემოქმედებით აქტში. სწორედ ეს ხაზგასმული „ერთხელ“ ადასტურებს მის მარადიულობას (*„ერთხელ მაუნდა ალუდას, ერთხელ...“*). მოკლედ, სახეზეა არა ჩვეულებრივი დამშვიდობება, არამედ სამუდამო მზერა, აღბეჭდვა, სამუდამო არამარტო ალუდასთვის, არამედ ყველა იმისთვის, ვინც მის ამბავს ისმენს ანმყოში და მოისმენს მომავალში. ერთი სიტყვით, ვაჟა დამშვიდობების არქეტიპს აცოცხლებს. დამშვიდობების რიტუალი ალუდას სახეს აქცევს იმ ადამიანის არქეტიპად, რომელიც ტკივილით ეთხოვება თავის ცხოვრებას. ნორტროპ ფრაის აზრით, „მითი არის ცოდნის შემცველი მთავარი ძალა, რომელიც რიტუალს არქეტიპის მნიშვნელობას ანიჭებს... ამდენად, მითი არის არქეტიპი... მითი რიტუალის სიტყვიერი იმიტაციაა“ (Frye 2001: 509).

სამყარო, რომელსაც ვაჟა ხატავს, არ შეიცავს ისტორიული განვითარების რაიმე ნიშნებს. ეს გაყინული სამყაროა, ერთი პატარა, მცირე ეთნოსის ყოფა, რომელიც თითქოს ვერც კი გრძნობს ისტორიის სვლას. ესაა სივრცე, რომელიც მოკლე დროში თავიდან ბოლომდე შეიძლება გადალახო ცხენით, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოემაში ყველაფერი თითქოს ჩაკეტილ წრეშია მოქცეული, სივრცულ ფორმებში გამოხატული დრო ცვლილების მოლოდინზე მიგვანიშნებს და ეს მოლოდინი სწორედ მითოსური სტრუქტურის საშუალებით ჩნდება. დავაზუსტოთ: თემთან ალუდასა და ჯოყოლას დაპირისპირებაში მკაფიოდ იკითხება ზოგადად ყოველგვარი დაპირისპირების არქეტიპული სტრუქტურა. ორივე პოემის ფაბულა წარმოადგენს ყველა იმ დაპირისპირების კერძო შემთხვევას, რომელიც ხდებოდა წარსულში და მოხდება მომავალშიც და რომელიც აუცილებლად იწვევს ძირეულ ცვლილებას ჯერ ადამიანთა ცნობიერებაში, შემდეგ ეტაპზე კი – ყოფიერებაშიც; ამ ტიპის ხდომილებები საფუძვლად უდევს ყველა იმ ცვლილებას, რომელიც ძირფესვიანად გარდაქმნის კაცობრიობის, საზოგადოების, მათ შორის, თემის ცხოვრებას. როგორც ვთქვით, ცვლილების კონცეპტის ვაჟასეული მნიშვნელობა იკითხება სწორედ ამბის მითოლოგიური გააზრების პირობებში და ათვალსაჩინოებს მეცნიერების მიერ შენიშნულ, მითოსთვის ზოგადად დამახასიათებელ ინტენციას მიმავლისაკენ, უფრო ზუსტად, მიმდინარე დროის, რეალობის საზღვრების გადალახვისაკენ (*„მინამ ქვეყანა არსებობს, /ამ ამბავს ნახვენ მუდამა“* – „ნანგრევთა შორის“). როგორც ლევი სტროსი ამბობს, „...მითოლოგია

სხვა არაფერია, თუ არა დროის განადგურების ინსტრუმენტი“ (Леви-Стросс: 1972: 27).

სწორედ ამბის გამითიურებით შემოაქვს ვაჟას მომავლის პროექცია. ეს სტრუქტურა, როგორც ხედვის საფუძველი და არქაული ელემენტი, ჩადებულა ვაჟას მთელ შემოქმედებაში. მომავლის კონცეპტის შესატყვისი სტრუქტურა იკითხება არამხოლოდ ალუდას სახეში, არამედ მინდიას ქცევაშიც, რომლის თანაგრძნობას ალუდას მიმართ ადასტურებს ფრაზა: „მოუნწყლიანდა თვალები“. იგივე კონცეპტია ხორცშესხმული პოემის ფინალურ სცენაშიც, რომელიც ალუდას მდგომარეობას გვიხატავს, როგორც ენერგიულ, მიმსწრაფ, ფიზიკური ძალებით სავსე მოძრაობას, რომლის მხარის აბმაც ალუდას თანმხლებ ადამიანებს უჭირთ (იხ. ზემოთ: „შვილო, იარე ნელაო...“) ალუდა უკვე შემდგარია, **უკვე მიაგნო** რაღაც ისეთს, რომელიც მას მორალურ უპირატესობას ანიჭებს სხვების წინაშე. ვაჟას პერსონაჟების შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ „ადამიანის სულის ანტირომიურობის“ (ლევინსტროსი) ძალზე მაღალ ხარისხზე და საკუთარი არჩევანის, საკუთარი სულიერი მონაპოვრის დაცვის შეუპოვარ ნებაზე; ტრადიციის ძალზე წინააღმდეგობრივ, შესაბამისად, ინდივიდუალიზებულ გაგებაზე. ორივე შემთხვევაში – კანონთან, ტრადიციასთან, შესაბამისად, „მამის“ კონცეპტთან დაპირისპირებაზე, უფრო ღრმა შინაგანი მოთხოვნილების – საკუთარი პიროვნული ნების – დაცვის მიზნით. „სტუმარ – მასპინძელში“ ეს ნება და წინააღმდეგობის ამგვარი შინაარსი საკმაოდ ცხადად იკვეთება ჯოყოლას სიტყვებში **„ჩემი კაცობის დამქცევნო, ლანძღვასაც მემართლებითა?“** და ალუდას მიმართვაში: **„მითამ ერთნი ვართ, ბერდიავ“**.

როგორც ყოველი სტრუქტურულად შეკრული ერთიანობა, თემური საზოგადოებაც, ჩვეულებრივ, რადიკალურად რეაგირებს მისთვის სოციალურად განსაკუთრებით მნიშვნელოვანზე და პრობლემურზე. როცა ეს ხდება, მითი, როგორც განსაკუთრებული ტიპის შეტყობინება, თვითონვე ახდენს გამოცდილების აკუმულირებას და შენახვას მომავლისთვის. „სტუმარ-მასპინძელში“ მომავლის სტრუქტურა დაფარულია შეხვედრის სცენის განმეორებადობის ფაქტში: „*ლამ –ლამ ხედავენ სურათსა*“, იმაში, რომ შეხვედრა ხდება მთის წვერზე, ანუ გაშლილ, ყველასთვის იოლად დასანახ სივრცეში; იმაში, რომ მათი სიტყვა ხმიანდება ღამით, საყოველთაო სიჩუმეში; იმაში, რომ ეს მოქმედება რჩება (განმტკიცდება) სიტყვაში და სიტყვის გზით – მესხიერებაში. ისინი ყველანი კვდებიან, მაგრამ ტოვებენ კვალს მითის სახით, რომელიც მარადისობაში ხმიანობს და აგრძელებს სიცოცხლეს. როგორც „ალუდა ქეთელაურის“, ისე „სტუმარ-მასპინძლის“ გმირები თავიანთი მოქმედებით განასახიერებენ სიცოცხლის უნივერსალურ რიტმს, ორიენტირებულს განახლებასა და ცვლილებაზე. ეს ცვლილებები მიმართულია კონკრეტულიდან უნივერსალურისაკენ, ორიენტირებულნი არიან კიდევ უფრო უნივერსალური ტრადიციისაკენ, კიდევ უფრო ღრმა ფესვებისა და ადამიანის სულის სიღრმეებისაკენ, უნივერსალურ ზნეობრივ ღირებულებებსა და ადამიანთა შორის სულიერ

საჭიროებაზე დამყარებულ სოციალურ ურთიერთობებზე, სამყაროს ყველაზე გონივრულ, სიცოცხლის სასიკეთოდ და გასაძლიერებლად მიმართულ პრაგმატიკაზე.

თომას მანი მითში ხედავს „ჭვრეტის მანერას“, რის შედეგადაც შემოქმედი მოვლენებს აღიქვამს მითოსურ-ტიპიური სანყისის გამოხატულებად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მოვლენათა მსხვილი მოდელების მიღებასა და გაზიარებას“ (Мани 1961: 261).

„გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი“ – სახარებისეული დოქტრინაა, რომელიც, გამონათქვამის იმპერატიულობის მიუხედავად, განასახიერებს არა აუცილებლობას, არამედ შესაძლებლობას. ალუდა ქეთელაური რელიურად ახორციელებს მას, ანიჭებს აუცილებლობის სახეს და სწორედ ამ აუცილებლობიდან გამომდინარე იძენს მისი ქმედება მითის ხასიათს. ვაჟა ამ გზით რელიგიური განცდის პრატიკს აბრუნებს და ახდენს მითის არამხოლოდ შემეცნებითი, არამედ ეთიკური მნიშვნელობის აქცენტირებასაც. ძველ ბერძნულში მითს მრავალგვარი განმარტება აქვს. მათ შორის: სიტყვა, ჩანაფიქრი, მონათხრობი, გადმოცემა, ზღაპარი, თქმულება და რაც ჩვენთვის განსაკუთრებულთ საინტერესოა – ფაბულა, სიუჟეტი (Дворецкий 1958: 1113–1114). არისტოტელეს განმარტებით, მითი ნიშნავს ფაბულას, ქმედებას. ვაჟას გმირები მოქმედებენ, რადგან სხვაგვარად არ შეუძლიათ, მათ ფიქრსაც და სიზმარსაც მოქმედების ხასიათი აქვთ. მოქმედება აუცილებლობაა და ვაჟას გმირებისთვის ჭეშმარიტება სწორედ მოქმედების ამ აუცილებლობასთანაა „მიბმული“ (გავიხსენოთ კურატის შეწირვისა და მუსას მოკვლის ეპიზოდები, რომლებიც მოქმედების რადიკალიზმით გამოირჩევა და თითქოს „ამოვარდნილია რაციონალურ – ლოგიკურ ქმედებათა რიგიდან). ვაჟასთვის კი ამ აუცილებლობას ქმნის ამბის, სიტყვის შენახვა, გადმოცემა, გამეორება, გამითება, ანუ სიტყვიერი ქმედება.

რობაქიძე წერდა: „ვაჟა ფშაველა არის უპირატესად მითების შემქმნელი პოეტი... ის იყო პოეტი და მჭვრეტელი, ამიტომაც სამყაროს სიღრმისეული სიმართლე არ გამოეპარებოდა მას ხედვიდან“ (რობაქიძე 2014: 295). მითი, როგორც სამყაროს შემოქმედებითი შემეცნების უძველესი ფორმა, არამხოლოდ ლოგოსთან მის კავშირს, არამედ სამყაროსა და ადამიანის მთლიანობას არეკლავს. პრემოდერნული და მოდერნული კულტურისა და ლიტერატურის მიერ მითოსის აქცენტირებული შემოტანა და რესტავრაცია სხვა არაფერია, თუ არა რაციონალიზმით გამონვეული, სამყაროს დაზიანებული, დანაწილებული აღქმის აღსადგენად მიმართული საქმიანობა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თავისი მითისქმნადობით და „სამყაროს სიღრმისეული სიმართლის“ ნვდომით, ვაჟა მაღალი მოდერნიზმის საფუძვლებთან დგას და რობაქიძის შეფასებაც ვაჟას შემოქმედების, მისი მსოფლხედვის სწორედ ამ დაუზიანებელ ხედვაზე მინიშნებაა.

ძლიერი ინდივიდუალურობის გამო ვაჟას პერსონაჟებს ვერ ვუნოდებთ ვერც ტიპებს, ვერც პერსონიზებულ აბსტრაქციებს, ისინი არც გაღმერთე-

ბული ადამიანებია და არც დაცემული ღმერთები. ყველაზე უფრო ისინი მითოპოეტური ცნობიერების წიაღში გაცოცხლებული ქართული ცნობიერების არქეტიპებია. მითის გზით ვაჟა უბრუნდება დიად პირველსანწყისს, ლოგოსურ-ნატურალურ წესრიგს, ეროვნული ცნობიერების ძირებს.

ვაჟას მითისქმნალობასთან დაკავშირებით ყურადსაღებია მეცნიერთა იმ ნაწილის მოსაზრებაც, რომელიც მითში ხედავს ჩვენი ეპოქის მეტაფიზიკურ აუცილებლობას, ეძიოს სასურველი მოკავშირე „სულიერების მტერ რაციონალისტურ სანწყისთან ბრძოლაში“ (Вейман 1975: 273)

მითოსური სტრუქტურების ასეთი გააქტიურება ვაჟას ეპოსში, შესაძლოა, „სასურველი მოკავშირის“ გაცნობიერებული ძიებითაც იყოს გაპირობებული.

დამონშებანი:

Bart R. *Izbrannye Raboty. Semiotika. Poetika*. M.: izdatel'stvo "progress". 1989 (Барт Р. *Избранные работы. Семиотика. Поэтика*. М.: издательство "прогресс", 1989).

Vaja-Pshavela. *Leksebi, Motkhrobeli, P'oemebi, P'iesebi*. Tbilisi: gamomtsemloba „sachota mts'erali“, 1960 (ვაჟა ფშაველა. *ლექსები, პოემები, მოთხრობები, პიესები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1960).

Vejman R. *Istoriya Literatury i Mifologia*. M.: izdatel'stvo "progress", 1975 (Вейман Р. *История литературы и мифология*. М.: издательство «прогресс», 1975).

Dvoretckij I. *Drevnogrechesko-Russkij Slovar v 2-kh Tomakh*. T.2 M.: izdatel'stvo "gosizdat", 1958 (Дворецкий И. Х. *Древнегреческо-Русский словарь в 2-х томах*. М.: издательство "госиздат", т.2, 1958.)

K'assireri E. *Ra Aris Adamiani*. Tbilisi: gamomtsemloba "ganatleba", 1983 (კასირერი ე. *რა არის ადამიანი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1983).

K'vachant'iradze M. *Vektorebi*. Tbilisi: gamomtsemloba "meridiani", 2013 (კვაჭანტირაძე მ. *ვექტორები*. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013).

Levi-stross K. "Kul'tura kak Sistema". *Semiotika i Iskusstvometriya*. M.: izdatel'stvo "mir", 1972 (Левистросс К. "Культура как система". *Семиотика и искусствоведение*. М.: издательство "мир", 1972).

Mann T. *Sobr. Soch.* T. 10. M.: gosizdat khudojestvennoj literatury. 1961 (Манн Т. *Собр. соч.* Т.10 М.: госиздат художественной литературы. 1961).

Robakidze Gr. "VaJa-Pshavelas Gardatsvalebaze". *Omi da K'ult'ura*. Tbilisi: gamomtsemloba „art'anujj“, 2014 (რობაკიძე გრ. „ვაჟა ფშაველას გარდაცვალებაზე“. ომი და კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2014).

Robakidze Gr. *Nats'erebi*. Ts'igni IV. Tbilisi: lit'erat'uris muzeumi, 2012 (რობაკიძე გრ. *ნაწერები*. წიგნი IV. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2012).

Rcheulishvili G. *Tkhzulebata Sruli K'rebuli Ekvs T'omad*. T. 4. Tbilisi: gamomtsemloba „saari“, 2006 (რჩეულიშვილი გ. *თხზულებათა სრული კრებული ექვს ტომად*. ტ. 4. თბილისი: გამომცემლობა „საარი“, 2006).

Frye N. *Anatomy of Criticism*. New Jersey. Princeton University press 1973. <https://monoskop.org>

Frye N. „The Archetypes of Literature“. *The Norton Antology. Theory and Criticism*. Ed. Vincent B. Leith. New York: Norton, 2001. 1445-1457

Manana Kvachantiradze
(Georgia)

Specifics of Creation of Myth in Vazha Pshavela's Poems

Summary

Key words: Meeting, collective memory, generate.

Myth represents artistic and poetic origin of Vazha Pshavela's epic poems – its preform, its main structural and perceptual principle. The object of our article is not an analysis of mythological forms in Vazha Pshavela's literature that are older than literature itself, but on the contrary – we are observing literature motifs, fabula or action that construct foundation of myth, that define, introduce and strengthens mythic structure.

The correlation between mythic and poetic origins is evident in Vazha Pshavela's literature.

What are poetic devices used by author for attributing mythic features to his message, what is the content of these messages that are disclosed in “Aluda Qetelauri” and „Host and Guest”.

In “Aluda Qetelauri” as well as in “Host and Guest” the message function is attributed to the **meeting** as to exceptional occurrence. In “Host and Geuest” this iterational (repetitive) sign is represented as a realized micromodel (the rite of meeting of the three) in the final scene of the poem. Meeting is nothing else then a *cronotopos* of “intrusion” of metaphysical into the real world. The morphology of mankind existence is defined by meeting of dissimilar as well as by transformation dynamics caused by these meetings. It's exactly the *topos* of meeting that gives birth to constant intention of human soul– free will against the established social norms also visible in Aluda's character.

As an additional structure for myth creation Vazha Pshavela uses picture of nature e.g. in the final of “Host and Guest” we can see unexpectedly appeared invincible darkness. Snow and snowstorm, valance and ice that block Aludas's road are not only the stylistic tools representing internal picture of protagonist, but also mental structure that strengthens mythic element in the poem.

Vazha Pshavela's stylistic tool of converting literature story into popular story could be considered as a product of mythic imagination. Author takes his „story” from individual consciousness and places it in the space of collective consciousness. The comment to final scene in “Host and Guest” “*They tell about heroes...*” is the reference to mythic words. It is the myth derived from collective memory reminded by literature and once again involved in eternal cycle where mythic and poetic are still represented as undivided creative origin. It is directly related not only to the story told in the poem but to all the stories that had ever taken place and will happen in future in order to defend personal free will in the name of courage and relenting. In one of the phrases of “Host

and Guest” *“At nights they see the picture...”* the word “see” is nothing else then “they say” transformed into visual image. Vazha Pshavela alludes to collective memory. Such expression as “they would say” “they say” are semantically loaded and aim at unfolding mythic layer. These words are brought to create myth out of literature theme or fabula. They prepare reader to hear something universal and important. Narrator is a medium whose words are strengthened by words of similar mediums. However, poetic tool of constant repetition grants the story with undoubtful legitimation

The myth is created by personal revision of collective experience. As far as it is an exceptional case that never stays on the level of individual experience, it finds its way to collective memory and is converted into common human experience. Once again Aluda’s and Jokhola’s images reveal invariational structure of archetypal image of every rebelled and punished hero. This aspect is carefully proposed by Vazha Pshavela’s while depicting his main characters in apparently realistic narrative. Myth is the way to return to origin, to situate the word in eternal space. Author creates significances that will survive the test of time. Vazha Pshavela depicts tragedy that is followed by conflict with community and is constantly repeated. This aspect gives mythic features to his protagonists. The part of everyday life is now spread in eternal time.

Author assigns ritual-symbolic meaning to farewell scene in “Aluda Qetelauri” and marks it with “eternal” sign (*“once he wished to turn his head...”*). This very movement represents an archetype of all the movements that eternally take place and that denote an essence of every change including radical changes such as death. The turn, returning is the action marked by eternity. It is a sign of accomplishing one cycle. This is ever repeating action even though it happens “once”. The future myth structure created about Aluda Qetelauri is weaved exactly around this “once” quite similar to archetype of storytelling that is structured in the word “they say”. That is “said” – the picture that Vazha Pshavela depicts in the final scene – is repeated every night and represents the rite of friendship and solidarity. Aluda’s gesture of turning head is also the rite as it happens once but forever. However, both are the rites of memorizing exceptional and essential human experience.

In “Host and Guest” reader can witness creation of myth of main heroes and inclusion of their actions in fundamental mythic layers (*“every night they see the picture...”*). However, we can observe the final stage of myth creation, when author is preparing main character and his environment to generate a myth. Exactly this mythic structure is used to introduce the projection of future in Vazha Pshavela’s both poems.

ქალური ენისა და თვითგამოხატვის პრობლემები ინგებორგ ბახმანისა და ლია სტურუას პოეტურ ტექსტებში¹

თეორიული ჩარჩო

ლოგოცენტრიზმი ანტიკურ ეპოქაში აღმოცენდა, თუმცა აპოთეოზს მიაღწია განმანათლებლობის ეპოქაში. არისტოტელე თავის ნაშრომში *ორგანონი*, რომელშიც პირველად გვხვდება ტერმინი ლოგიკა და ის მსჯელობასთან არის დაკავშირებული, აცხადებს, რომ ფორმალური ლოგიკის საშუალებით შესაძლებელია რეალობის წვდომა/დაუფლება. სწორედ ეს მოსაზრება აისახა დასავლური ფილოსოფიის ვარაუდში რეალობის სტრუქტურისა და სააზროვნო სტრუქტურის იდენტობის შესახებ, რასაც პოსტსტრუქტურალიზმში „ლოგოცენტრული ილუზია“ ეწოდა (ჟაკ დერიდა). განმანათლებლობაში ეს ილუზია კულმინაციას აღწევს ავტონომიური სუბიექტის პროექტით: *cogito ergo sum* (ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ). დეკარტის ეს მოსაზრება აზროვნების აქტით განსაზღვრავს არსებობას, აზროვნებით „ბატონი ხდები საკუთარ სახლში“ (Weber 1994: 13), რაც იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი საკუთარ ფიქრებს, ენობრივ გამოთქმებს და ქმედებებს აკონტროლებს.

ლოგოცენტრული ილუზიის მიხედვით, ენა რეალობას მყისიერად ასახავს, კავშირი რელობასა და ენას შორის მიმეტურია და ენა წინასწარმოცემული რეალობის ილუსტრაციაა. ამ მოსაზრების საპირწონედ ფერდინანდ დე სოსიური ენის ავტონომიურობაზე ამახვილებს ყურადღებას, ენა მისთვის არის „თვითნებური“ ნიშანი (არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, თუ რატომ აღინიშნება რომელიმე ცნება კონკრეტულ ბგერათა შეთანხმებით), რომელიც თავის თავში აერთიანებს აღმნიშვნელს (სიგნიფიკანტი– ბგერა) და აღსანიშნს (სიგნიფიკატი-ცნება, მნიშვნელობა, რომელზეც ბგერა არის მიმული). სიგნიფიკანტი და სიგნიფიკატი ერთმანეთთან განუყოფლად არიან დაკავშირებული, აღნიშნულ კავშირში კი სიგნიფიკანტებს სიგნიფიკატების „მსახურების“ ფუნქცია აქვთ. სიგნიფიკატი იმისათვის წარმოიქმნება, რომ მნიშვნელობის ტრანსპორტირება შეძლოს. სოსიურის ამ მოსაზრებას ლოგოცენტრული აზროვნების ნარჩენად მიიჩნევენ პოსტსტრუქტურალიზმი და სოსიურის აქსიომის რადიკალიზაციას სიგნიფიკანტების ავტონომიურობის გამოცხადებით აღწევს.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (PHDF-18-2163, „ქალური ნარატივის თავისებურებები XX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანულენოვანსა და ქართულ პოეზიაში“).

თუ სტრუქტურალისტები იკვლევდნენ იმ განსხვავებულობის პროცესებს, რომლებზეც დიქტომიები (კაცი/ქალი, ბუნება/კულტურა, გონება/სიგიჟე, ენა/სხეული...) იგება, რომლებშიც ერთი ყოველთვის შევიწროებულია მეორის მიერ და, შესაბამისად, კულტურები და მნიშვნელობები იქმნება, პოსტსტრუქტურალისტები რეპრესიას ან არ ამჩნევდნენ, ან ბუნებრივად მიანჩნდათ. პოსტსტრუქტურალისტები დერიდას დეკონსტრუქციას, როგორც ინსტრუმენტს, მიმართავდნენ იმისათვის, რომ არსი, მნიშვნელობა და რეალობა კრიტიკულად გაეანალიზებინათ, თუმცა, პოსტსტრუქტურალისტების მიხედვით, სუბიექტი ენისა და ნიშანთა წესრიგში თავისუფალი არ არის (თვითონ არ ქმნის ამ წესრიგს). საყოველთაო წესრიგში *texte general* (Derrida) წარმოიქმნება თავისებურებები (მახასიათებლები), რომლებიც დისკურსის კონტროლს აღარ ემორჩილება. ეს შეიძლება იყოს წარმოდგენა, განსხვავებულობა ან ხუმრობა. დერიდა ბინარულ ოპოზიციებს აღწერს არა როგორც ორი ტერმინის კონფრონტაციას, არამედ იერარქიას და სუბორდინაციას. ბინარულ ოპოზიციაში – სული/სხეული არ აერთიანებს ერთმანეთთან ორ სხვადასხვა ელემენტს, არამედ მიგვითითებს „იგივეობრივზე“ (a same), მაგრამ არა იდენტურზე, შედეგად წერა არის ხილული, მგრძნობიარე მეხსიერება (*mnème*). ნაწერი მოგვიანებით იქცევა სულის, მოგონებებისა და ჭეშმარიტების მტკივნეულ და გამაბრუებელ უხილავ ნაწილად. მართალია, საწამლავი აზიანებს და აბრუებს სხეულს, მაგრამ ის შემდეგ ეხმარება სულს – ათავისუფლებს სხეულისაგან და მასში აღვიძებს ესენციას/ არსს (*eidós*) (Derrida 1981: 126-127). დერიდას მიხედვით: „The Pharmakon is the movement the locus and the play: (the production of) difference. It is the difference of difference. It holds in reserve, in its undecided shadow and vigil, the opposites and differends that the process of discrimination will come to carve out (Derrida 1981: 127).¹

ქალური წერის მახასიათებლების დასადგენად და გასაანალიზებლად საინტერესოა ჟაკ დერიდას დეკონსტრუქციული თეორია, რომელიც ყურადღებას ნიშანთა ცვალებადობაზე ამახვილებს. ჟაკ დერიდასათვის ნაწერი ნათქვამ სიტყვასთან შედარებით პრივილეგირებულია. ნაწერი უძველესი გამობატვის ფორმაა. ნაწერს არ შეუძლია ლაპარაკი, ამიტომ ის ინტერპრეტაციას ექვემდებარება და კონტექსტის მორგებით/შეცვლით მნიშვნელობები წინ წამოიწევა. ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა კონტექსტში იგივე არ არის. ენა, როგორც ნაწერი, ყოველთვის რეკონტექსტუალიზებადი. დერიდას მიხედვით, ენობრივი ნიშანი მნიშვნელობას სხვა ნიშნისაგან „განსხვავებულობით“ იძენს. თავდაპირველად ნიშნის მნიშვნელობა არასოდეს არ არის მოცემული, შემდეგი მცდელობით შეგვიძლია ნიშნის მნიშვნელობა დავადგინოთ, თუმცა ერთი ნიშანი, შესაძლოა, სხვადასხვა კონტექსტში იყოს გამოყენებული

1 „ფარმაკონი – ეს არის მოძრაობა, ლოკუსი და თამაში: განსხვავება (წარმოქმნა განსხვავებისა). ეს არის ცვლილება ცვლილებისა. ის ინახავს თავის მარაგში, თავის მერყევ ჩრდილსა და სიფხიზლეში, იმ წინააღმდეგობებსა და განსხვავებებს რომელსაც გამოკვეთს დისკრიმინაციის პროცესი“ (თარგმანი ს.პ.).

და არცერთ კონტექსტს იდენტური მნიშვნელობა არ ჰქონდეს, ამიტომ მსჯელობს დერიდა ნიშანთა დაუსრულებელ თამაშზე, რომელსაც არ აქვს ორგანიზებული ცენტრი (Köppe, Winko 2008:115), შესაბამისად, დეკონსტრუქციული თეორია ნიშანთა მნიშვნელობის შესახებ ანტიესენციალისტურია, რადგან ის სადაოდ აცხადებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ცნებების ზუსტი განმარტება შესაძლებელია, სამყაროს ენობრივი ნიშნების საშუალებით „ბუნებრივად“ ასახვაც სადაოა დეკონსტრუქციული მოდელის მიხედვით.

უკ ლაკანისთვის კი ენა არის აზროვნების ინსტრუმენტი საკუთარი გამოცდილებების გამოსახატავად, მეტიც, აზროვნება და გამოცდილება სწორედ ენაში ვლინდება. ამ მოსაზრებით ნადგურდება სუბიექტის მთლიანობის შესახებ მოსაზრება და იგი (სუბიექტი) უკვე გახლეჩილად/ დეცენტრირებულად განისაზღვრება (Weber 1994: 14-15), თუმცა აღსანიშნავია ის, რომ პოსტსტრუქტურალისტებამდე ზიგმუნდ ფროიდი დაამსხვრია შეხედულება „ერთიანი სუბიექტის“ შესახებ არაცნობიერის ბნელი სამყაროს მისწრაფებების წარმოჩენით და ლაკანი ფროიდის შეხედულებათა რეკონსტრუქციას ფსიქონალიზის ლინგვისტურ ქრილში განიხილავს. ადამიანი იბადება უმწეო არსებად და კიდევ კარგა ხანს რჩება ამ მდგომარეობის გამო დედასთან სიმბიოზურად დაკავშირებული. ლაკანი ამ კავშირის (ერთობის) გამოსახატავად იყენებს ცნებას „წარმოსახვითი“. წარმოსახვითი პერიოდი მოიცავს მთელ წინაენობრივ და პრეოიდიპალურ ფაზას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სურვილების პირდაპირი დაკმაყოფილება. ამ კვაზისამოთხისებურ ფაზაში ბავშვისთვის ჯერ კიდევ უცნობია დედისა და საკუთარ სხეულს შორის ზღვარი, მესა და შენს (გარე სამყარო) შორის განსხვავება. ამ პერიოდში ყველაფერი, რაც გარე სამყაროს შესახებ იცის ბავშვმა, ეს მხოლოდ დედის სხეულია. „სარკის სტადიით“ იწყება საკუთარი თავის შეცნობის პროცესი, რომელსაც ლაკანი იდენტიფიკაციას უწოდებს: „Man kann das Spiegelstadium als seine Identifikation verstehen“ (Schriften 1.4)¹.

ლაკანისეული მოდელის მიხედვით, სიმბოლურ წესრიგში გადანაცვლება არა საკუთარი ნებით, არამედ იძულებით ხორციელდება, რაც მამასთან არის დაკავშირებული. მამა ბავშვს აკრძალული ვნების (დედის მიმართ) სანაცვლოდ ენას სთავაზობს. მამა სუბიექტს ენის საშუალებით ბადებს. ეს საზოგადოებრივი დაბადების ტოლფასია, დედის შემთხვევაში კი ფიზიკურ დაბადებასთან გვაქვს საქმე. ცხადია, მამაში ლაკანი „რეალურ“ მამას არ მოიაზრებს, ის „სიმბოლურ“ მამას გულისხმობს, რომელიც „არასთან“ ასოცირდება. ინცესტის აკრძალვა არის პირველადი ტაბუ საზოგადოებაში. ლაკანის მიხედვით, „არაცნობიერი ენის მსგავსად არის სტრუქტურირებული“ (Weber 1994: 17).

ცნობიერი და არაცნობიერი პირველადი შევიწროების (სიმბოლურ წესრიგში გადასვლა) შედეგად წარმოიქმნება. თუ არაცნობიერი ისეა სტრუქ-

1 „სარკის სტადია შესაძლებელია გავიგოთ, როგორც იდენტიფიკაცია“ (თარგმანი ს.პ)

ტურირებული, როგორც ენა, მაშინ მისი წაკითხვა, ტექსტის მსგავსად, შესაძლებელია. ლაკანისათვის მეტაფორა და მეტონიმი არის მთავარი გასაღები ენობრივი და არაცნობიერი ტექსტებისათვის, რადგან მათი დახმარებით მნიშვნელობები ტექსტში წინ არის წამოწეული.

ლაკანი პროვოკაციული განცხადებით: “La femme n’existe pas” (ქალი არ არსებობს), ქალის ადგილს სიმბოლურ წესრიგში ვერ ხედავს, ქალი მოიაზრება წინარეენობრივ და წინარესაზოგადობრივ წარმოსახვაში, სადაც ის დედასთან არის იდენტიფიცირებული (Weber 1994: 20). ქალური არის დედობრივი, რომელიც მამაკაცურ კულტურას მსხვერპლად შეეწირა. ლაკანი ქალურს მიაწერს ვნებას (jouissance), რომელიც მამაკაცურ წესრიგს საფრთხეს უქმნის, რადგან ის მხოლოდ თეორიულად არის შემოსაზრდვრული, პრაქტიკულად კი არაცნობიერშია და იქიდან იჭრება სიმბოლურ დისკურსში, აჯადოებს მამაკაცს, რომელშიც აღვიძებს მოგონებას წარმოსახვით ვნებაზე.

შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებთან მუშაობისას ლუსი ირიგარემი შენიშნა, რომ კაცები შეშლილობის მდგომარეობაშიც ლაპარაკის უნარს არ კარგავენ მაშინ, როდესაც ქალები მუნჯდებიან და საკუთარ ტკივილებს სხეულებრივ სიმპტომებში ინსცენირებენ. ამ დაკვირვების შედეგად ის ასკვნის, რომ ქალები თავიანთ სურვილებს გაბატონებულ დისკურსში ვერ ამჟღავნებენ და ამიტომ მსჯელობს ფემინისტი ქალურობის ენობრივ „დეენილობაზე“.

ფემინისტური ლიტერატურათმცოდნეობისთვის მნიშვნელოვანია ლუსი ირიგარეის დისერტაცია *Speculum de l’autre femme* (სხვა სქესის სარკე), რომელშიც ის არამარტო რევიზიას მიმართავს მთლიანი დასავლური ფილოსოფიის ისტორიისა, არამედ ცდილობს, სხვა წერა „ფალოსური: დისკურსის მიღმა განახორციელოს (Lindhoff 2000: 119). ფროიდის თეორიის მიხედვით, ქალი „კასტრაციით“ არის დეფინირებული და ამიტომ ნაკლებ კაცად არის წარმოჩენილი, რაც ირიგარეის აძლევს იმის საფუძველს, რომ თქვას: არსებობს რეალურად არა ორი, არამედ ერთი სქესი-მამაკაცური (Lindhoff 2000: 119). ყოვლისმომცველ პატრიარქალურ წესრიგში ქალს არ აქვს თავისი ადგილი, რომელსაც საკუთარ იდენტობას დააფუძნებს, შედეგად მას ისლა რჩება, საკუთარი ადგილის რეკონსტრუქცია მამაკაცური მახასიათებლების „გადამუშავებით“ მოახერხოს.

ირიგარეი სინტაქსს გამიზნულად არღვევს, რაც მიმართულია არა ენის განადგურებისაკენ, არამედ მისი ტრანსფორმაციისკენ, „ორმაგ ხედვაზე“, რის შედეგადაც განსაზღვრულ, ნათელ მნიშვნელობას ბუნდოვანიც ახლავს. ირიგარეის მიხედვით, ქალი თავის არაცნობიერთან, წარმოსახვასა და სექსუალობასთან გაუცხოებულია და მათზე ხელი არ მიუწვდება. ქალს საზოგადებაში მამაკაცური სექსუალობის, წარმოსახვისა და არაცნობიერის შეთვისების დავალება აქვს მცემული (Irigary 1980: 81)

დასავლური თეორიის დისკურსებში აღწერილია სხეულის, სქესის, დაბადებისა და სიკვდილის ელემენტარული სურათები, ასევე აღწერილია სიმ-

ბოლურ წესრიგში შევიწროებული „წარმოსახვითის“ ნაკვალევი და მოცემული იერარქიულ ღირებულებათა სისტემა: მყარი-თხევადი, ერთი-ბევრი, მსგავსი-განსხვავებული. ამ სისტემაში დამორჩილებული ყოველთვის ქალთან არის დაკავშირებული. ირიგარეი ცდილობს, გამყარებული სამყაროს სურათების აღმოჩენასა და დეკონსტრუქციას. მისი სტრატეგია იერარქიის შემობრუნებაა იმისათვის, რომ ქალს საკუთარი ღირებულება მიენიჭოს, საბოლოო მიზანი კი იერარქიის დაძლევა და ქალისთვის სუბიექტის სტატუსის მინიჭებაა.

ელენ სიქსუც მსჯელობს ქალების ხვედრზე პატრიარქალურ სამყაროში, გამოსავლად კი ქალების მამაკაცის ჩრდილიდან გამოსვლასა და იმ დუმილის დარღვევას ასახელებს, რომელიც მათ პატრიარქალურ წესრიგში მიუსაჯეს; წერით, წარმოსახვის ენის აღმოჩენით საკუთარი თავი უნდა იპოვონ ქალებმა. სიკვდილის მელოდიის ნაცვლად, რომელიც სიმბოლური წესრიგის თანმდევი მელოდიაა, ჰელენ სიქსუ ქალური წერით ცხოვრების სიმღერაზე/ დედის სიმღერის მღერაზე მსჯელობს და იქ, სადაც მამის წესრიგია (სიმბოლური) გაბატონებული, დედის წარმოსახვის წესრიგი უნდა იყოს. ფემინისტის თვალთახედვით, ქალებმა პრეოდიპალურ წარმოსახვაში ფემინურ ენას უნდა მიაცურადონ და მას (ფემინურ ენას) კულტურულ-რევოლუციური ძალა მისცენ: „A feminine text cannot fail to be more than subversive. It is volcanic; as it is written, it brings about an upheaval of the old property crust, carrier of masculine investments”¹ (Cixous 1975: 888).

თეორეტიკოსისთვის ქალური წერა (*écriture féminine*) ქალურ-დედობრივი სხეულის სიმღერას მღერის, რადგან ქალად ყოფნა ნიშნავს სხეულად ყოფნას: „A woman is never far from “mother”² (Cixous 1975: 881). სხეულით წერა ნიშნავს საშვილოსნოდან ტექსტის წერას-ტექსტი შვა, როგორც შვილი დიდი ტკივილებითა და სრული, დაუსრულებელი სიყვარულით. სიყვარულის პირველი გამოხატულება არის იავნანა, რომელიც „დედის რძით დაწერილია“ (Cixous 1975: 884) და ინახავს ქალურ კავშირს სიმღერასთან, ის ქალური ხმის გამოცხილია. წერით ამჟღავნებს ქალი ტექსტში თავს და სწორედ ტექსტშივე პოულობს საკუთარ იდენტობას – *your seeking text* (შენი მაძიებელი ტექსტი) (Cixous 1975: 889) და იქცევა „ახალ ქალად“, რომელიც დუმილს არღვევს, მისი სხეულებრიობით უსაზღვრო კოსმიური ლიბიდო ტკბება. უმეტესად მამაკაცები ცდილობენ ასობგერებს მნიშვნელობები მიანიჭონ, ქალები კი ქალური სხეულების რიტმებს ტექსტებში აღწერენ, პირველად ააქტიურებენ ტექსტუალურ არაცნობიერს – რიტმებს, ენის მელოდიას, ასობგერების მუსიკალურობას. ქალური ტექსტები ხმებიდან იქმნება ხმებისთვისვე და არის „ყურის ტექსტები“ ნაცვლად „თვალის ტექსტებისა“ (მამაკაცური ტექსტები). მამაკაცურ ტე-

1 „ქალური ტექსტი შეუძლებელია იყოს უფრო გამანადგურებელი. ის ვულკანია; არის რა დაწერილი, ის არყვეს ძველ თვისობრივ ზედაპირს, მამაკაცური ინვესტიციების მატარებელს“ (თარგმანი ს.პ).

2 „ქალი არასდროს განეშორება „დედას“ (თარგმანი ს.პ)

ქსტებს სიქსუ „სიტყვების მავზოლეუმს“ უწოდებს, ხოლო ქალურ ტექსტებს – „სიყვარულის ტექსტებს“. ქალური ტექსტები მეტაფორულ-მეტონიმურია. ისინი თამაშობენ სიტყვებით, ჟღერადობით, რითაც მნიშვნელობები იცვლება, რითაც რეციფიენტები იქ მიჰყავთ, საიდანაც ისინი წარმოიშვა: არაცნობიერი ფანტაზია, გრძნობა. ამით ავტორი აღარ იქცევა ტექსტის ერთადერთ „მფლობელად“ და არც „ყოვლისმცოდნე ავტორად“, არც პლაგიატია ტექსტი (Weber 1994:31).

იულია კრისტევა თავის თეორიებში იყენებს ლაკანის გახლეჩილი სუბიექტის კონცეპტს და მსჯელობს იმის შესახებ, რომ ენაში შესაძლებელია შემდეგი ორი კომპონენტის – სემიოტიკურისა და სიმბოლურის – თანადროულად არსებობა, რომელთაგან სემიოტიკურს კრისტევა უკავშირებს ხშირად ქალურს, ხოლო სიმბოლურს – მამაკაცურს. კრისტევას მიხედვით, სანამ ბავშვი სიმბოლურ წესრიგში გადაინაცვლებს, მას ხმის, ჟღერადობის, ფერის, რიტმისა და სხეულის გამოცდილება აქვს, თუმცა ეს ელემენტები არ არის სტრუქტურული და სიმბოლურ წესრიგში გადაინაცვლების შემდეგ (ოიდიპოსის ფაზაში) გრამატიკის, სინტაქსისა და საზოგადოებრივი წესები ერთმანეთს უკავშირდება და გამოთქმას მნიშვნელობა ეძლევა (Bürgmann 1989: 408-409). იულია კრისტევასათვის მნიშვნელოვანია ენაში იმ სტრუქტურების წარმოშობის პროცესი, რომლებიც ტექსტებს სპეციფიკურ არსს ანიჭებს ან არსის გარეშე ტოვებს.

იულია კრისტევა როსუმ გუიონთან (Rossum-Guyon) ინტერვიუში ეჭვს გამოთქვამს იმის შესახებ, თუ რამდენად არსებობს ტექსტები, რომლებიც მხოლოდ ქალებმა შეიძლება დანერონ: “Wenn es wahr ist, dass das Unbewusste die Negation und die Zeit ignoriert.. dann würde ich sagen, dass die schreibweise das Geschlecht ignoriert“ (თუ ეს სიმართლეა, რომ არაცნობიერი უარყოფასა და დროს იგნორირებს, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ წერის ხერხები სქესსაც იგნორირებს) (Bürgmann 1989:409). იულია კრისტევას მიხედვით, მამაკაცურ და ქალურ არაცნობიერს არა აქვთ განსხვავებული სტრუქტურა და სჯერა, რომ ხელოვნების ნიმუშები სემიოტიკურისა და სიმბოლურის ლიბიდოზური პოლუსების ურთიერთკავშირის შედეგია. ქალებისათვის, მკვლევრის მიხედვით, სიმბოლურ წესრიგში იდენტობის მოპოვება მეტად რთულია, რადგან მის მოსაპოვებლად ქალები ან უერთდებიან პატრიარქალურ სამყაროს ან მის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, როგორც რადიკალები (Kristeva 1986:156).

ლირიკული ტექსტების ანალიზი

ავსტრიელი გერმანულენოვანი პოეტის ინგებორგ ბახმანის ლექსში: „სიყვარულო, გამანდე!“ (Erklär mir, Liebe!) ნაჩვენებია ლირიკული მეს შინაგანი ტრანსფორმაცია, ის, თუ როგორ ინაცვლებს ის რუტინული, სიმბოლური სამყაროდან წარმოსახვითი ემოციებითა და შეგრძნებებით დატვირთულ სამყაროში.

ლექსის დასაწყისში აღწერილია სიმბოლური წესრიგისაგან მონყვეტილი ემოციური ცხოველთა სამყარო, რომელსაც შეუძლია ბუნებრივი იყოს, რადგან ცხოველთა სამყაროში ენას ემოციების გასაზიარებლად არ იყენებენ, ამისათვის „ყნოსვა“ საკმარისია:

ჭიამაია გრძნობს სასურველს ყნოსვით შორიდან;
მეც რომ მქონოდა მისი ალღო, ვიგრძნობდი უმალ....
(Bachmann 2010:141)¹

ცხოველთა იდილიური სამყაროს ფონზე კონტრასტულად იკვეთება „გახლეჩილი“ ლირიკული სუბიექტი, რომელიც ისტერიულია – ხან იცინის, ხან ტირის. ისტერია ტიპურ ქალურ დაავადებად არის აღქმული². ისტერიის ერთ-ერთ მთავარ სიმპტომად ენის დისორგანიზაცია არის დასახელებული, როცა ქალს არ შეუძლია საკუთარი იდენტობის აგება ენის დეფიციტის გამო. ბახმანის ლექსს რეფრენად გასდევს: „ამიხსენი, სიყვარულო“ (Erklär mir, Liebe!), აღნიშნული რეფრენით ხაზი ესმება პროტაგონისტის ენაში დაკარგვას და გაუცხოებას:

წყალმაც კი ენა ამოიღდა,
ტალღამ ჩაჰკიდა ტალღას ხელი.
(Bachmann 2010: 141)³

ინგებორგ ბახმანი ფრანკფურტში წაკითხულ ლექციებშიც ჩივის ენაში არსებული საზღვრის გამო, რომელიც ძირითად პრობლემას წარმოადგენს შემოქმედისთვის. ენა ბახმანისათვის არ არის ცხადი მოვლენა, რადგან საზღვარი ენაში ყველაფერს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, მასში ავტორი იმ სამყაროს გულისხმობს, რომელიც მხოლოდ ენის საშუალებით იჭრება ჩვენს აღქმაში. რადიოესეში „ლუდვიგ ვითგენშტაინის თქმადი და უთქმადი ფილოსოფია“ ბახმანი ფილოსოფოსს ათქმევინებს: „ ჩემი სამყაროს საზღვარი ჩემი ენის საზღვარს ნიშნავს იმიტომ, რომ ჩვენ მხოლოდ იქამდე ვალწევთ, სადამდეც ჩვენი ენა აღწევს (Bachmann 2010: 9).

ლექსში „სიყვარულო, გამანდე!“ ლირიკულ მეს სურს, გადალახოს ენის საზღვრები, ამაზე მიგვითითებს ლექსში გამოყენებული განყენებული სტრიქონები, რომლებიც ლირიკული მეს ერთგვარი პროტესტის ფორმად წარმოჩნდება: 1. „ასე გულდინჯად ლოკოკინა ტოვებს ნიჟარას!“⁴ 2. „ქვამაც კი იცის, ქვა რით მოაღბოს!“⁵

1 Der Käfer reicht die Herrlichste von weit
Hätt ich nur seinen Sinn, ich fühlte auch

2 ზიგმუნდ ფროიდის დაკვირვება მის პაციენტ დორაზე

3 Wasser weiß zu reden,

Die Welle nimmt die Welle an der Hand

4 So arglos tritt die Schencke aus dem Haus

5 Ein Stein weiß eninen andern zu erweichen!

იმისათვის, რათა ენა უტოპიად, მშვენიერებად იქცეს, ლირიკული მე-
ენის სისტემის შეცვლას კი არ ცდილობს, არამედ მისი გამოყენების ფორმათა
შეცვლისკენ ილტვის:

ეს უმძიმესი მოკლე ხანი ფიქრს შევალთ,
ალარ შევიგრძნო სიყვარული და აღარც გავცე?¹
(Bachmann 2010:143)

ავტორი დასახელებულ სტროფში რიტორიკულ ფიგურას იყენებს და
კითხვითი წინადადებით სტილისტურ ტრიუკს მიმართავს იმის საჩვენებლად,
რომ ჩვენ კითხვაზე პასუხს ჭეშმარიტებისა და ერთმნიშვნელოვნების დად-
გენის გარეშე შეიძლება მივუახლოვდეთ, ერთმა ჭეშმარიტებამ შეიძლება მე-
ორეზე მიგვითითოს.

ლექსის დასასრულს ტექსტში იმპლიციტური დიალოგი ჩნდება, ამაზე
მეტყველებს ლირიკული მეს პასუხი სიყვარულისადმი: მას არ სჭირდება ახს-
ნა და განმარტება, რადგან სალამანდრას მაგალითით ასკვნის, რომ საზღ-
ვრის გადალახვა მაინც არის შესაძლებელი, თავად საზღვრის არსებობა ამის
დასტურია:

ნუ, ნუ ამიხსნი. ვიცი და ვხედავ, რომ სალამანდრა
ყოველნაირ ცეცხლს გადალახავს.²
(Bachmann 2010: 143)

ცნებების მრავალმნიშვნელობასა და ენის პარადოქსულობაზე წუხს
ლირიკული მე ინგებორგ ბახმანის ლექსში „გაუცხოება“ („Entfremdung“). ლექ-
სის დასაწყისშივე ლირიკული მეს დაბნეულობას გამოხატავს შემდეგი ანაფო-
რა: ხეები-ხეები (Bäume –Bäume) (ბახმანი 2010: 233), რითაც ცნებების ერთმ-
ნიშვნელოვნების შეუძლებლობასა და ენის უძღურებას გამოხატავს. „ხეებში
ხეებს“ ვერ ხედავს ლირიკული მე, მაგრამ მაინც იძულებულია მათ „ხეები“
უნოდოს. პატრიარქალურ/სიმბოლურ სამყაროში ქალურობას გამოსავლად
მასკარადი, ისტერია, მიმეზისი რჩება, რომლებიც პატრიარქალური დისკურ-
სის დეკონსტრუქციას ახდენს, თუმცა დასახელებული ფორმები ქალებს სა-
კუთარ ადგილს ვერ აპოვნინებს, რადგან მიმეზისი, ისტერია და მასკარადიც
ისევ იმ ცნებას აჯაჭვებს, რომლის დამსხვრევეაც სურდათ. მიჯაჭვულობით
გამონვეულ ტკივილს ლექსში გამოხატავს ე.წ „ჩარჩო ფრაზა“ : „რა უნდა მოხ-
დეს ამაზე მეტი?“³ (Bachmann 2010: 233).

1 Sollt ich die kurze schauerliche Zeit
Nur mit Gedanken Umgang haben und allein nichts Liebes kennen
Und nichts Liebes tun?
2 Erklär mir nichts. Ich seh den Salamander
Durch jedes Feuer gehen.
3 Was soll nur werden?

ლირიკული მე საკუთარი მდგომარეობის ასაღწერად შემდეგ ბინარულ ოპოზიციას იყენებს: გამაძლარი-მშიერი (satt-hungrig) (232), ბინარული ოპოზიციის დასახელებულ ელემენტებში იერარქია დარღვეულია, რადგან „შიმშილი“ ლირიკული მეს ბუნებრივი მდგომარეობაა და მის მოსაკლავად ღამეს მიმართავს, ღამე ლექსში არაცნობიერთან/საწყისთან ასოცირდება და კითხვით: „და ამ ყველაფერს კვლავაც უნდა მივუახლოვდე?“,¹(233) ნათელი ხდება, რომ ეს არაერთხელ გაუკეთებია, მაგრამ მიუხედავად ამისა განყენებულ სტრიქონში ანაფორის: გზა-გზა (Weg-Weg) (233) გამოყენებით ასკენის, რომ გზა არ არის: „მე ვერც ერთ გზაში გზას ვეღარ ვხედავ“²(233).

ინგებორგ ბახმანი ლექსში „რა სახელი უნდა დავირქვა?“ (Wie soll ich mich nennen?) ბინარული ოპოზიციების გადაღახვას ცდილობს, რადგან გადაღახვამ შესაძლებელია მას თავი შეაცნობინოს: ფესვგადგმული-თავისუფალი (gebunden-frei), უდრეკი-მფრთხალი (harter-flüchtendes), დასაწყისი-დასასრული (Beginnen-Enden), დაფლული-აღმოცენებული (gefesselt-entließ):

თუმც, ჩემში კვლავ მღერის ერთი დასაწყისი,
ანდა დასასრული-გაქცევას-რომ მიშლის.
ცოდვის ამ ისარს მსურს თავი დავაღწიო.³

(Bachmann 2010: 247)

The extreme volume of literary production, the thematic challenges and the abundant opportunities for immediate contact with the readers changed the functions of operative criticism, and the mission of literary studies – a.k.a. *new readings*. During this period, literary criticism ceased to value and analytically evaluated both individual works and entire literary domains that were unfamiliar at the time. The literary-critical deconstruction of processes and phenomena, which were in fact very dynamic and mutually exclusive, replaced the so-called periodic *critical reviews* with market charts and media popularity. The current criticism became more of a mediator between the writer and the general public and sometimes skilfully used popular clichés to wilfully act as an advertiser. This, of course, was a natural reaction to the strict ideological control that had recently prevailed in literature, which had turned literary critics into judges, depriving them of the rights of professional and objective interpreters of artistic phenomena. The comprehensive research work of Rosalia Likova, Nikola Georgiev, Svetlozar Igov, Mikhail Nedelchev, Vihren Chernokozhev, Valeri Stefanov, Aleksandar Kyosev, Milena Kirova, Miglena Nikolchina, among others, was significant for the value consideration of the literary process in this period, as well as the later literary criticism and theoretical research of the generation, that actively developed the 1990s literature: Plamen Doynov, Boyko Penchev, Plamen Antov, Boris Minkov, Edvin Sugarev, Ani Ilkov, etc.

Remorse was a crucial element of literary studies because of the manipulatively deformed facts, the forbidden works and the forgotten authors from the history of Bulgarian spirituality in the 20th century. Literary critics assumed the task to outline the credible and objective image of Bulgarian literature. The journals *Literaturna misal*, *Ezik i literatura*, *Balgarski Ezik i literatura*, *Letopisi*, *Literatura* etc. were of great importance in this respect.

The memory of the emblematic issues that formed the classical dimensions of the national literature materialized in the revival of the journal titles – *Strelets*, *Hyperion*, *Nov Zlatorog* – but despite their aesthetic eclecticism, they didn't last long. Only the journal *Vezni* enjoyed long years of publishing thanks to its pragmatic adaptability to the market norms of modern times. The *Ah*, *Maria* and *Seasons* journals offered an alternative in terms of the artistic platform and ambition for elitism, but unfortunately only existed for a short while. Serious articles, which analysed the literary history and the then current cultural process, were published in the *Vek 21* newspaper and the *Demokraticheski Pregled*

journal. The vigorous growth of literary periodicals, their style diversity, stated in avant-garde manifests, in texts with conservative literary-historical programs, was undoubtedly a sign of taking full advantage of the opportunities of democracy, of free, dialectical but polemical imposition, development and disappearance of artistic processes at the end of the 20th century. It was precisely these that marked the restoration of the rights denied to literature and literary science in terms of making an ideologeme-free choice. The challenges of new technology implied the creation of previously unknown forms of intellectual communication. Electronic publications and websites (such as Georgi Chobanov's *LiterNet* and Martin Mitov's *The Word*, etc.) moved literature to a socio-cultural field, which was to become more and more influential in the next decades.

Political changes provoked a massive wave not only to illuminate taboo areas of literary history, but also to a moral reevaluation of conscious or forced existential and creative compromises. This trend mostly found an artistic realization (more honest or more manipulated) in the blossoming forth of the memoir and documentary literature. Through the prism of the subjective memory or the daily chronicle of time recorded in diaries, the Bulgarian writers built the complex mosaic of the totalitarian period. Subjectively experienced, but also full of documentary facts, the memorial artistic space brought some credible knowledge, but also vivid information about the political and cultural life of the recent past. The posthumously published *Dnevniitsi ot razlichni godini* by Emilian Stanev and *Dnevnik* by one of the leading literary critics in the years of social realism – Boris Delchev – were accepted with great interest, but also with extensive discussions. The fictionally written memories of Vera Mutafchieva *Bivalitsi (True Stories)*, Georgi Danailov *Dokolkoto si spomnyam (As Far As I Can Remember)*, Konstantin Iliev *Porazhenieto (The Defeat)* also attracted interest. Peter Alipiev created an original chronology of that period through ironic recognition in anecdotes in *Bez malko Tirtei (Almost Tyrtaeus)*. By examining archives and documents, Emil Dimitrov, Bozhidar Kunchev, Mikhail Nedelchev, Tsveta Trifonova, Vihren Chernokozhev did valuable research into strictly protected political zones of cultural life or ideological mythologized personalities from the years of totalitarianism. The books investigating the murder of the writer Georgi Markov played a significant part in outlining the tragic marks left by the Communist regime on literary life. One of the first books of that kind was Hristo Stoyanov's *Ubiyte Skitnik (Kill the Wanderer)*.

Emigrant fate – a curse or a chance. This is one of the sustainable subjects in the 1990s cultural space. The return of Bulgarian emigrating intellectuals was more than an important milestone in their lives. Literature attempted to illuminate and understand the political secrets of totalitarian times, narrated by the books of writers, journalists, emigrants from different generations. With their sophisticated style and slightly archaic vocabulary, the books by Stefan Popov, Stefan Gruev, Peter Uvaliev, Hristo Ognianov, restored both the sense of sacredness of the national, in spite of the vicissitudes of life, and the original meaning of patriotism – not as a hollow and loud slogan, but as a conscious mission

of the intellectual. In the plots of their publicist, essayistic, memorial works, most often memories and political analyses, historical realities, and vivid psychological observations intertwined.

In the fictional domain of artistic texts and in the autobiographical stories of Marran Gosov, Dimitar Bochev, Atanas Slavov, Lyubomir Kanov, Iliya Troyanov and many others, the memories of the traumatic scars left by the events in our country but also in the foreign social and cultural environment were supplemented by current political comments, philosophical interpretations of impossible existential choices and national chances. The complex synthesis between the memoir, the documentary, and the artistic made of emigrants' books an authentic proof of the Bulgarian 20th century. They provided a possible reading of political events that had changed the messages and the mission of literature. Undoubtedly, the most important act of remorse was Georgi Markov's official return to Bulgarian literature – his crime stories, novelettes, and dramas, especially *Zadochni reportazhi (In Absentia Reports)*. The latter, in particular, showed most vividly and to the bitter end the model of the totalitarian system, which manipulated and killed. They embedded the will for truth and memory, for the expected change and the much-needed spiritual catharsis in the 1990s.

Besides the active translation of literary texts filling the *gaps* of knowledge about the current trends in the development of humanitarian science, an important, not so much autobiographical, but socially significant element was the placement of the works of Julia Krasteva and Tzvetan Todorov – scientists of world recognition – in the Bulgarian cultural context. The end of the century marked the beginning of their return and their increasing presence in the national spiritual space in the following decades.

The works of bright creative individuals (Blaga Dimitrova, Konstantin Pavlov, Radoy Ralin, Boris Hristov, Ivaylo Petrov, Ivan Teofilov, etc.), written before and after the *change*, outlined the signs of the difficult path of Bulgarian literature from the closed, ideologically burdened context of socialist realism to the aesthetic challenges and artistic experiments of modern times. This boundary time-space, which separated freedom from non-freedom in literature, had many different connotations. One of them was the *truth* about the past. In the novels of Viktor Paskov, Zlatomir Zlatanov, Vladislav Todorov, this truth was filled rather with symbols and images suggesting the tragedy and the permanent traumas of the memory of totalitarian time, than with documentary credibility.

A characteristic feature of the period was the *division* of literature. Once controlled, edited, and censored, it suddenly faced the challenges of the free market and the lack of sustainable artistic criteria. This considerably obliterated the boundaries and equalized high and low, mass and elite, trivial and valuable in the culture of *transition*. Changing the aesthetic paradigm turned the cynical manner of expression, the brutal stories about the crimes of the new *heroes* of the time, their ties to the state structures, into a market bestseller. The public interest, reflected in the large circulation and the media popularity of the *yellow* stories, narrated with dubious artistic qualities, could also be seen as a gesture of rebellion against the ideologues of socialist realism. Unfortunately, the events from

the next decade showed that mass culture imposed a very poor taste, constantly changing aesthetic and moral values. These apparent contrasts were most clearly marked, following the pendulum between the intellectual, ironic and aesthetic plots in prose (Chavdar Tsenov, Lyubomir Milchev, Boris Minkov) and the boulevard one, as well as in the works of Hristo Kalchev, some of the novels of Alexander Tomov, Vlado Daverov, etc.

The transformations in poetics, the new thematic fields, broke the matrix of classical literary styles. In prose, the tradition was parodied by spectacular word play (Lyudmil Stanev), the contemporary social reality was interpreted through the prism of the comedy (Alek Popov, Stefan Kisiov) or the tragedy (Deyan Enev, Palmi Ranchev). An important phenomenon of this period was also Ani Ilkov's poetry, demythologizing sacral concepts and images. The new poets were recognized as followers of Konstantin Pavlov, Nikolay Kanchev, Binyo Ivanov. They emphasized both the prestige of these authors as individuals, who stood their ground, and the influence of their works on the establishment of modern poetic paradigms.

It was difficult to form a steady trend in literary life since 1989. It was dynamically changing and fragmentary. It comprised several creative generations, who were united in intellectual communities and were opposing each other in alternative periodicals. Yet, we could say that postmodernism in Bulgarian posttotalitarian literature was the dominating trend. In the beginning, it was manifested as a sort of rebellion against ideological constraints and aesthetic clichés in art. New circles of writers and experts in literature were formed, united by common aesthetic ideas and political beliefs, which, through manifestoes, parody anthologies, original poetry and prose, modern literary interpretations and long forgotten or forbidden literary and historical texts, not only restored the authentic face of Bulgarian literature, but also outlined the leading trends in the 1990s.

Syncretism was the one feature of Bulgarian postmodern prose. It learned and recreated many models – national and foreign – creating a complex mosaic of quotes, used with elegance and aesthetic refinement. The novels by Georgi Gospodinov, Milen Ruskov, Zlatomir Zlatanov turned historical plots or actual social problems into a scene where the author and the characters played fictional and real narrative etudes. They created an open, provocative plot space, sending messages and motivating the reader to reflection and self-knowledge. Bulgarian postmodern literature revived the power of words to create with the intellectual pleasure of liberated imagination and language unconstrained in its associative provocations.

Throughout the 20th century, women who were creating literature in Bulgaria played a key role in cultural life. They took active public positions and expressed their creative talent in all genres. But in various literary and historical stages their creativity was subordinated to various causes and ideologies – from the achievement of political equality, through social and everyday emancipation to creative equality. In the 1990s, the so-called *women's writing* was in line with the current problems of feminism. Female authors had a subtler, but more painful sensitivity to the moral and ethical transformations of that time, to the unregulated chaos causing the collapse of values, but also to the creative temptations

offered by the new thematic fields and the ban-free artistic experiments. Female authors tried to subdue the time to words and use it to create a new order, be it a fictional one. The novels and stories of Emilia Dvorianova, Maria Stankova, Teodora Dimova, Albena Stambolova, Zdravka Evtimova were different, both in poetic and in stylistic terms. In general, female authors harmoniously combined philosophical, biblical, and existential themes and used them to analyse the models of women's identity, the psychological dimensions of love, solitude and alienation, intimate and social spaces of women. Mirela Ivanova, Silvia Choleva, Virginia Zaharieva, Amelia Licheva, Miglena Nikolchina, etc., also established a distinguished poetical style. They created the poetic image of a modern woman seeking her identity and asserting her right to existential choice and sexual liberty.

The presentation of emblematic events and authors marked the symptomatic processes in the modern Bulgarian culture of the *transition*, situated in problematic and controversial artistic contexts. In this complex, dynamically changing environment, their chronological order and factual exhaustiveness were not so crucial, it was rather the aesthetic provocation and the strong social resonance of literary processes, unfamiliar at the time. They included the rebel of the new time, imposing a free creative expression, denying the ideologemes of socialism and the pedestal attitude towards the literary canon. The generation of the 1990s was not afraid to destroy traditional myths and create new mythologemes, to impose alternative genres and to strive for scandalous creative appearances. The closed, chamber self-sufficiency of literature was denied in the name of publicity, the show and the multimedia effects. The fruitful symbiosis between literature, theatre, music, and visual arts was what created the polyphony of languages and styles as a collision between clichés and avant-garde.

The original synthesis of the means of expression and spectacular visual realizations of speech was characteristic of the poetic *Petak 13 (Friday 13)* performances, very popular at the time. In these performances, Mirela Ivanova and Boyko Lambovski skilfully played their verses in front of huge audiences and using precise and spectacular theatrical techniques, by overlaying many roles and masks, they actually managed to adroitly distinguish the poet and the actor. *Avtorski literaturni teatar (The Literary Authors' Theatre)* was another interesting cultural phenomenon of the 1990s. The improvisation, the parody, the meaninglessness, but also the revival of sustainable cultural symbols, consistently and courageously performed by G. Gospodinov, P. Doynov, B. Penchev and J. Eftimov, marked the codes of a different poetics. The originality of this syncretism between theatre and literature indicated the persistent provocations of reconsidering the past, of changing the values of the present; it implied the popularity of these performances by giving them the statute of some sort of a corrective to the traditional, too conservative or ideologically deformed concept of literature. In the context of political changes, these were considered an alternative aesthetic position, signs on the complex path in the validation of Bulgarian literature, seeking its new identity.

The determined transformation of the perception of the author was typical of this period of sudden estrangement from triviality. The author was no longer a mysterious and self-sufficient person, he/she was a writer, but also an actor, a publisher of his/her

works, a person of a clear aesthetic and political position. Our national culture was again free to match European models, albeit much later, in other aesthetic and social and cultural contexts. Authors no longer strived for mediation to present their works to the public. They used traditional paper issues as an occasion to perform various forms of stage appearances. For example: the poetic troubadour duels – interesting, attractive, well conceptualized, focused on intellectuality as knowledge, and improvisation as a focal point of talent. Or crossing the limit between meaning and attraction, the dominance of form over content, the preference for external effects typical of the *Rambo 13* philosophy and literary circle. Discussed or defamed because of their artistic inequality, they were very persistent in time – their bright and sometimes extremely radical appearances continued for almost two decades.

In the years of transition, the concept of the artistic value of the book also changed. Its constitution in the literary canon was not so important, it was rather its publicity, the visualization of the meaning and the messages it conveyed. The search for extravagance and scandal were part of the post-modern cultural gestures, but the revaluation and even the remorse of the representation of forbidden or forgotten authors and works were also significant. The premieres of both classical and new books were remarkable – they were remembered and commented on. P. Doynov's *Rezervatat Visyashtite gradini na Bulgaria* (*Hanging Gardens of Bulgaria*) was a theatrical performance in which the poet played three different parts; the premiere of Y. Eftimov's *Africa. Numbers* was a football match; Roman Kisiov presented his books in a designated artistic space, accompanied by music; other poets included hip-hop dancing or ballet. The poetic play was performed in theatre as Petar Chuhov's *Bezopasni Igli* (*Safety Pins*) (a Sfumato performance), considered by critics as a "haiku holiday in theatre"; *Ela, legni varhu men* (*Come, Lie on Me*) by Sylvia Choleva (University Theatre at New Bulgarian University); *Tapetite na Vremeto* (*The Wallpapers of Time*) by Konstantin Pavlov – poems, staged by Yulia Ognyanova (A. Konstantinov State Satirical Theatre); the artistic project *I, Hamlet*, which took place near the *Salzata* (*The Tear*) Lake in Rila.

The late, and yet intense, attempt to realize the *Slam* phenomenon was also interesting. It was accepted with some suspicion because of the enticing uncertainty of free stage and poetic performance. The poetic scenario caught up with its backwardness by finding new and different forms of communication with the reader-viewer, using publicly available forms of psychotherapy, mass sharing and public empathy, through speech, music, and ritual movements. This is how the poetic performance avoided the boredom of the monotonous reading (Vasil Vidinski, Maria Kalinova, Kamelia Spasova, etc.), provoked, scandalized, caused and discouraged aesthetics (Urban Readings, Literature in Action, Point vs. Point, Virginia Zaharieva, etc.).

It was in this symbiosis between the two arts, in the complex combination of poetry, music, and movement, that the identity of the contemporary artist was more vividly outlined – with no masks or mediators in the communication with the audience. These events definitely distinguished themselves from the rituality of academic readings, parodying the

template critical assessments. They focused on performance and improvisation, created a celebration of the free, unbiased, creative spirit, formed productive connections between vision and words, between literature and show. This was a different literary reality – attractive, sometimes even scandalous, but easily forgotten or replaced by newer modern forms, an essential part of the cultural environment at the end of the 20th century.

This text is left without conclusion because the Bulgarian literature since 1989 is not a finished literary story. It is created even now and is still dynamically changing. Therefore, it is hard to objectively analyse and even harder to present.

References¹

- Alipieva, Antoaneta: *Bulgarian Lyrics from the 1970s: Trends, Models, Names*. Veliko Tărnovo: 2010.
- Antov, Plamen: *Reverse Poetics of the 80's: Down, In, Back*. – In: *Lord of the Wonder. Collection in memory of Georgi Rupchev*. Sofia, 2008, p. 161–172.
- Dimitrov, Emil: *Memory, Anniversary, Canon. Introduction to the Sociology of Bulgarian Literature*. Sofia: 2001.
- Doynov, Plamen: *An alternative canon. The Poets*. Sofia: 2012.
- Eftimov, Yordan: *Poetics of the Agreement and the Disagreement. The Bulgarian Literature from the 1950s to the 1990s and Ideology*. Sofia: 2013.
- Hristova, Natalia: *Specificities of the Bulgarian Dissidence. Power and Intelligence 1956–1989*. Plovdiv: 2005.
- Igov, Svetlozar: *A Short History of the Bulgarian Literature*. Sofia: 2005.
- Ivan Tsanev in *Bulgarian Literature and Culture. Proceedings*. Sofia: 2012.
- Konstantin Pavlov in *Bulgarian Literature and Culture. Proceedings*. Sofia: 2009.
- Kyosev, Aleksandăr: *A Non-Radical Manifesto. A Critique of the Guild Ideology*. – *Fakel* (2005) No 1, p. 265–293.
- Levchev, Vladimir: *Poets without Books and Books without Poets*. – *Plamāk* (1987) No 10, p. 131–139.
- Markov, Georgi: *Extraordinary Reports for Bulgaria*. Sofia: 1990.
- Nedelchev, Mihail: *Both Cultures and Their Poets*. Sofia: 2012.
- Nedelchev, Mihail: *Effect of Spacing*. Sofia: 2015.
- Nikolchina, Miglena: *What is Happening in the New Bulgarian Poetry*. – *Literaturen vestnik* No 24, 20–26 June 1994.
- Novkov, Mitko: *The Youth Will Save the World*. – *Literaturen vestnik* No 16, 14–20 May 1997.
- People's Republic of Bulgaria – The Literature: History, Concepts, Approaches*. Ed. Plamen Doynov. Sofia: 2012.
- Penchev, Boyko: *The Generation – an instrument or a community*. – *Literaturen vestnik* No 5, 7–13 February 2001.
- Popov, Stefan: *The Bulgarian Idea*. Sofia: 1994.
- Radev, Ivan: *With the Scar of the Time*. Sofia: 1980.
- Slavov, Atanas: *Bulgarian Literature of the Thawing*. Sofia: 1994.

1 All the titles are translated from Bulgarian.

Spasov, Rumen: *Continuity or Utopias*. – *Literaturen vestnik* No 5, 7–13 February 2001.

The Years of the Literature – 1989. Proceedings. Ed. Plamen Doynov. Sofia, 2010

Traykova, Elka: *Bulgarian Literary Polemics*. Sofia, 2001.

Trendafilov, Vladimir: *Disintegration of the Podium: Poetry in the 1990s*. – *Plamāk*, No 1–2 (2002).

Trendafilov, Vladimir: *A Week at the Literary Aquarium*. Sofia, 1999.

Znepolski, Ivaylo: *Bulgarian Communism. Socio-Cultural traits and Power Trajectory*. Sofia, 2008.

ირმა რატიანი
(საქართველო)

ელკა ტრაიკოვა
(ბულგარეთი)

**პოლიტიკური პროცესების და ლიტერატურული
დისკურსის ურთიერთმიმართებისათვის.
სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება**

რეზიუმე

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკა, სალიტერატურო პროცესი, საქართველო, ბულგარეთი.

საერთო სათაურით წარმოდგენილია ირმა რატიანისა და ელკა ტრაიკოვას ორნაწილიანი გამოკვლევა, რომელში განხილულია ქართული და ბულგარული ლიტერატურული დისკურსების ურთიერთმიმართება პოლიტიკურ პროცესებთან. ავტორები გამოხატავენ პოლიტიკური მოვლენებით ერთნაირად დატვირთულ, თუმცა განსხვავებულ ეპოქებს.

ირმა რატიანის წერილში საანალიზოდ შერჩეულია 1918-21 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, იმ მოვლენებთან ერთად, რომელიც წინ უძღოდა და მოსდევდა სამწლიანი სახელმწიფოებრიობის არსებობას და განაპირობებდა ქვეყანაში მიმდინარე ზოგადად კულტურულ, კერძოდ, ლიტერატურულ პროცესებს.

თუ საუკუნეების მანძილზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი მარკერი სარწმუნოებრივი იდენტობა იყო, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, ერთმორწმუნე რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, ქართულმა საზოგადოებამ, რომლის უმთავრეს ბირთვს მწერლობა წარმოადგენდა, გამოიარა პოლიტიკური ბრძოლისა და ეჭვების, იმედისა და გულგატეხილობის გრძელი გზა, სანამ არ მივიდა დასკვნამდე, რომ, საერთო რელიგია საკმარისი არ არის განსხვავებული ტრადიციებისა და ისტორიის მქონე ორი სახელმწიფოს თანაარსებობისათვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული ანტიკოლონიალისტური მოძრაობის ისტორიულად ჩამოყალიბებული რელიგიური სტრატეგია ნაციონალური სტრატეგიით შეიცვალა. დამკვიდრდა ქართული პოლიტიკური და კულტურული აზროვნებისა და ეროვნული იდენტობის ახალი სტანდარტი. ამასთან, ეროვნული ღირებულებების ცნება არასოდეს ყოფილა რადიკალური პატრიოტიზმისა და იაფფასიანი სპეკულაციების საგანი ქართველი მოაზროვნეებისათვის, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საუკეთესო ჰუმანისტური იდეების გაერთიანების საშუალება.

ახალი საუკუნის პირველი ათწლეული ქართულ ლიტერატურაში მოდერნიზმის გაფუძვნიება და ავანგარდული კულტურის დაფუძნებით გამოირჩა, როგორც ლოგიკური გაგრძელება მსოფლიო კულტურასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნული ლიტერატურული ნარატივისა. მაღალმა მოდერნიზმმა, თავისი მრავალფეროვანი ფორმებითა და შენაკდებით, თავისუფლებისაკენ სწრაფვით, ჭეშმარიტების ძიების მხატვრული ტენდენციებითა და ინდივიდუალიზმის დაფუძნებით, პიკს სწორედ ამ პერიოდში მიაღწია.

1918 წელს ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენას ქართული ლიტერატურა დიდი იმედებით შეხვდა. ქართველ სიმბოლისტებს მიაჩნდათ, რომ ლიტერატურაში დაწყებულ რენესანსს აუცილებლად მოჰყვებოდა ქვეყნის პოლიტიკური რენესანსიც. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის პერიოდის ლიტერატურულ ტექსტებში ერთი მხრივ, იგრძნობა ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენით გამოწვეული საზეიმო განწყობა, მეორე მხრივ კი – შიში და ნუხილი, რომელიც განპირობებული იყო გარემომცველი რეალობის გონივრული ინტერპრეტირებით.

1921 წლის შემდეგ ქართული ლიტერატურა განსხვავებული რეალობის წინაშე დადგა. მწერალთა დიდი ნაწილი „საბჭოთა სახელმწიფოს მტრებად“ გამოცხადდა. სწორედ ამ მიზეზით დაისაჯა პროგრესული, მოდერნისტული და ავანგარდული ფრთის არაერთი წარმომადგენელი. სიტუაციის ტრაგიკულობას ქმნიდა არა მხოლოდ ცალკეულ მწერალთა ბედისწერის, არამედ ლიტერატურული პროცესის მთლიანი პარადიგმის ნგრევა, რომელსაც 70-წლიანი საბჭოთა დიქტატურის დასრულების შემდეგ ხანგრძლივი კულტურული რეაბილიტაცია დასჭირდა და ჯერაც მიმდინარეობს.

ბულგარელი მკვლევარი აანალიზებს იმ პროცესებს, რომელიც განვითარდა ბულგარულ ლიტერატურაში სოციალისტური ბანაკის დასუსტებისა და მისი საბოლოოდ დაშლის შემდგომ პერიოდში.

ბულგარეთის ისტორიაში 1989 წელი ითვლება მიჯნად, საიდანაც იწყება ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული ცხოვრების ახალი ეტაპი.

იდეოლოგიურ კლიშეებზე უარის თქმამ, ესთეტიკური შეზღუდვების მოხსნამ ხელი შეუწყო ახლი პოეტიკის და პოეტური ენის, პროზისა და დრამის დაბადებას, ლიტერატურის ისტორიის უპრეცედენტო ნაკითხვას, ახალი ავ-

ტორების, ტექსტებისა და მოვლენების გაჩენას. ბულგარულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა ახალი ესთეტიკური ტენდენციები, რომელსაც დასაშვებად მიაჩნდა მხატვრული ექსპერიმენტები და თემატური პროვოკაციები.

21-ე საუკუნის დასაწყისის ბულგარული ლიტერატურა წარმოადგენს სტილთა და სიუჟეტთა რთულ კონგლომერატს, რომლის მხატვრული ღირებულება არაერთგვაროვანია. აქტიურად მიმდინარეობს ლიტერატურის ისტორიის გადახედვა, კავშირის აღდგენა აკრძალულ და დავიწყებულ ავტორებთან.

ლიტერატურა გათავისუფლდა ჩაკეტილობისა და ელიტური თვითკმარობისგან, დაიწყო საზოგადოებრივი თვითრეალიზების ალტერნატიულ ფორმების ძიება. ესთეტიკური და იდეოლოგიური ცვლილებები აისახა პერიოდული გამოცემების თანამშრომელთა მუდმივი წრისა და გამოცემების სახელწოდებების ცვლილებითაც.

შეიცვალა ლიტერატურული კრიტიკის ფუნქცია, ლიტერატური კვლევების მისია კი ძველი ტექსტების ხელახალი წაკითხვა გახდა. კრიტიკამ შეწყვიტა კონკრეტული ნაწარმოებებისა და პროცესების შეფასება და ის ჩაანაცვლა მასმედიაში გამოქვეყნებული მიმოხილვებით, საბაზრო ღირებულებისა და პოპულარობის განმსაზღვრელი დიაგრამებით. ეს ბუნებრივი რეაქცია იყო იმ იდეოლოგიურ კლიშეებზე, რომლებიც სულ ცოტა ხნით ადრე ბატონობდა ლიტერატურაში და კრიტიკოსებს მოსამართლეებად აქცევდა, ართმევდა მათ მხატვრული მოვლენის პროფესიულად და ობიექტურად შეფასების უფლებას.

პოლიტიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია არა მარტო ისტორიულად აკრძალული თემების გაშუქების მასობრივი ტალღა, არამედ მორალური გადაფასებაც. ამ ტენდენციამ განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა მემორიალური და დოკუმენტური ლიტერატურის აყვავების სახით. სუბიექტური მახსოვრობით აღდგენილი თუ დღიურებში ჩანერილი ყოველდღიური ქრონიკის მეშვეობით, ბულგარელმა მწერლებმა აანყვეს ტოტალიტარული ეპოქის რთული მოზაიკა.

მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ბულგარულ ემიგრანტ ინტელექტუალთა დაბრუნება სამშობლოში. ლიტერატურა ცდილობდა გაეშუქებინა და გაეგო ტოტალური დროის პოლიტიკური საიდუმლოებები, რომლებიც სხვადასხვა თაობის ემიგრანტთა წიგნებში იყო გადმოცემული.

აქტიურად ითარგმნებოდა ტექსტები, რომლებიც ავსებდა ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციების ცოდნას.

საუკუნის დასასრული აღინიშნა იულია კრისტევასა და ცვეტან ტოდოროვის – მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერთა დაბრუნებითა და სულ უფრო მზარდი მონაწილეობით მომდევნო ათწლეულის ეროვნული სულიერების სივრცეში.

ბულგარული პოსტმოდერნიზმი ხასიათდებოდა სინკრეტიზმით. მან შეისწავლა და აღადგინა მრავალი უცხოური და ეროვნული მოდელი. ამ ტექსტებში ისტორიული სიუჟეტები თუ აქტუალური სოციალური პრობლემები იქცა სცენად, რომელზეც ავტორი და პერსონაჟები ათამაშებდნენ ნამდვილ და გამოგონილ ნარატიულ ეტიუდებს.

მყარი მხატვრული კრიტერიუმების არარსებობისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, წაიშალა საზღვრები მასობრივ და ელიტურ, ტრივიალურ და ღირებულ ლიტერატურას შორის. ესთეტიკური პარადიგმების ცვლილებამ გამოხატვის ცინიკური მანერა, დანაშაულების სასტიკი ისტორიები ბაზრის ბესტსელერებად აქცია.

1989 წლიდან რთული გახდა ბულგარეთის ლიტერატურული ცხოვრების მყარი ტენდენციების ჩამოყალიბება. ეს იყო ფრაგმენტული და დინამიურად ცვალებადი, სხვადასხვა ინტელექტუალურ ჯგუფებში გაერთიანებული და ალტერნატიული გამოცემებით ურთიერთდაპირისპირებული რამდენიმე თაობისაგან შემდგარი ლიტერატურული საზოგადოება.

ბულგარულ ლიტერატურაში მიმდინარე პოსტსოციალისტური პროცესი ჯერაც არ დასრულებულა, ის დინამიკური ცვლილებებს განაგრძობს, რაც არის მიზეზი იმისა, რომ ავტორი დასკვნების გარეშე ტოვებს წარმოდგენილ სტატიას.

**რუსუდან თურნავა
ნინო გაგოშაშვილი
(საქართველო)**

**ფრანგული თეატრით შთაგონებული ქართული პიესები
(ადაპტაცია 1880 – 1920 წლების ქართულ დრამატურგიაში)¹**

მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლები საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მთელი რიგი სიახლით ხასიათდება. აღნიშნულ პერიოდში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი მმართველობის იმ სისტემაში, რომელიც რუსეთთან შეერთების შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში. ამასთან კაპიტალისტური განვითარების გზაზე დამდგარ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობამ საქართველოში დააჩქარა ახალი კლასის – ბურჟუაზიის წარმოშობა და გაძლიერება. უკიდურესობამდე გამწვავდა ურთიერთობა ყმასა და ბატონს შორის. სანარმოო ძალთა განვითარებამ ბატონყმური ურთიერთობა არსებობის დასასრულს მიუახლოვა. ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევასთან ერთად განმტკიცებას იწყებს ბურჟუაზიული ურთიერთობა.

ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ქვეყნის კულტურულ ვითარებაზეც. საჭირო გახდა სწავლა-განათლების ქსელის გაფართოება და სხვა კულტურულ დაწესებულებათა დაარსება.

განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო ქართულ ლიტერატურაში. ნაცვლად რომანტიზმისა, საფუძველი ჩაეყარა კრიტიკულ რეალიზმს როგორც ლიტერატურულ მიმართულებას. 40-50-იანი წლები ქართული ლიტერატურის ისტორიაში აღინიშნა, როგორც რეალიზმის წარმოშობის ეპოქა.

უნდა აღინიშნოს, რომ რეალიზმის ტენდენციები შეინიშნებოდა ჯერ კიდევ ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენლის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. მომდევნო ხანაში – 50-იან წლებში კი ჩაისახა რეალიზმის სკოლა, რომელიც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ადრეული რეალიზმის სახელით. (გ. ერისთავი, ლ.არდაზიანი, ზ. ანტონოვი). ამ რეალისტურ სკოლას უსათუოდ ახასიათებდა მკვეთრად გამოხატული კრიტიკული ელემენტები. მაგრამ ქართული კრიტიკული რეალიზმი როგორც მონივნავ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პრინციპებზე დაფუძნებული მხატვრული სისტემა, რომელმაც უპასუხა სოციალურ-ეროვნული მოძრაობის

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „ფრანგები საქართველოში და ფრანგული ლიტერატურის რეფლექსია XIX-XX საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურულ სივრცეში“ – ხელშეკრულება № 217722-ის ფარგლებში.

მიერ წამოყენებულ ეპოქალურ ამოცანებს, თავისი კლასიკური სახით 60-იან წლებში ჩამოყალიბდა.

60-იანი და 70-იანი წლების ქართულმა ლიტერატურამ დიდად წასწია წინ ეროვნულ-საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესი. ამ დროის ინტელექტუალურ განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ქართული მხატვრული მწერლობა, რომელშიც გაბატონებული ადგილი დაიჭირა კრიტიკულმა რეალიზმმა.

ქართული კრიტიკული რეალიზმისთვის დამახასიათებელი იყო განმათავისუფლებელ საზოგადოებრივ მოძრაობასთან განუყრელი კავშირი, სოციალურ საკითხთან ერთად ყურადღების ცენტრში ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის პრობლემის დაყენება.

ახალი იდეური პრობლემატიკა და მხატვრული ნოვატორობა, სოციალური სიმახინჯისთვის ნიღბის ჩამოგლეჯა, სინამდვილის ჩვენება ტიპობრივ სახეებში და ტიპობრივ გარემოებაში რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ფონზე, ასეთია ქართული კრიტიკული რეალიზმის არსებითი სპეციფიკური თავისებურება.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ნ. ნიკოლაძემ დაინახა ჭეშმარიტი ეროვნული, ხალხური სულისკვეთებით გამსჭვალული ხელოვნება, რომელიც უპასუხებდა ერის სასიცოცხლო ინტერესებს. ილიას მხატვრულ შემოქმედებას საფუძვლად ედო პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური ტენდენცია, რომელიც მუდამ აქტიურად ეხმაურებოდა ევროპის მოწინავე იდეებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ასევე მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლებიდან იწყება ქართული დრამატურგიის აღდგენა და განვითარება კრიტიკული რეალიზმის მიმართულებით. გიორგი ერისთავმა თავისი კომედიებით მოამზადა ნიადაგი ქართული თეატრის აღდგენისათვის. ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ კვლავ გამოცოცხლდა ქართული სცენა. თუმცა, სამწუხაროდ გ. ერისთავის თეატრმა 1856 წლის ივნისში შეწყვიტა არსებობა და 1855-1870 წლებმა თეატრის გარეშე ჩაიარა. 1870-1878 წლებში არსებობდა სცენისმოყვარეთა თეატრი, მხოლოდ 1879 წელს შეიქმნა მუდმივი დასი ანუ პროფესიული ქართული თეატრი. აღნიშნულ პერიოდში(XIX საუკუნის მეორე ნახევარი) ქართულ ლიტერატურას და თეატრს დაეკისრა ერის სულიერი წინამძღოლის, მისი ავისა და კარგის შემფასებლის დანიშნულება.

ქართული თეატრის აღორძინების 50 წლისთავთან დაკავშირებით, თავის ნარკვევში პეტრე უმიკაშვილი აღნიშნავს, რომ ქართულ პიესებთან ერთად თეატრის რეპერტუარი მდიდრდება მოლიერის, შექსპირისა და სხვა მსოფლიო დრამატურგთა ნაწარმოებებით. ჩნდება მათი მიმბაძველი მწერლები, მსახიობები ინვრთნიან თამაშში და თვით წერაშიც. თეატრთან ერთად იზრდება მასწავლებელიც, იგი ხდება თეატრის მეგობარი და მასზე მზრუნველი. თუ ევროპაში ეკლესია, სახელმწიფო და მეფეები მფარველობდნენ თეატრს, საქართველოში თვით ხალხი აფუძნებს და ინახავს თეატრს. ევროპული ლი-

ტირატურიდან უმთავრესად პიესები ითარგმნება ქართულად, რადგან რომანებისა და ვრცელი მოთხრობების ბეჭდვა ჭირს. მათ შორის არის ბომარშეს, შილერის, ჰაუპტმანის, იბსენის, გოლდონის, გოგოლის, ოსტროვსკის, სკრიბის, მელვილის, ლაბიშის, სარდუს და სხვათა პიესები. პეტრე უმიკაშვილის აზრით თეატრმა ქართული ლიტერატურა გაამდიდრა ევროპულიდან შესრულებული თარგმანებით. იგი სწორად აფასებს ნათარგმნი ლიტერატურის მნიშვნელობას ყოველი ეროვნული ლიტერატურისათვის, რადგან ეს არის ერთმანეთის გაცნობის და ღირებულებათა გაცვლის სასარგებლო პროცესი: „ნათარგმნი ლიტერატურა განძია ყოველის ხალხის გონებითის წინსვლისა და წარმატებისა. ჩვენ ვხვდებით მონაწილე მსოფლიო გონების წარმატების ფერხულში, მისი გონებითის სიცოცხლის მოზიარე, მისი სწავლის შემთვისებელი, მისი სიხარულისა და ტკივილის თანამოზიარე და თანამგრძობელი“ (უმიკაშვილი 1900: 12). პუბლიცისტი სწუხს იმაზე, რომ ერთი მხრივ, გადმოკეთებულ და ნათარგმნი ნაწარმოებებს არ შეუძლია ქართული ზნე-ჩვეულებებისა და ხასიათის სრულყოფილად გადმოცემა, მაგრამ ამავე დროს გ. ერისთავის, ზ.ანტონოვის, აკაკი წერეთლის, ა. ცაგარლის და ვ.გუნიას პიესები თავისი დონით ვერ შეედრება ევროპულს. მიუხედავად ამისა იმედს გამოთქვამს, რომ ქართული დრამატურგია უკეთესი გახდება მეტი განათლებისა და შრომისმოყვარეობის კვალობაზე.

ილია ჭავჭავაძე როგორც საზოგადოდ ყველა ეროვნული საქმის მეთაური, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თეატრს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და ესტეტიკური ნააზრევი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და ხელს უწყობს თეატრის წინსვლას. მან თავისი დრამატული პოემებით – „ქართველის დედა“ (1871), „კაკო ყაჩაღი“ (1879) და „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1879) საფუძველი ჩაუყარა ორიგინალური ქართული დრამის შექმნას. „დიმიტრი თავდადებულს“ სასცენო სახე მისცა ნ. ერისთავმა, შალვა დადიანმა „გლახის ნაამბობის“ და „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით შექმნა პიესები „ბატონი და ყმა“ და „ჩატეხილი ხიდი“. ილიას თვალსაზრისი თეატრალური კრიტიკის, რეპერტუარის, ნათარგმნი და გადმოსაკეთებელი პიესების შერჩევის, გადმოკეთების არსის, ასევე მსახიობის ოსტატობის შესახებ დღესაც ემსახურება თავის მიზანს. წერილში – „თეატრის რეცენზენტი“ იგი ლაპარაკობს პირუთენელი თეატრალური კრიტიკის აუცილებლობაზე და რამდენად მტკივნეულად აღიქვამენ შენიშვნას სულმოკლე ავტორები და მსახიობები, მაშინ როდესაც ღირსეულ ავტორებსა და მსახიობებს დაუმსახურებელი ქება უფრო მეტ უხერხულობას უქმნის ვიდრე სამართლიანი შენიშვნა: „მაღალზნობრივს კაცს მართლად შენიშნული წუნი უფრო ნაკლებ ეთაკილება, ვიდრე ტყუილი ქება-დიდება; სულმოკლე გაუნათლებელს კი, პირიქით, სულ სხვა მადა აქვს ამაებისათვის. ყველაფერს შეგინდობთ ავტორი, არტისტი ოღონდ ავტორობას და არტისტობას კი ნუ დაუნუნებთ“ (1886 წ. 23-26 ნომბ.). კრიტიკულ წერილში „ქართული თეატრის ნაკლოვანებანი“ ილია აკრიტიკებს თარგმნილი და გადმოკეთებული პიესების არჩევანს, მიუხედავად არჩევის

ფართო შესაძლებლობისა (შეუძლიათ აირჩიონ რუსული, ფრანგული, გერმანული ინგლისური, იტალიური და კიდევ სხვა ენაზე შექმნილი პიესები) არჩევანი მაინც არ არის სწორად გაკეთებული, ამბობენ, სასაცილოა და იმიტომ ვთარგმნეთო, რაც არ წარმოადგენს სწორ კრიტიკრიუმს.

წერილში სათაურით „ქართული თეატრი, „გავიყარნეთ“ და „ხანუმა“ (1886 წ., 7-16 დეკ.) საფუძვლიანად არის გადმოცემული ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი თარგმნილი და გადმოკეთებული პიესების შესახებ და იმავედროულად მოცემულია ამ ცნებების ნათელი განმარტებები. პირველ ნაწილში ავტორი ვრცლად განიხილავს ვიქტორიენ სარდუს სამმოქმედებიანი კომედიის – „განქორწინება“ (Divorcions) ვ. აბაშიძის მიერ რუსულიდან ქართულად გადმოკეთებულ ვერსიას (სათაურით – „გავიყარნეთ“). ილია ღრმა ანალიზს უკეთებს ახალგაზრდა ოჯახის რღვევის მიზეზებს, რის საფუძველსაც მას აძლევს ფრანგულ და ქართულ პიესებში ნაჩვენები ცოლქმრული ურთიერთობების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების ერთმანეთთან შედარება. ფრანგული ოჯახის რღვევის მიზეზი არის ახალგაზრდა ქალის იმედგაცრუება იმის გამო, რომ მისი მეუღლე არ აღმოჩნდა ის დიდსულოვანი გმირი, რომელზედაც ოცნებობდა („გმირი უნდოდა ქმრად და საყვარლად და ერთს ვილაც მივარს კაცს კი გადაეკიდა“). ქართველი ახალგაზრდა ქალები კი უფრო მეტად ქმრის მატერიალურ მდგომარეობას და საჩუქრებს აფასებენო: „აი, ამიტომაც ვსთქვი დასაწყისში, რომ იგი მიზეზი ცოლ-ქმრობის აშლისა ადვილად ჭკვადმისაღებია საფრანგეთში და ჩვენში კი ცილად ჩამოსული ამბავია. ჩვენებურთა მითამდა განათლებულთა ქალთა გულისნადები, გულისტკივილი, ნატვრა სურვილი სულ სხვაა, ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენში ხორციელი თვალი უფრო მოქმედებს, ვიდრე თვალი სულისა.“ მაგრამ ილია აღნიშნავს, რომ თავისუფლება, რომელსაც ფრანგი ქალი მოითხოვს აღარ არის თავისუფლება, არამედ ბოროტებაშია გადაზრდილი. თუკი მამაკაცები ქალებთან ურთიერთობაში ზედმეტად თავისუფლად იქცევიან, ეს მისაბაძი არ უნდა იყოს ქალისთვის. პირიქით, სწავლა-განათლებამ და ღრმა აზროვნებამ ორივე სქესის წარმომადგენელს უნდა დაანახოს ამ ურთიერთობის პატივისცემისა და შენარჩუნების გზები: „რა არის იგი სწავლა, განათლება, ზნეობა-განვრთნილობა, რომ თავისუფლების ჭეშმარიტი მნიშვნელობაც ვერ გამოარკვევინოს ადამიანსა, იმოდენა ღონე არ მისცეს სულისა, რომ ადამიანი მის მაღალ მნიშვნელობას ასწვდეს და ბოროტის ქმნის თავისუფლებას სიკეთის ყმობა არ ერჩივნოს!“ ილიამ ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებას: ფრანგი მამაკაცი მიხვდა, რომ მეუღლე ტყუილად სთხოვს განქორწინებას, ის ვერ ერკვევა საკუთარ გრძობებში, ამიტომ ცდილობს დაეხმაროს და დაანახოს მისი ახალი თაყვანისმცემლის უნიათობა, მატერიალურადაც არ ავინროებს თავის დაბნეულ ცოლს, რათა ქალმა თვითონ გადაწყვიტოს ვინ უყვარს და ვინ არა. ამის შედეგად ისინი ინარჩუნებენ ოჯახს. ილია იქვე ამბობს, რომ ქართველი მამაკაცი ჯერ არ დგას ასეთ სულიერ-ინტელექტუალურ დონეზე. ამ კომედიის რუსულ ტექსტთან შედარებით ქართულში უმთავრესად მხოლოდ ადგილის და პერსონაჟთა სახელე-

ბია შეცვლილი, იგივე დამოკიდებულებაა ფრანგული დედნის მიმართ, ამიტომ ქართული ადაპტაცია მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ქართულ სინამდვილეს. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ამ წერილში ილია გვაძლევს თარგმანის და გადმოკეთების ნათელ განმარტებებს. მისი თქმით, თარგმანი ზუსტად უნდა გადმოსცემდეს დედნის ყველა მახასიათებელს, ცხადია, თარგმანის ენისათვის მისაღები ადეკვატური ხერხებით ანუ უნდა „გვაცოდინოს ისე, როგორც არის, უტყუარად და შეუცვლელად.“ გადმომკეთებელმა ავტორმა კი „...საცა სხვისა ხასიათი, ზნე-ჩვეულება და ვითარება ცხოვრებისა არ შეგვეფერება, არ გვიხდება, გვეუცხოება, იქ ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენის ცხოვრების ვითარება ჩააყენოს“, გადმომკეთებელს მეტი შემოქმედებითი ნიჭი სჭირდება ვიდრე მთარგმნელს: „გადმომკეთებელს უფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ცოდნა, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა. გადმომკეთებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს, და ამას გარდა თვითმოქმედი ძალი შემოქმედებისა.“ გადმომკეთებლის შრომა საპატიო შრომად მიაჩნია ილიას იმ შემთხვევაში თუ საკუთარი პიესები არ გვყოფნის, ამით ორ კურდღელს დავიჭერთო: კარგი პიესაც გვექნება და თან ჩვენს ცხოვრებასთან მისადაგებულიო.

მე-19 საუკუნის ქართული პროფესიული თეატრის არსებობის პირველი ათი წლის ვალერიან გუნიასეული შეფასება წიგნში „ქართული თეატრი (1879-1889), თბილისი, 1889 წ., წარმოაჩენს იმ პერიოდის სირთულესა და წარმატებებს, მის ძირითად საყრდენ ორიენტირებს, მათ შორის ევროპული დრამატურგიისა და თეატრის გამოცდილების გათვალისწინებას. ვ. გუნიას შეხედულებების უმრავლესობა დღესაც საყურადღებოა ქართული სცენისათვის. 1879 წლის 5 სექტემბერს პირველად წარმოადგინეს ქართული თეატრის სცენაზე ბარბარე ჯორჯაძის პიესა „რას ვეძებდი და რა ვპოვე“, ხელმძღვანელი დიმიტრი ყიფიანი. მონაწილეობდა დიმიტრი ყიფიანის მთელი ოჯახი, ასევე გ.თუმანიშვილი, ნიკო ავალიშვილი, იოსებ ბაქრაძე, ალექსანდრე სარაჯიშვილი, ილია ჭავჭავაძე. ვალერიან გუნიას შემდეგ სიტყვებში უღერს ის ენთუზიაზმი, რომლითაც დაინყო მუშაობა ქართულმა სცენამ 1879 წლის სექტემბერში: „იმ ხანებში ჩვენს სცენას ყველაფერი ხელს უწყობდა: ერთის მხრით მომზადდა და მომწიფდა დრო, საზოგადოების მოლოდინი; მეორეს მხრით კარგად მოწყობილი, ნიჭით, შრომის სიყვარულით სავსე დასი, კარგი, თუმცა პანია რეპერტუარი, დახელოვნებული და საქმის მცოდნე გამგებელნი, ცოტაოდენი შეძლება – ეს ისეთი საბუთები იყო, რომ ყოველს ურწმუნო თომასაც კი დაარწმუნებდა და მართლაც მაშინ ყველას სჯეროდა და იმედი ჰქონდა ქართული სამუდამო სცენის აყვავებისა“ (გუნია 1889: 17). ვ. გუნია თეატრის ოთხ დედაბოძს უწოდებს მ. საფაროვას, ნ. გაბუნას, ვ. აბაშიძეს და კ.ყიფიანს, რომელთაც შემდეგ შემოემატნენ ბ. ხერხეულიძე(ავალიშვილი), კ. მესხი, ვ. ალექსი-მესხიშვილი, მ. მძინარიშვილი, ბ. კორინთელი, მ. ყიფიანი, ნ. თომაშვილი(მიშნიაშვილი), ა.მოხევე (ალ. ყაზბეგი) და სხვები. 1880 წელს თეატრს გაუჭირდა, მაშინ ხელმძღვანელობა ვ. აბაშიძემ და პარიზიდან ახალჩამოსულმა კოტე მესხმა იკისრეს.

მათ არ აგრძნობინეს სცენას დრამატული კომიტეტის მოშლა და ერთიორად გააორკეცეს თეატრის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მაგრამ ერთმანეთთან უთანხმოება მოუვიდათ და „სერიოზულად დაწყებული საქმე ვოდევნილურად დააბოლოვეს.“

ათი წლის განმავლობაში დაიდგა 350 პიესა. წარმოდგენილი იყო გიორგი ერისთავის და ზურაბ ანტონოვის ყველა პიესა. ასევე – მოლიერის, ბომარშეს პიესები, ბალზაკის „მერკადე“, ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, გოლდონის „როგორც ჰქუხს ისე არა სწვიმს“, სარდუს „გავიყარნეთ“, „ქარაფშუტა“, ლაბინის „ბაქი-ბუქი“ და „ჯერ თავო და თავო.“ ვ. გუნია აქ ყურადღებას ამახვილებს იმ პიესებზე, რომლებიც „ცოტად თუ ბევრად ყველა ევროპულ სცენაზე უთამაშიათ და ასე თუ ისე რითიმე შესანიშნავი არის.“ დასმა წარმოადგინა ბევრი საუცხოო და რთული პიესა, კლასიკური კომედიები, თანამედროვე დრამა თუ ტრაგედიები. ათი წლის განმავლობაში იმოგზაურა საქართველოს 20 კუთხეში. ვ. გუნია ხაზგასმით მიუთითებს ქართული თეატრის ეროვნულ ხასიათსა და მიმართულებაზე: „ჩვენის აზრით თავდაპირველი წადილი ჩვენი თეატრის მოთავეთა ის უნდა იყოს, რომ თეატრს, სცენას დაეცყოს ნამდვილი ეროვნული ხასიათი და ამდაგვარად შესაფერისი მიმართულება“ (გუნია 1889: 17).

ვ. გუნია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თეატრის დაახლოებას მწერლობასთან, რაც თეატრის გამგებელმა უნდა მოაგვაროს, მას უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი ურთიერთობა მსახიობებთან, რათა პატარა მსახიობების დიდ მსახიობებად ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. გუნიას აზრით უმნიშვნელო კომედიები, ვოდევნილები და ფარსები ზომიერი რაოდენობით უნდა იყოს რეპერტუარში, მათმა ცხოველმა და სასაცილო შინაარსმა შევება და მოსვენება უნდა მისცეს მაყურებელს, „მაგრამ თუ იმათზეა მიქცეული მომეტებული ყურადღება, თუ მათი რაოდენობა პიესებზე ერთი ორად მომატებულია, მაშინ ვნების მოტანის მეტსა ვერაფერს უნდა მოველოდეთ“ (ibidem, გვ. 38).

ნიგნში ცალკე თავი აქვს დათმობილი ქართული დრამატურგიის ანალიზს. ავტორი პირუთვნელად, პასუხისმგებლობის გრძნობით აფასებს ქართველი დრამატურგების ნაწარმოებებს და დამსახურებას თეატრის წინაშე. სწუხს იმაზე, რომ „დღევანდელ პიესებში დედა აზრი და ტენდენცია სრულეობით დავინწყებულია უმნიშვნელო კომიკური შინაარსისათვის.“ მას მოსწონს რ. ერისთავის კომედია „ადვოკატები“ („ატუკანტები“), რადგან თანამედროვე ადვოკატების ტიპობრივი სახეებია დახატული, მისი აზრით ბარბარე ჯორჯაძის პიესებს – „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და „შური“, ეტყობა ნიჭიერება, მაგრამ აკლია დამუშავება. აკაკი ხან მეთაურობდა თეატრს, ხან როლებს თამაშობდა და პიესებს წერდა. ვ. გუნია ამბობს, რომ აკაკის „ღვანლი სცენისათვის და დრამატული მწერლობისათვის მეტად ძვირფასი და შესანიშნავია“, მაგრამ მაინც ვერ ანიჭებს მას დრამატურგის სახელს. ალ. ყაზბეგი ჯერ ვოდევნილებს წერდა, შემდეგ კომედიებზე გადავიდა, ასევე როლებსაც ასრულებდა. მის პიესები „არსენა“ და „აღმზრდელები“ გუნიას სუსტ პიესებად მი-

აჩნია, დრამა „ქეთევან წამებული“ კი მოსწონს, ასევე მოსწონს ილიას სცენა „გლახა ჭრიაშვილი“ და უნუნებს „კაცია ადამიანიდან“ შექმნილ პიესას – „მაჭანკალი“.

თარგმანის შესახებ ვ. გუნიას აზრი სავსებით შეესაბამება თანამედროვე კრიტიკიკოსებს: მთარგმნელის შემოქმედებითი ნიჭი, ორივე ენის ცოდნა და დედანთან სიახლოვე შესაძლებლობის მაქსიმუმის დონეზე (იხ. გვ. 90). საუკეთესო მთარგმნელად მიაჩნია ივ. მაჩაბელი, რომელმაც „ჰამლეტი“ და „ოტელო“ თარგმნა, ასევე აქებს ნიკო ავალიშვილს როგორც მთარგმნელს, ალექსი ჭიჭინაძეს და იოსებ ბაქრაძესაც. ვ. გუნიას სწორად მიაჩნია, რომ სხვისი პიესის გადმომკეთებელს მთარგმნელის ზემოთ აღნიშნული თვისებებიც უნდა ჰქონდეს და ამასთანავე სჭირდება „ცხოვრების და ადამიანის ცოდნა, მეტ-ნაკლებობის გარჩევის უნარი, კრიტიკული გონება და ესთეტიკური გემოვნება, სცენის და დრამატული ხელოვნების კანონების შესწავლა. პიესის გადმოკეთება იგივე პიესის შეთხზვაა; ხშირად უფრო ადვილია ახალი პიესის დანერა, ვიდრე ჯეროვნად და მხატვრულად გადმოკეთება“. ვ. გუნიას დავით ერისთავი მიაჩნია პიესის საუკეთესო ქართველ გადმომკეთებლად, კარგ გადმომკეთებლებად კი – რაფ. ერისთავი, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, კ. მესხი, ა. ყაზბეგი და სხვები. დრამატურგს უწოდებს მხოლოდ ავ. ცაგარელს, თუმცა მასაც აძლევს მრავალ შენიშვნას.

ვ. გუნია თავის ნიგნში ხაზგასმით აღნიშნავს ლიტერატურული და ზოგადად ესთეტიკური კრიტიკის უდიდეს მნიშვნელობას თეატრის განვითარებისათვის. მისი ლაკონიური და ობიექტური აზრი ამის შესახებ დღესაც ფორმულასავით ჟღერს: „კრიტიკას ორგვარი მნიშვნელობა აქვს. ერთი, რომ ასწორებს და არკვევს ან ინდელს და მეორე ის, რომ ნიადაგს უმზადებს მომავალს. ეს ზოგადი კანონია კრიტიკისა“ (გუნია 1889: 53). ის ფიქრობს, რომ ესთეტიკური კრიტიკა „ერთი ორად საჭიროა ჩვენი თეატრისა და სცენისათვის, რადგან არ გვაქვს სასცენო სკოლები, არც სპეციალური სახელმძღვანელოები სასცენო და დრამატული ხელოვნების შესასწავლად... კრიტიკოსობას და რეცენზენტობას კი ყველა კისრულობს, თითქოს ეს ისეთი ადვილი საქმე იყოს.“ რაც შეეხება დრამატული და სასცენო ხელოვნების თეორიას, აქ, ურჩევს არსებული ევროპული თეორიების გამოყენებას. საყურადღებოა, რომ ვალერიან გუნია კრიტიკოსს სთხოვს დელიკატურობას და ნათელ აზრს, პრაქტიკულ რჩევებს ისე, რომ დრამატურგმა თუ არტისტმა შენიშვნის არსი გაიგოს და თავი შეურაცხყოფილად არ იგრძნოს, იმავდროულად მკაცრად აღნიშნავს მიუკერძოებელი კრიტიკის აუცილებლობას. ამ მხრივ გუნიას განმარტება მუდამ სასარგებლო იქნება: „ჩვენი აზრით კრიტიკა უნდა ეხებოდეს დრამატურგს თუ არტისტს ისე, რომ სახელს არ უტეხდეს და ტკივილისაგან არ აბრაზებდეს, მარტივად და მკაფიოდ აგრძნობინებდეს ნაკლს და შეცდომას. ურვენებდეს და მიუთითებდეს კარგსა და ავსა და არა მარტო ლიტონის სიტყვებით, არამედ მაგალითებითაც... მიკერძოება, პირადულობა და განზრახულობა კრი-

ტიკის ჟანგია. რაც გინდა ნიჭიერი იყოს კრიტიკა თუკი მას ხსენებული ჟანგი აცხია, მისი მოქმედება ფუჭია და თვითონაც სამარცხვინო. კრიტიკის ძალა სიმართლეშია და მხოლოდ იმისთვის უნდა იბრძოდეს“ (ibidem, გვ. 56-57).

როგორც ვხედავთ, ქართველი მწერლები მთელი პასუხისმგებლობით ცდილობენ ხელი შეუწყონ ქართული თეატრის არსებობას, ილია, აკაკი, ალ.ყაზბეგი, დ. ერისთავი, რაფ. ერისთავი, ივ. მაჩაბელი, თვით ვ. აბაშიძე, ვ.გუნია, შალვა დადიანი ქმნიან პიესებს, თამაშობენ როლებს, ხელმძღვანელობენ თეატრს. ზემოთ აღნიშნული თეორიულ-კრიტიკული წერილებიდან და ეროვნულ არქივში დაცული პიესების ტექსტებიდან ირკვევა, რომ ქართველი მწერლები 1870-1920 წლებში თარგმნიდნენ მე-19 საუკუნის თითქმის ყველა ჟანრის ევროპულ პიესებს, დაწყებული კომედიებიდან და ვოდევილებიდან ისტორიულ დრამებამდე და ტრაგედიებამდე; თარგმნიდნენ ფრანგ, რუს, გერმანელს, ინგლისელ, ავსტრიელ, ჰოლანდიელ, ნორვეგიელ ავტორებს, მათ შორის სკრიბის, ლაბიშის, ალ. დიუმას, პიერ დეკურსელის, ადოლფ დენერის, ოქტავ მირბოს, ბიორნსონის, იბსენის, ბერნშტიინის, ლანგმანის, ჰაიერმანსის, ჯაკომეტის პიესებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართულ ყაიდაზე გადმოკეთებულ ნაწარმოებებს, რომლებიც ზოგჯერ შეიძლება დედანზე უკეთესი აღმოჩნდეს. ამ თვალსაზრისით 1870-1920 წლების პიესებს შორის არის ევროპულიდან გადმოკეთებული მრავალი პიესა, განსაკუთრებით დიდია ფრანგულიდან თარგმნილი და გადმოკეთებული ნაწარმოებების რაოდენობა.

ცივილიზებული საზოგადოების ასაკს ოცი ათასი წლით განსაზღვრავენ. ცივილიზაცია აზროვნების გარეშე ვერ სულდგმულობს. აზროვნებას აზროვნებაზე ყოველთვის აინტერესებს იმგვარი „წვრილმანები“, რომლებშიც ამოიკითხბა ერთი. განმსაზღვრელია მრავალში ერთის აღმოჩენა. აზროვნება კოგნიტიური პროცესია, ასახოვნებს ამოცანის გადაჭრის უნარს; პრობლემური საკითხის დაძლევისთან ერთად პროცესი სრულდება. გარკვეული თვალთახედვით აზროვნება ისეთ პროცესებს ეხება, რომელნიც უშუალო აღქმის გარეშე ხორციელდება.

მითოსური აზროვნებიდან მოდერნიზმამდე განფენილ პერიოდში არა-აქტუალურად ჩანს ადამიანის ჭეშმარიტებასთან იერარქიული მიმართების საკითხი. ანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები, დაინტერესდნენ რა მითოლოგიური კოსმოგონიის კრიტიკით, სამყაროს დასაბამის ობიექტური საფუძვლების ძიებითაც დაკავდნენ. თალესი ყოვლის საფუძვლად წყალს მიიჩნევდა, ანაქსიმენე – ჰაერს, ჰერეკლიტე – ცეცხლს, დემოკრიტე – ატომებს. მატერიალიზმიდან იდეალისტურისკენ სწრაფვა პითაგორას დამსახურებაა, სამყაროს საფუძვლად რიცხვის აღიარებით. სოკრატე ჭეშმარიტებას, გააზრებას დაქვემდებარებულ ობიექტურ მოვლენად მიიჩნევს, მისი ნამონაფარი

პლატონი ობიექტურ იდეალიზმს უყრის საფუძველს, არისტოტელე იტყვის რომ საგანში მატერიისმიერი ფორმა და იდეალური არსი იყრის თავს.

შუა საუკუნეებში მთავარი საფიქრალი რელიგიაა. აღორძინების ეპოქის ფილოსოფია ადამიანის ხატის ანტიკურ იდეალს უბრუნდება. ამ ეპოქის იდეალი – ადამიანია, რომელსაც გონის მეშვეობით, სამყაროს შეცვლა ხელეწიფება; აქვე ჩნდება პირველი უტოპიებიც. განმანათლებლობა ახლებურად იაზრებს მატერიალისტურის და იდეალისტურის ურთიერთმიმართებას: კანტისეულად, საგნის მხოლოდ ფორმის მატერიალისტური მხარის შეცნობაა დასაშვები, არსი კი მიუწვდომელი რჩება, კლასიკური ფილოსოფია მწვერვალს, დიალექტიკის დაფუძნებით ჰეგელთან აღწევს. დაბოლოს, ყველა ზემონახსენები მოზროვნე მისეულად უმზერდა და აღიქვამდა სამყაროს.

მოდერნიზმის წინასწარგანმჭვრეტი არტურ შოპენჰაუერი თავის ნაშრომით „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“ მოასწავებს ადამიანზე ჭეშმარიტების დომინირებას, ნიციე იტყვის – „ღმერთი მოკვდაო“, შედეგად, მოდერნის ეპოქა დაადასტურებს ახლებურ იერარქიას – ადამიანის თავისუფალი ნება, მისი თავისუფლება, ჭეშმარიტებაზე უპირატესია. მოდერნისტულ გააზრებათა მიხედვით, უმთავრესია უარყოფითი რეალების დაძლევის სურვილი, მისი გარდასახვა. ნიციესეული სწავლების პარალელურად, მოდერნიზმის გამოკვეთილი მახასიათებელია ექსისტენციალიზმი, მარქსიზმი (დასავლური ყაიდის) და ფროიდიზმი. სათქმელია ისიც, რომ მოდერნისტული ფილოსოფიური აზროვნების პარალელურად, თანაარსებობს კლასიკურ ფილოსოფიურ მოძღვრებაზე დაფუძნებული მიმართულებანიც – კარლ იუნგის ანალიტიკური ფილოსოფია თუ ტ. ს. ელიოტის ტრადიციონალიზმი.

პოსტმოდერნიზმის არსის წვდომა მოითხოვს ისეთი კატეგორიების გამოყოფასაც როგორებიცაა: პოსტ ისტორიული რეალიები, თამაშისა და დეკონსტრუქციის ტრიადა (შესაბამისად, ჟან ბოდრიარის და ჟაკ დერიდას სახელების აღნიშვნით).

ადრეც მივუთითებდით, რომ ლიტერატურა ძნელად ეგუება კლასიფიცირებას. თუმცა, გარკვეული ტაქსონომია თუ რანჟირება მაინც საჭიროა. საჭიროა, ამა თუ იმ ეპოქაში ჩასახული და მიმდინარე პროცესების ნიშანთვისებების გააზრებისათვის.

მხატვრული სინამდვილე, განსაკუთრებული სინამდვილეა! იგი ზოგადხელოვნებისმიერი რეალობაა. მასში განსაკუთრებული „კანონი“ მართავს ყოველივეს. რეალურია ოდენ ტექსტის (ნებისმიერი გააზრებით) სივრცე, „უჩვეულო რეალობა“. სხვა დანარჩენი კერძობითი, ხშირად საკამათო ნიშანთვისებები თუ მარკერებია.

მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ოპოზიციური წყვილის ურთიერთმიმართება თითქოს წრეზე ბრუნავს. ჯერ კიდევ ფორმალური სკოლის წარმომადგენლების მიერ ამ სინტაგმის მკვეთრი გამიჯვნა მხარდაჭერილი იქნა სტრუქტურალისტების მიერ. ამგვარი მიდგომა საეჭვოდ მიიჩნის და უარყვეს პოსტსტრუქტურალისტებმა, რითაც კვლავ გააცხოველეს ინტერესი

ლიტერატურულ დისკურსში მხატვრული ტექსტის მოდელირებისა. რაც შემდგომში, ახლებური მიდგომებით, თეორიულ საკვლევ პრობლემად იქცა. არც სხვა ბინარული ოპოზიციური წყვილი, პროზა – პოეზია დარჩენილა ნაირგვარ გააზრებათა ყურადღების ფარგლებს მიღმა. ხან ერთის მოდიფიკაცია წამოიწვედა წინ უპირობო სამეცნიერო კონცეპტად – ხან მეორის; უმთავრესი კი გაუნელებელი ინტერესის არსებობა გახლდათ. ცხადია, გამოიჩინა და საკვლევ სპექტრის პოლიფონიურობით, „ახლებურის“ ძიება-დამკვიდრებათა მუდმივი ტრანსფორმაციით, ე.წ. „key point“-ად დარჩა ტექსტისა და ავტორის დიქტომია. ტექსტისა და მკითხველის პრობლემა შედარებით ვიწრო სპექტრისაა, მაგრამ მიდგომათა და შეფასებათა კუთხით უფრო რადიკალური. მხატვრული ტექსტი მისმიერი ენობრივი ფორმით ბუნებრივი მოვლენაა იმ თვალსაზრისით, რომ ცალკე აღებული მოდუსით იგი მხატვრულ-ენობრივი საშუალებებით სამყაროს შეცნობის სახეობაა. ლინგვისტური კუთხით ყველაზე სართულ ტექსტის და სამყაროს ურთიერთმიმართების პრობლემაა. აი, ტექსტისა და ტექსტუალობის შეთანადება ინტერესს აღუძრავდა ფორმალისტებს, სემიოტიკური კვლევებით დაინტერესებულთ, პოსტსტრუქტურალისტებს, რა თქმა უნდა, დეკონსტრუქტივისტებს. თანამედროვე ფილოლოგიურ სააზროვნო ველში ერთ-ერთ განსაკუთრებულ სამსჯელო თემად კვლავ ტექტის და ტექსტუალობის ოპოზიცია მიიჩნევა.

ადრეც აღვნიშნავდით, რომ ერთიანი, უნიფიცირებული, უნივერსალური საკვლევითი მოდელის არსებობა ნონსენსია, მსგავსი რამ თითქოს ი. ლოტმანმა შეიმუშავა, რომელიც უტოპიურად მიიჩნევა რ. ბარტის მეთოდს. დრომ კი ასევე უტოპიურად ლოტმანისეული მოდელიც დასაბა.

ჩვენეულად, ესა თუ ის მოდელი ერთ, მიზანმიმართულად შერჩეულ საკვლევ მასალას ესადაგება, რომელიც ასევე ერთი სამეცნიერო მიმართულების იდეოლოგიის ანარეკლია. ამგვარი მიდგომა მსგავსია თ. კუნის (Kuhn 1970) სამეცნიერო პარადიგმისა, რომელიც გახაზავს, რომ სამეცნიერო მეთოდი მხოლოდ შერჩეული პარადიგმის ფარგლებშია შედეგიანი და არა ნებისმიერი სხვა პარადიგმების ფარგლებში მოქცევისას. ამდენად, რამდენი თვალსაზრისიცაა, იმდენივე მეთოდი შეიძლება არსებობდეს და ყოველი მათგანი მისული ჩარჩოთია დასაზღვრული.

პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობის New-Age-ის წარმომადგენელი პეტერ ჰანდკე აღნიშნავს, რომ ერთხელ აღმოჩენილი მეთოდი დროთა განმავლობაში კარგავს მნიშვნელობას. ხელახლა მას ვერ გამოიგონებ, ამიტომ, რომ მას გაუცნობიერებლად იყენებენ. ესა თუ ის მხატვრული მეთოდი მრავალჯერადი გამოყენების შემდეგ, დროთა განმავლობაში სულ უფრო ეშვება და ბოლოს სრული ავტომატიზაციის დონეს აღწევს (Handke 1972: 25).

ადამიანის ქშმარტებასთან მიმართების კონცეპტი პოსტმოდერნიზმის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მასში იკვეთება უმთავრესი – ორივე შემადგენელი სანქისის თავისთავადობა და უნიკალურობა. მოსაზრება, რომ პოსტ-

მოდერნიზმი „კლასიკის“ გარდასახვა-ტრანსფორმაციაა დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ტექსტისადმი მიმართებით ბევრით ემსგავსება იან ერთურთს. თუ კლასიკური ტექსტი მოდერნის ეპოქაში რელობას ბაძავს (იგი ცალკე ნაგულისხმევი რეალობაა), პოსტმოდერნიზმი იგი უკვე ტექსტისმიერი რეალობის ბაძვა (ჭეშმარიტი რეალურობა ასევე ტექსტად აღიქმება). პოსტმოდერნიზმის ტულ ლიტერატურას არ მიკუთვნებული მიმდინარეობანი („ბიტნიკები“, „გაჯავრებული ახალგაზრდები“, თუნდაც „მაგიური რეალიზმი“), აყალიბებდნენ მას; იგი ემიჯნება დადგენილ კანონებს, „გახსნილ თემებს“, ინტერტექსტუალობას. პოსტმოდერნიზმს ერთგავარად გზა გაეხსნა ნათხრობის განსხვავებული სტრუქტურით, „ცნობიერების ნაკადით“, ე.წ. „სპონტანური პროზის“ მეშვეობით.

ყოველი ახალი ეპოქა ხლოვნებისმიერ მიმართულეებში ეფუძნება რა წინამორბედს, აფართოებს და კონკრეტული ნიშან-თვისებებით აღჭურავს ძველს. კლასიკურმა ხელოვნებამ (ლიტერატურამ) შექმნა და ჩამოაყალიბა სანიმუშო ფორმა – შინაარსობრივი ნაწარმოებები, ტექსტები, რომლებიც დაფუძნებულია მხატვრულ სიმართლეზე, მორალურ-ეთიკურ ფასეულობებზე. გაძნელდება კლასიკური ეპოქის სანყისი ეტაპის ზუსტი დროითი მითითება, დაისად კი ჰეგელისეული რწმუნებით, „ხელოვნების დასასრული“ უნდა ვიგულისხმოთ; რამაც შვა კიდევაც მოდერნიზმი. მოდერნიზმი გარესამყაროსადმი განსაკუთრებული მიმართებაა და არა გამოკვეთილი სტილი. ამ მოსაზრებას მასში არსებული მრავალრიცხოვანი მიმართულეებანი ადასტურებს. მოდერნიზმმა ხელოვნებმა წინარე გამოცდილებაზე უარის თქმით, თავად დაიწყეს სამყაროს და ადამიანის ასახვის ახლებური ფორმების დამკვიდრება.

მოდერნიზმს საფუძვლად პოზიტივისტური ფილოსოფია, ფენომენოლოგია, ფროიდიზმი, მარქსიზმი და ნიცშეს სწავლებანი უდევს. თუ პოზიტივიზმი და ფენომენოლოგია ცოდნის ობიექტივიზაციას ესწრაფოდა, ფროიდიზმ-მარქსისტ-ნიცშეანელები „ადამიანთმცოდნეობით“ დაკავდნენ. საბოლოოდ, ორ მსოფლიო ომგამოვლილი ორივე მიდგომა გაცუდდა. გაჩნდა ახალი, მოდერნიზმის ტრადიციასთან გამიჯნული პოსტმოდერნიზმი. ხელოვნებისმიერ აზროვნებაში შემოვიდა ეკლექტიკა და ქაოტურობის ნიშნები: ენობრივი თამაშობანი, სტილური სინკრეტიზმი, პიროვნებაზე ტექსტის ზეობის მცდელობანი. პოსტმოდერნიზმმა ეჭვს ქვეშ დააყენა და გააკრიტიკა მოდერნიზმის შეხედულეა უნივერსალური ჭეშმარიტების წვდომის და შეცნობის შესახებ.

ერთ ადგილას არაფერი დგას, ყოველივე ვითარდება (ეს ბუნებითი ნესია), ცხოვრება ახალ-ახალ ფორმებს წამოქმნის. სხვადასხვა მიმართულეების მოაზროვნეები ფიქრობენ და ეძიებენ პოსტმოდერნიზმის ტული პარადიგმებიდან გამოსავალ გზებს. თავად „პოსტმოდერნიზმის“ ერთიანი, ამომწურავი განსაზღვრება დლესაც კი არ არსებობს. დეფინიციის პოლიფონიურობა თუ პოლისემიურობა მოტივირებულად აჩენს კითხვას – უფლებამოსილი ვართ თუ არა მოვიმარჯვოთ აგრერიგად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებით „დამძიმებული“ ტერმინი. XX საუკუნის ფილოსოფიამ და საკუთრივ ხელოვნ-

ნება (რა თქმა უნდა, იგულისხმება ლიტერატურული ტექსტებიც) თითქოს გარკვეული ჩიხური პრობლემები წარმოშვა. ერთი მხრით, სამართლიანია, რომ პოსტმოდერნული ლოგიკა უარყოფს საყოველთაო მეტანარატივის არსებობას. მეორე მხრით – მანვე გაართულა მიზნის მისაღწევად სავალი გზები, რითაც ერთგვარად უარი განაცხადა თავად მიზანზე.

მეოცე საუკუნის 90-იანებში შემჩნეული მოყირაქების ნიშნები 2010 წლისთვის ტერმინისმიერად გაცხადდა, როდესაც ორმა ჰოლანდიელმა ფილოსოფოსმა ტიმოთეუს ვერმიულენმა (Timotheus Vermeulen) და რობინ ვან დენ აკერმა (Robin van den Akker) პროექტ-ესეში „Notes on Metamodernism“ პირველად ახსენეს მეტამოდერნიზმი. ჩვენეულად – იგივე პოსტმოდერნიზმი. ერთი წლის შემდეგ კი ინგლისელმა მხატვარმა ლიუკ ტერნერმა (Luke Turner) „მეტამოდერნიზმის მანიფესტი“ (Metamodernism//Manifesto) გამოაქვეყნა. რამდენიმე განმსაზღვრელი პოსტულატი „მანიფესტიდან“:

1. ვალიარებთ, რომ რხევა ბუნებრივი მსოფლწესრიგია (შემდგომ, სიტყვასმარებაში ტერმინი **ოსცილაცია** დამკვიდრდა).

2. უნდა გავთავისუფლდეთ მოდერნისტული იდეოლოგიის ხანგრძლივი გულუბრყვილობის და მისი უკანონოდ შობილი ცინიკური არაგულწრფელობისგან.

3. სამომავლო ქმედება-მოძრაობანი დიამეტრალურად განსხვავებულ იდეებს შორის, რომელთაც სამყარო მოძრაობაში მოჰყავთ, რხევა-მიმოხრით უნდა განხორციელდეს.

4. ვალიარებთ, ყოფიერება გამდიდრდება თუ საკითხს იმგვარად მივუდგებით, რომ ზღვრის გადალახვა მაინც შესაძლებელია, რითაც სამყაროს „გახსნას“ შეუწყობთ ხელს.

5. სადღეისოდ, ტოლად ვეძლევიტ ნოსტალგიასაც და ფუტურიზმსაც.

6. უნდა შევითვისოთ სამეცნიერო-პოეტური სინთეზიც და მაგიური რეალიზმის ინფორმაციული გუგლბრყვილობა. შეცდომა აზრის დამბადია.

7. ჩვენ იდეოლოგიური საფუძვლისგან თავისუფალ პრაგმატულ რომანტიზმს გთავაზობთ. ამდენად, მეტამოდერნიზმი ირონიას და გულწრფელობას, გათვითცნობიერებულობას და გულუბრყვილობას, რელატივიზმს და ჭეშმარიტებას, ოპტიმიზმსა და დაეჭვებას შორის ცვალებად მდგომარეობად უნდა განვსაზღვროთ. მიზნად – წინსვლა და მიმოხრა უნდა დავისახოთ.

მეტამოდერნიზმი თითქოს გრძნობათა სტრუქტურაა და ცდილობს მოიცვას იდეები, მიმდინარეობები, რომლებიც მეტამოდერნისტულ მსოფლშეგრძნებას ჩამოაყალიბებენ. იგი უარს აცხადებს კიჩზე, კოლაჟზე, აბსტაქციონიზმზე, სიურრეალიზმზე და მისეულად გაიაზრებს ნეორომანტიზმსა და მაგიურ რეალიზმს. ესწრაფის რეკონსტრუქციას, ნათხრობის „კლასიკური“ სახის აღდგენას, მითოსური ფორმების ხელახალ გააზრებას. მიუხედავად ზემოთქმულისა, მეტამოდერნიზმის როგორც პოსტმოდერნის შემდგომ ეპოქად წარმოჩენა, დაუსაბუთებლად გვეჩვენება. **პოსტმოდერნი იმ დრომდე იარსებებს, სანამ მისი დაძლევის მცდელობა იარსებებს.** სათქმელია ისიც, რომ ლი-

ტერატურაში მეტამოდერნიზმს მიაკუთვნებენ ჰარუკი მურაკამის, რობერტო ბოლონიოს, დევიდ ფოსტერ უოლესს და ჯონათან ფრანზენს.

მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი, მეტამოდერნიზმი, პოსტ-პოსტმოდერნიზმი ხელოვნების და ლიტერატურის თეორიის, ზოგადად ესთეტიკის, ე.წ. ნონკლასიკურ (არაკანონიკურ) სააზროვნო ველს განეკუთვნება. თეორიასა და მხატვრულ პრაქტიკაში ნონკლასიკის სასარგებლოდ ალბათ, „ყოველდღიური ცნობიერების“ ისეთი მარკერები უნდა მივიჩნიოთ, რომელთაც ფილოსოფიურ-ესთეტიკური დანიშნულება მიაკუთვნეს (ესაა – შფოთი, სევდამოძალება, აპათია, სამუსიკო ტექსტების დისჰარმონია, ფერწერული ასიმეტრია, უსაგნობა, აბსურდულობა და მისთ.). იმავდროულად, ეჭვგარეშეა „მაღალი მოდერნიზმის“ XX საუკუნის კლასიკურ ნორმად მიჩნევა.

პოსტმოდერნული ტენდენციების არაკანონიკურობას თუნდაც მისეული კანონის არარსებობა ადასტურებს რაც მიზანმიმართული ასისტემურობის, ეკლექტიზმის, კლასიკური ესთეტიკის კრიტიკრიუმებისა და ნორმების რყევით გამოიხატება. პოსტმოდერნისტული ესთეტიკა ემიჯნება დოგმებს, მისთვის უცხოა მყარი კონცეპტუალური კონსტრუქციები. დეკონსტრუქციის თეორია უარყოფს აზრის სისაფის (კლასიკური გნოსეოლოგიური თვალთახედვით) პარადიგმის რეპრეზენტაციას ხელოვნების მიერ სფეროში. მიდრეკილია იმგვარ კონცეფციას, რომელშიც ტექსტი ერთსა და იმავე დროს გულისხმობს დეკონსტრუქციასაც და რეკონსტრუქციასაც (მარტივად რომ ვთქვათ, დაშლა-ანყობას). წინ წამოწევს სხვადასხვაგვარ რაკურსს – სანადელს (ჟ. დელოზი), ლიბიდოსმიერ პულსაციას (ჟ. ლაკანი, ჟ.-ფ. ლიოტარი), ცდუნებას (ჟ. ბოდრიარი), ზიზლს (ი. კრისტევა), მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ირონიაც. პოსტმოდერნისტულმა ექსპერიმენტებმა სათავე დაუდეს ტრადიციული ხელოვნების ჟანრულ-სახეობრივი საზღვრების გაფერმკრთალებას, სინესთეზიური ტერდენციების გააქტიურებას. აქტუალური გახდა მხატვრულობის, ისტორიზმის, რელიგიურობის პრობლემების სიმულაკრულობა, გაცხადებული მეტაენით, ინტერტექსტუალობით, კონტექსტით. კლასიკური ესთეტიკის მხატვრულ სახეობრიობას პოსტმოდერნიზმის ესთეტიკაში, სიმულაკრი ჩაენაცვლა.

პოსტმოდერნიზმი ცალსახა, მარტივი მოვლენა არ გახლავთ; ითავსებს კონცეფცია-თეორიებს, რომლებიც ცდილობენ მისი საზღვრების მოშლას და რაღაც ახლის, უფრო თანამედროვეს შექმნას. იბადება სირთულე – **პოსტ-პოსტ-მოდერნიზმის** მომხრენი წინამორბედი მოვლენის რომელი ფრთის თუ სახეობის „დაძლევას“ გულისხმობენ. ერთნი ფრედერიკ ჯეიმისონის თეორიას ემხრობიან, მეორენი კი აღიარებენ ლიოტარის პოზიციას დიადი ნარატივების დაისის შესახებ. დამატებითი სირთულე ისიცაა, რომ პოსტ-პოსტმოდერნისტული თეორიის არაერთი კონცეფციით ფაქტობრივად, იმავე სააზროვნო დისკურსში ვიმყოფებით, რაიც პოსტმოდერნიზმმა დაამკვიდრა.

საბოლოოდ ცხადიყოფა, რომ პოსტმოდერნიზმმა კულტურული ველის გააზრება, მისი ანალიზი შემოგვთავაზა. ამდენად, პოსტ-პოსტმოდერნიზ-

მის ავტორები კვლავ კულტურისმიერ ფესვებზე საუბრობენ. ცხადია, ვგულისხმობთ, ფილოსოფოსისა და კულტურის თეორეტიკოსის ფ. ჯეიმისონის 1980-იანებში დაწერილ სტატიას „პოსტმოდერნიზმი ანუ გვიანდელი კაპიტალიზმის კულტურული ლოგიკა“ („Postmodernism, or, the Cultural Logic of Late Capitalism“). სტატია განმსჭვალულია იმ პათოსით, რომ პოსტმოდერნიზმი გვიანდელი კაპიტალიზმის გამოხატულებაა.

სადღეისოდ, ყველაზე ხშირად ხსენებულ პოსტ-პოსტმოდერნისტულ კონცეფციად **მეტამოდერნიზმი** მიიჩნევა (ადრე ნახსენებ ჰოლანდიელ ფილოსოფოსთა პროექტი). ხაზგასასმელია, რომ ვერმიულენის და ვან დენ აკერის ადრეშექმნილმა მანიფესტმა ძირეული გადამუშავება განიცადა 2017 წელს გამოცემულ ნაშრომში: „მეტამოდერნიზმი: ისტორიულობა, აფექტი და სიღრმე პოსტმოდერნიზმის შემდგომ“. მიხედნენ რა, რომ „მანიფესტი“ ვერ იდგა მყარ სამეცნიერო ნიადაგზე და იოლი იყო მისი საფუძვლიანი კრიტიკა, ახალი ვარიანტი ჯეიმისონის მოსაზრებებზე დააფუძნეს. ამასთანავე, პროექტში სხვა ავტორებიც მიიპატიჟეს. ძირითად კატეგორიად, მანიფესტის შექმნიდან შვიდი წლის შემდგომ, გრძნობათა სტრუქტურა დაასახელეს. ალბათ თვალნათელია, ჯეიმისონისგან „ნასესხობა“, რომელიც პოსტმოდერნიზმის ძირითად მახასიათებლად სწორედ გრძნობის სტრუქტურას წამოწვედა წინ.

და, მაინც ვერ მოხერხდა ერთიანი, ზოგჯერ მსგავსი მოსაზრებების შეჯერება. მრავალსახოვანი შეხედულებები რაციონალურ მარცვალს მართალია შეიცავდნენ, ოღონდ მთლიანობითი კონცეპტის დადგენა ვერ განხორციელდა.

საყურადღებო გააზრებას მოიცავს ალან კირბის **„დიჯიმოდერნიზმი“** (იხ.: Kirby Alan, *Digimodernism: How New Technologies Dismantle the Postmodern and Reconfigure Our Culture*. N. Y., 2009). თუ ითვლება რომ მოდერნის ეპოქის სუბიექტი ნევროტიკია, პოსტმოდერნისა – შიზოიდი, „დიჯი“ ანუ ციფრული მოდერნიზმისთვის ის აუტისტია, რომელიც მისეულ ციფრულ სამყაროს ჰქმნის. ლიტერატურის ამერიკელი თეორეტიკოსის ჯეფრი ნილონის (იხ.: J. T. Nealon, „Post-Deconstructive“ Negri, Derrida and the Present State of Theory“, *Symploke*, vol. 14) თვალთახედვით, დღეს თითქოს ყველა, განსხვავებულის (ადამიანი თუ საგანი) კვლევას ესწრაფის; თუმცა ჯეიმისონისეული და პოსტმოდერნული ლოგიკა დღესაც ძალმოსილია. პოსტ-პოსტმოდერნიზმი პოსტმოდერნიზმის გაძლიერება და მუტაციაა. ამდენად, საუბარია პოსტ-პოსტმოდერნიზმის, ვითარცა თანამედროვე კაპიტალიზმის (just in time capitalism) გამოხატულებაზე.

ოდნავ ადრე, მარკ ფიშერის (Marc Fisher) ფსევდონიმით ცნობილი, პოპულარული ჩრდილო ამერიკელი მწერალი და ლიტერატორი მოიმარჯვებს ტერმინს – „კაპიტალისტური რეალიზმი“. გარკვეული ისტორიულ შეხედულებათა მიხედვით არსებობს მოსაზრება, რომ პოსტმოდერნი უკვე არააქტუალურია, კაპიტალისტური რეალიზმი კი დღესაც „მოთხოვნადი“. ამასთანავე, ეყრდნობა რა ჯეიმისონს, ფიშერი ხშირად ჩაანაცვლებს ხოლმე „პოსტმოდერნიზმისა“ და კაპიტალისტური რეალიზმის ცნება-ტერმინებს (საკუთარი შეხედულების გასამყარებლად არაერთგზის მოიხმობს ჟიჟეკის, დელოზის, გვატარის და დევიდ

ჰარვის ნაწერებს). ამდენად, დასაშვებია მისეულ თეორიას პოსტმოდერნისტული ვუნოდოთ, მხოლოდ იმის მითითებით, რომ ავტორი უშუალოდ კაპიტალიზმს იკვლევს.

მოდერნიზმის ეპოქაში ფროიდისეულად, უპირველესია არაცნობიერი, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის ქმედებას. ამდენად, ადამიანურ ქმედებას არა ცნობიერება განსაზღვრავს, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული – არამედ არაცნობიერი. საინტერესოა, რომ არაცნობიერი, დადაიზმის ეს საყრდენი ნერტილი, მნიშვნელოვანი ხდება სიურრეალიზმისთვისაც. მოდერნისტები დაუპირისპირდნენ წინა ეპოქებიდან ნამემკვიდრებ წამყვან ფორმებსა და ნარატივებს; პუანტალისტურ პერსპექტივას ფერწერა-მხატვრობაში, ტონალურობას სამუსიკო ტექსტებში, რეალისტურ ნათხრობს ლიტერატურაში. ი. ლიტმანი თავისი თეორიის გარკვეულ ეტაპზე მოდერნიზმის მოსაწონ ნიშან-თვისებად ძველზე უარის თქმას და ახლებური მსოფლალქმის ჩამოყალიბებას მიიჩნევდა. ამ თეზას ნათლად წარმოაჩინეს ფუტურისმი. ხოსე ორტეგა თანადროული ხელოვნების ნოვაციას ამგვარად ხედავდა: ხელოვნების დეჰუმანიზაცია; „შეჩვეული“ ფორმების უარყოფა; ზოგადად ხელოვნებაში თამაშის და ირონიის საწყისის მნიშვნელობის წინ წამოწევა. ეს ყოველივე ნათელყოფა პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში.

„წინარე გამოცდილებასთან“ დაპირისპირებულობის მიუხედავად აღსანიშნია ისიც, რომ ერთ-ერთი ადრეული გამოცდილება მოდერნიზმისა – სიმბოლიზმი, რომანტიზმის ხაზს განაგრძობს. ბოდლერი დაწერს – „ყოველ ადამიანში, ყოველ წუთს არის ორი ერთდროული მისწრაფება, ერთი ღმერთისკენ, მეორე სატანისკენ. მონოდება ღმერთისკენ როდესაც სულიერება არის ამაღლების სურვილი; სატანას მონოდება როდესაც ცხოველობა არის დაცემით ტკბობა“. ექსპრესიონიზმს და რომანტიზმს შორის კავშირს მიაანიშნებს ვალერიან გაფრინდაშვილი: „უეჭველია აგრეთვე ექსპრესიონისტების კავშირი „გრიგალისა და ამბოხების“ გენიალურ ჭაბუკებთან... „გრიგალისა და ამბოხის“ („Sturm und Drang“) პერიოდიდან განსაკუთრებით შილერთან ექსპრესიონისტებს დიდი კავშირი აქვთ. მათი კულტი რევოლუციის და კატასტროფის, მათი მორალური პათოსი, თითქოს აღდგენაა შილერისა და რომანტიზმის პირვანდელ რევოლუციური ხანის, როცა მისი აჯანყება ძველი ლიტერატურის და ცხოვრების წინააღმდეგი იყო თავშეკავებული და უსაზღვრო... მათი პესიმიზმი არის გამოწვეული იმ დამარცხებებით, რომელიც ნახა გერმანიამ უკანასკნელ ომში“ (გაფრინდაშვილი 1924).

ქართული გამოცდილების გათვალისწინებით, მოდერნიზმის ხანაში გამოიყოფა ორგვარი პოზიცია, რომლებიც ხილულ სინამდვილეში ჭეშმარიტების ძიებას უპირისპირდება, რაც, რასაკვირველია, მოასწავებს კულტურაში დესემიოტიზაციის პროცესს – როდესაც სიტყვები და საგნები ერთმანეთს აღარ მიემართებიან. ერთია მიღმური სამყაროს წვდომისკენ სწრაფვა, მეორე – უპირატესად ფუტურისტებისეული პოზიცია მომავლის სამყაროს მიმართ.

„პოსტმოდერნიზმი“ ტერმინისმიერად, ამბივალენტური შინაარსისაა. აცნობიერებს როგორ მოდერნიზმის დაძლევის მცდელობას, ასევე მისი გაგრძელების კულტურულ პარადიგმას. პოსტმოდერნიზმი, ვითარცა მსოფლშეგრძნება წინ უსწრებს თავად ტერმინისმიერ დამკვიდრებას; მიჭიდროდა დაკავშირებული ტექნოლოგიურ ნოვაციებს, პრობლემის გააზრება საყურადღებოდაა წარმოდგენილი ამ სფეროს „მძიმეწონოსნად“ მიჩნეული ფრანგი კრიტიკოსის ჟან ლიოტრის ტექსტში „პოსტმოდერნის მდგომარეობა“, სადაც „პოსტმოდერნი“ თანადროული კულტურული მდგომარეობის აღმნიშვნელია.

სოციალური ორგანიზაცია და ადამიანური ყოფის ცხოველმყოფელობა, პიროვნებისეული შეხედულება ჭეშმარიტებაზე, სამყაროსა და თავად ადამიანზე, განსაზღვრავენ კულტურისმიერ არსს. პიროვნება თავადაა რეალობის შემქმნელი, ამასთანავე, სხვათაგან ხელეწიფებათ საკუთარ შეხედულებათა გამოხატვა და ამით ზოგადი რეალობის გამრავალფეროვნება. ამგვარი გააზრებით სარწმუნოა პოსტმოდერნისტული მტკიცებულება – „სამყარო ტექსტია“.

ახალი თაობის მწერლები ძალაუნებურად ითვალისწინებენ ნამემკვიდრებ პოსტმოდერნისტულ ფორმებსა თუ ნააზრევ-ნაფიქრალს. ასევე, „ძალაუნებურად“ გვთავაზობენ პოსტ-პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის ნარატივისეულ „მიგნებებს“. პიროვნება პოსტ-პოსტმოდერნისტულ ნააზრევში, ალბათ უფრო მეტად სოციალიზებულია. მეთოდის შესაგრძობად ახლებური ინტერპრეტაციაა მოსამარჯვებელი. იგულისხმება გმირთა (პერსონაჟთა) „განჩხრეკვის“ გართულებული მიდგომა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, იკვეთება პოსტ-პოსტმოდერნისტული რომანის ამგვარი მარკერები (Timmer 2010):

- სიუჟეტის აგების პოსტ-პოსტმოდერნისტულმა სტრატეგიებმა ნათლად ვერ ჩამოაყალიბეს პიროვნების სრულფასოვანი გააზრების ფორმები.

- პოსტ-პოსტმოდერნისტულ რომანში ნათხრობის ახლებური ფორმის ძიება გაპირობებულია პიროვნებისმიერი მცდელობით, როგორმე დაძლეულ იქნას ექსისტენციური კრიზისი თუ „აფეთქება“.

- პოსტ-პოსტმოდერნისტულ რომანში მნიშვნელოვანია „ურთიერგაცვლის“ მომენტი ანუ სხვებს თავს გადახდენილ ამბავთა საკუთართან დაახლოვება – იდენტიფიცირება. „საკუთარის“ სხვებთან იგივეობის და თანაერთობის შეგრძნების ალბათობა.

- პოსტ-პოსტმოდერნისტულ რომანში მნიშვნელოვანია „მსგავსება-ერთიანობა“ (პოსტმოდერნისტული ტექსტებისგან განსხვავებით, სადაც „განსხვავებულობა“ უმთავრესი ნიშანი); ხშირია უშუალოდ ტექსტის აღმქმელი სადმი მიმართვა – „თქვენც ასევე გრძნობთ, ხომ?“ რაც ე.წ. „გაცვლა-გამოცვლის“, გაზიარების ფორმაა.

- პოსტმოდერნისტული მიგნებები (ხერხები) პოსტ-პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაშიც კვლავინდებურად იხმარება, მაგრამ ან უკვე განსხვავებული ფუნქციით.

• პოსტ-პოსტმოდერნისტული რომანი აცდენილი არაა ირონიას, ოღონდ ის უკვე სოციალურ ან კულტურისმიერ ნორმად აღარ აღიქმება.

• პოსტ-პოსტმოდერნისტულ რომანს ემპათია განსაზღვრავს (გმირებს, მთხრობელს და პერსონაჟებს, მთხრობელს – პერსონაჟებს – მკითხველს შორის).

საფუძვლიანია კითხვა – არის თუ არა პოსტ-პოსტმოდერნიზმი „პოსტ-მოდერნულობის“ ეპოქის ერთ-ერთი ეტაპი თუ მან ამონურა და დაწრიტა „დაღლილი“ პოსტმოდერნიზმი? აღვნიშნავთ უმთავრესს – მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმისგან განსხვავებით პოსტ-პოსტმოდერნიზმი განსაზღვრული ესთეტიკური და მხატვრული კანონების დამკვიდრებას ცდილობს. ერიდება ესთეტიკურის ზოგადი მიდგომების დაფუძნებას. მიიჩნევს, რომ ინტერაქტიულობა დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანია პოსტ-პოსტმოდერნისა. თეორიული გააზრებით, ვირტუალური რეალობა არაკლასიკური ესთეტიკის შედარებით ახალი ცნებაა. ვირტუალობის ესთეტიკა კონცეპტუალურად, უფრო ფართოა პოსტმოდერნულ ესთეტიკასთან შედარებით.

დამონმებანი:

Gaprindashvili Valerian. *Jurnali „Mnatobi“*, №2. T’pilisi: 1924 (გაფრინდაშვილი ვალერიან. *ჟურნალი „მნათობი“*, №2. ტფილისი: 1924).

Kleon Austin. *Steal like an Artist*. Workman Publishing Co. Inc. NY: 2012.

Kuhn Thomas S. *The Structure of Scientific Revolution*. Chicago: 1970.

Timmer Nicoline. *Do You Feel It Too? Postmodernism Studies*. Amsterdam-New York: 2010.

Handke P. *Ich bin ein Bewohner des Elfenbienturms*. Frankfurt am Mein: 1972.

Ramaz Chilaia
(Georgia)

From Modernism to Post-Postmodernism

Summary

Key words: Civilization, culture, society.

The XXist century offers us the new rules of existentialism. The conflicts of the civilizations are uncovered. A human is in the process of looking for the ways to be in harmony with the outer world. The fastest development of the digital technologies helped the society to pass to the new cultural stage.

According to his nature, a human has to exist in this or that kind of a society. So, he is forced to find an existentialistic fulcrum. This “prop” is still found in the standards formed

and developed by the cultural forms typical to the given society. According to Nietzsche, the “Transformation of the Spirit” is possible and we must accept and understand it as a concept equal to the current global changes in the cultural sphere. There is no development without changes and transformation; in every concrete case, as a major characteristics, we must consider the perception and freedom of a human. And the progress or development is determined by the changes of the attitude to the universe and understanding of the reality, the methods of perception, and limitless freedom.

The culture-related space is understood and imagined as the variety of the interrelation of an economic, social, political, and spiritual expression; consequently, all the above-mentioned forms of human expressions are joined by the perception of the verity, outer world, and the nature of the human. It has been often pointed out to the fact that the culture-related phenomenon includes the following triad: a human – objectively existent world – absolute world. It must be clear that the given trichotomy can’t be universal but it certainly has the right to exist.

If we rely on the already mentioned approach, then it’s possible to present the following systematics: a) verity and the ideas regarding it determine perception of the world/universe by an individual, by the essence of his creative power. b) The combination of the above-mentioned components creates culture-related phenomenon.

At present, the common cultural (spiritual, social-economical, political, technological) context undergoes radical changes. Almost already for half a century the thinkers and the scientists discuss the topic regarding the similarity or the difference between the epochs of the modern and the postmodern. The approach that a human is in the ambivalent situation, that he is unable to rely on the narratives created in the result of the prior antecedents and experience because they cannot “satisfy” him, overweighs the other ideas. In the process of the confrontation or comparison of the XX century art samples the critics openly point out to the fact that the founding of some new conception of the world or philosophy of life or cultural period is quite late. This border has already been overstepped and the thinkers still try to blaze the trails. It’s true that the understanding of the knowledge in the postmodern channel is not stable anymore; still, it must be based on the ideas and experience of the “innovative” postmodern classics. It must be taken into consideration that the formerly acquired postmodern knowledge is important for the overcoming of the postmodern episteme. It’s difficult to say how will the mechanism of the gathered knowledge in the society develop or what way will the events progress. One thing is clear that the new theories must be comprehended with great care, the majority of which, to our mind, does not submit logics or has simply some speculative meaning. In all probability the existence of the definitely named and determined epoch is under the question. “Unrestricting” was overcome by the postmodern earlier.

Every new epoch in any art direction based on the experience of the predecessor, expands and equips the old ones with the new signs and qualities. The classic art (literature) created and formed the models: meaningful narratives, based on the artistic verity and moral-ethical values. The basis of the modern is positivistic philosophy, phenomenology,

Freidism, Marxism, and the doctrines of Nietzsche. If the positivism and phenomenology strived to achieve the objectification of the knowledge, the followers of Freidism, Marxism, and the Nietzsche theories were involved in human studies.

Taking into consideration the Georgian literary experience, during the modern period two kinds of positions have been framed out which confront and contradict searching after verity. In its turn this phenomenon anticipates the process of desimiotisation in the culture – when the words and the objects do not relate to each other. One thing is to rush to the ultimate world, and the other thing is to have the futuristic attitude towards the world.

The concept “postmodern” is of the ambivalent nature. It is understood as the attempt of overcoming the modern as well as the cultural paradigm of its continuation. The postmodern as a conception of the world anticipates the assertion of the concept itself. The postmodern is closely connected with technological innovations.

Social organization and the strength of the human existence, the personal opinion on the truth, the universe, and the person himself, determine the essence of the culture.

ნინო სურმავა
(საქართველო)

ამინ არ-რეიჰანის „ჯუჰანი“ და მისი თარგმანების პრობლემატიკა

ამინ არ-რეიჰანი¹ სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლის აღიარებული კორიფე, XX საუკუნის დასაწყისის „ნაჰდას“² არაბული მოძრაობისა და მისი განუყოფელი ნაწილის – „მაჰჯარის“³ ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. სულ რაღაც 12 წლისა, 1888 წელს, იგი ოჯახმა ნიუ-იორკში გაგზავნა. მწერალი ბავშვობის ასაკშივე შეეთვისა ამერიკულ გარემოს, აქტიურად ეცნობოდა როგორც ევროპულ, ასევე ამერიკულ ლიტერატურას, ჩაირიცხა კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სწავლა შეწყვიტა და ლიბანში დაბრუნდა. არაბულ კულტურასთან სულიერი კავშირი მწერალს არც ამერიკაში გაუნყვეტია, პირიქით, სამშობლოსთან სიშორემ და ოკეანის მიღმა ყოფნამ და ცხოვრებამ მისი გრძნობა სამშობლოსი კიდევ უფრო გაამძაფრა და გააფაქიზა.

1901 წლიდან ამინ არ-რეიჰანი უკვე ამერიკის მოქალაქეა. ამერიკელი უოლტ ვიტმენის მიმდევარი და რაღაც ემერსონის დიდი გავლენის ქვეშ მყოფი მწერალი ბრწყინვალედ ფლობს ინგლისურს და სამშობლოში დაბრუნებამდე თავის სამწერლობო გზას სწორედ ინგლისურად იწყებს. 1911 წელს ინგლისურად დაწერილი და გამოცემული მისი რომანი „ხალიდის წიგნი“ ამერიკაში არაბი მწერლის პირველ ინგლისურენოვან რომანად შევიდა ისტორიაში. 1904 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რეიჰანი მშობლიური ენის, კულტურის და ლიტერატურის შესწავლით იყო დაკავებული. ამ დროიდან მოყოლებული ის აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს, 6 წელი განმარტოებით ცხოვრობს ლიბანის მთებში და წერს არაბულ ენაზე (გარდავაძე 2015: 10-11).

უნდა აღინიშნოს, რომ „მაჰჯარის“ ტრანსკულტურული სკოლის ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ იქმნებოდა არაბული რეგიონის გარეთ, რეალურად იყო XX საუკუნის დასაწყისის „ნაჰდას“ მოძრაობის განუყოფელი

1აკადემიურ და სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებულია მწერლის გვარის ორი ფორმა: რეიჰანი/არ-რეიჰანი.

2 არაბული ტერმინი ნაჰდა (ქართულად-აღორძინება) აღნიშნავს XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში არაბულ სამყაროში კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებისა და ახალი არაბული ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესს.

3 იგივე ემიგრანტული ლიტერატურა, რომელიც აერთიანებს XIX-XX საუკუნეებში სირია-ლიბანიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული მწერლების შემოქმედებას; ამიტომ ლიტერატურულ წრეებში მას ხშირად უწოდებენ სირიულ-ამერიკულ სკოლას. თანამედროვე ემიგრანტული მწერლობისგან განსასხვავებლად კი ძველ ემიგრანტულ ლიტერატურადაც მოიხსენიებენ.

და ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან ის იყო როგორც არაბული კულტურის მოდერნიზაციის ერთ-ერთი ძლიერი კატალიზატორი, ასევე დასავლური ღირებულებების აღმოსავლურ კულტურასთან პოზიტიური კუთხით სინთეზის ინიციატორი. უდიდესია ემიგრანტი მწერლების ღვაწლი XX საუკუნის დასაწყისში დასავლეთისთვის (ამერიკისა და ევროპისთვის) მუსლიმური ახლო აღმოსავლეთის არაბებისა და ისლამის პრინციპების ჭეშმარიტი სახით წარდგენასა და გაცნობაში. ამ მისიის განხორციელება მაჰჯარის სკოლამ თავისი ორენოვნებით შეძლო. ამ სკოლის ბევრი წარმომადგენელი ჯერ ლიბანში მისიონერულ სკოლებში დანყებული განათლებით და შემდეგ, დასავლეთში იძულებითი ემიგრაციის პირობებში, უცხო ენობრივ გარემოში მათი სრული ადაპტირებით ორენოვან ავტორად ჩამოყალიბდა (გარდავაძე 2015: 6). მაჰჯარის სკოლის მწერლები ერთნაირი წარმატებით წერდნენ როგორც არაბულ, ისე ინგლისურ ენებზე. ამიტომ დიდია ემიგრანტი მწერლების როლი მთარგმნელობით პროცესში. მათი მხატვრული შემოქმედება ორივე ენაზე ერთნაირ სიმაღლეებს აღწევს. თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს წარმატებას, რომელსაც ემიგრანტმა მწერლებმა მიაღწიეს, – იქნება ეს თარგმანისა თუ ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა, – უპრიანი იქნება აღინიშნოს, რომ თარგმანი, როგორც ტერმინი, არ შემოიფარგლება მხოლოდ აზრის მექანიკური გადატანით ერთი ენიდან მეორეზე, თარგმნა გულისხმობს ინტერპრეტაციას და ინტელექტუალური და ლიტერატურული ღირებულებების გადატანას ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში. ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას ემიგრანტი მწერლების დამსახურებებსა და მიღწევებს თანამედროვე არაბული ლიტერატურის ისტორიაში. თუ გამოვიყენებთ თარგმანის თეორიაში არსებულ ტერმინოლოგიას, არსებობს პირველწყარო ანუ სათარგმნი ენა, არის თარგმანის ენა და ამ ორ ენას შორის არსებული საფეხური, რომელსაც ხშირად „ტექსტთაშორის“ საფეხურს უწოდებენ. ფაქტობრივად, მაჰჯარის სკოლა თავისი ორენოვნებით გვიჩვენებს თარგმნას განსაკუთრებულად ცოცხალი ფორმით. მეტიც, მწერლები უშუალოდ „პირველწყაროდან“ არიან თარგმნილნი, რადგან მათ თავიანთი ბილინგვურობით წარმატებით გადალახეს „ტექსტთაშორისი“ საფეხური და შეძლეს მათი მასაზრდოებელი კულტურული ფასეულობების ინტერპრეტაცია და ინტელექტუალური და ლიტერატურული ღირებულებების უდანაკარგოდ გადატანა ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში (Alen 2012: 12).

ამდენად, ამინ არ-რეიჰანი „ჰიბრიდული იდენტობის“ მატარებელ მწერლად გვევლინება, რომელიც თავის ლიტერატურულ დისკურსში აღმოსავლურ-დასავლური ღირებულებების გონივრული სინთეზისგან ცდილობს მესამე სივრცის – ერთგვარი ალტერნატიული სამყაროს შექმნას. თითქმის ერთი საუკუნის წინ ის სწორედ ბიკულტურალიზმისა და ჰიბრიდულობის იდეას ქადაგებდა. დიდ მოაზროვნესა და მწერალს აღმოსავლეთ-დასავლეთის სულიერი სინთეზის იდეა საკუთარი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე აფიქრებს. XX საუკუნის არაბულ ლიტერატურაში ამ ორი სამყაროს შეხვედრის თემა, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას, სწორედ რეიჰანის შემოქმედებიდან იღებს სათავეს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამინ არ-რეიჰანი სამი კულ-

ტურის პირმშოა – ამერიკულის, ევროპულის და არაბულის. მეტიც, არაბულ კულტურამდე ის ევროპულ-ამერიკულიდან მივიდა და საკუთარ თავს მისია დააკისრა – აღმოსავლეთში დასავლეთის ცოდნა შეეტანა და დასავლეთში – აღმოსავლეთის ფილოსოფია და პოეზია (გარდავაძე 2007: 109). მწერლის სიტყვები: „ლიბანი – პარიზი – ნიუ-იორკი! ჩემი სული ლიბანშია, გული – პარიზში, ნიუ-იორკში კი ამჟამად სხეულია მხოლოდ ჩემი“, ვფიქრობ, ყველაზე კარგად წარმოაჩენს დიდი მწერლისა და მოაზროვნის მსოფლმხედველობას (Rihani 2014: 52).

საქართველოში ამინ არ-რეიჰანის სახელს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან არაბული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმანის პროცესი სწორედ ამ მწერლით იწყება. ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის დამფუძნებელი, ცნობილი მეცნიერი და აკადემიკოსი გიორგი წერეთელი 1945 წელს გამოცემულ ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე ამინ არ-რეიჰანის უწოდებს „ევროპულ სმოკინგში გამონყოფილ არაბს“. გიორგი წერეთლის მიერ ამინ არ-რეიჰანიზე დანერილი სიტყვები, ვფიქრობთ, ზუსტად მიესადაგება მწერლის ტიპაჟს:

„მიუხედავად იმისა, რომ თავისი პიროვნების შემადგენელი ელემენტები ემინმა სხვადასხვა კონტინენტზე გაანაწილა, იგი მაინც არაბია... ემინ რეიჰანი ორი მსოფლიოს მიერ წარმოშობილი ნაყოფია, აღმოსავლეთის და დასავლეთისა. იგი ხარბად ითვისებდა ორივე სამყაროს კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტებს და ცდილობდა მათ გაერთიანებას თავის არსებაში. ერთი მხრივ, აბუ ლ-ალა მაარრი, მუთანაბი და იბნ-საჰლი, მეორე მხრივ – ვოლტერი, გოეთე, ბალზაკი, კარლეილი, კიტსი, უოტ უიტმენი და სხვანი, სხვადასხვა სამყაროს ეს სხვადასხვა სიდიდეები როგორღაც თავსდება ერთად ემინ რეიჰანის პიროვნებაში... მე არ ვიცი, შეიძლება თუ არა ითქვას რეიჰანის პოეზიის შესახებ, რომ ეს არის ფლობერის „აღმოსავლეთი ფრაკში“, ან გადმოდება თუ არა ეს პოეზია უარსაყოფად რედიარდ კიპლინგის სიტყვებისა – *Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet* (ო, აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი – დასავლეთი და ეს ტყუპები არასდროს შეიყრებიან) – მაგრამ, უეჭველია, რომ იგი წარმოადგენს ამ დებულების უარყოფის ცდას... თანამედროვე არაბეთისა და საერთოდ აღმოსავლეთის მთელი ლიტერატურის ძირითადი მოტივი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების გაერთიანებაა. ამაზე ოცნებობს რეიჰანიც“ (წერეთელი 1945: 75-77).

წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ რეიჰანის მცირე რომანს „Juhan“¹, რომელშიც მწერალი ორი სრულიად განსხვავებული რელიგიის და კულტურის,

1 ჯიჰანი არის ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი – თურქი ქალი. მთავარი პერსონაჟის სახელის მართლწერის განსხვავებული ვერსიები არსებობს. ინგლისურენოვან ხელნაწერში მწერალი სახელს ხმარობს შემდეგი დამწერლობით: Juhan. ამიტომ ნაწარმოების ინგლისურენოვან გამოცემასა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულია ფორმა – Juhan. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელი არის თურქულ-სპარსული წარმოშობის და გამოითქმის, როგორც ჯიჰან. შესაბამისად, არაბულენოვან ტექსტში გვხვდება ფორმა – ჯიჰან. ამინ არ-რეიჰანის ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://www.ameenrihani.org>) სახელის ორივე ფორმაა მოცემული: Juhan/Jihan.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის სიყვარულის გზით შეყრის თემას ავითარებს. სანამ რომანის თარგმანების პრობლემატიკას შევეხებოდეთ, პირველ რიგში, გავაანალიზებთ თავად ნაწარმოებს, რომელიც ავტორმა ინგლისურ ენაზე დაწერა 1917 წელს. ინგლისურენოვანი „ჯუჰანი“ თავიდანვე არ დაბეჭდილა. ამინ არ-რეიჰანის ძმა ალბერტ რეიჰანი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ იმ დროს არაბ ქალთა ემანსიპაცია არ იყო საინტერესო თემა ამერიკელი გამომცემლებისთვის, ამიტომ ნაწარმოები მისი ინგლისურად გამოცემის წელსვე ითარგმნა და გამოიცა არაბულად 'აბდ ალ-მასიჰ ჰადად-ის მიერ სათაურით „ჰარემის გარეთ“. არაბულენოვანი თარგმანი შემდეგ წლებშიც განმეორებით არაერთხელ გამოიცა, ხოლო ინგლისურენოვანი ორიგინალი ხელნაწერი (საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი ტექსტი, რომელიც შიგადაშიგ ხელითაა ჩასწორებული ავტორის მიერ), მწერლის სახლ-მუზეუმში ინახებოდა და მხოლოდ 2011 წელს გამოიცა სტამბურად. სწორედ 2011 წლის ინგლისურენოვანი გამოცემა ითვლება ყველაზე სრულყოფილ ტექსტად (Rihani 2011: 13-91).

„ჯუჰანი“ XX ს-ის არაბულ ლიტერატურაში აღმოსავლეთ-დასავლეთის თემატიკაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი მხატვრული ნაწარმოებია. საფიქრებელია, რომ სასიყვარულო ურთიერთობის მეტაფორა, რომელიც XX ს-ის არაბულ ლიტერატურაში ერთგვარ ნორმად იქცა „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ციკლის რომანებში, სწორედ აღნიშნული ნაწარმოებიდან იღებს სათავეს.

ცნობილია, რომ რეიჰანი იყო ქალთა უფლებების აქტიური დამცველი და ის გაბედულად წერდა XX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლური საზოგადოებისთვის ტაბუდადებულ თემებზე. თავისი თანამედროვე მწერლებისგან განსხვავებით „ჯუჰანში“ რეიჰანი ხატავს მებრძოლი, ახალგაზრდა რევოლუციონერი თურქი ქალის სახეს, რომელსაც სურს მოდერნიზებული დასავლეთის ღირებულებები საკუთარ ხალხამდე მიიტანოს. ჯუჰანი მწერლისთვის გამოღვიძებული აღმოსავლეთის ერთგვარი სიმბოლოა. მთავარ პერსონაჟში ბევრი რამ დევს თავად ავტორისაც.

რომანში პირველი მსოფლიო ომის მოვლენათა ანარეკლია, მოქმედება თურქეთში 1915 წელს მიმდინარეობს და მთავარ მოქმედ გმირთა წყვილი სტამბოლში გერმანიის სამხედრო მრჩეველი, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი ფონ ვალლენშტეინი და მაღალი წრის ახალგაზრდა თურქი ქალი ჯუჰანია. ამდენად, „ჯუჰანში“ ასახულია სრულიად ახალი მოვლენები და კონფლიქტები, რასაც მკვლევარი დოლინინა რეიჰანის შემოქმედებაში ცალკეული რეალისტური ელემენტების გაჩენას უკავშირებს; მისი აზრით, „სწორედ დამაჯერებლობისკენ სწრაფვამ გამოიწვია ის, რომ არაბული რომანის გმირი არის არა არაბი, არამედ თურქი, რადგან თურქი მუსლიმი ქალები მეტად ევროპეიზებული იყვნენ და მეტი თავისუფლებითაც სარგებლობდნენ. არცერთი თუნდაც განათლებული არაბი მუსლიმი ქალი იმ დროს ვერ აღმოჩნდებოდა ჯუჰანის ადგილას“ (Долинина 1981: 18).

რომანის შინარსი შემდეგია: ჯუჰანი არის მთავარი გმირი, თურქი ქალი, რწმენით მუსლიმი, მაგრამ ცხოვრების თანამედროვე ხედვით. ის არის ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის – რიდა ფაშას ქალიშვილი. ჯუჰანი გაშორებულია ქმართან, პრინც საიფ ად-დინთან, რადგან ქმარმა გატეხა ცოლისთვის მიცემული ფიცი, რომ მის გარდა სხვა ქალზე არ იქორწინებდა. ჯუჰანი იბრძვის თავისუფლებისთვის, ის წინააღმდეგია ზოგიერთი აღმოსავლური ტრადიციისა და სურს დასავლეთის პროგრესული შეხედულებები საკუთარ საზოგადოებაში დანერგოს. მიუხედავად იმისა, რომ მამა წინააღმდეგია შვილის თავისუფლებისა, ჯუჰანი მაინც ახერხებს იცხოვროს აქტიური ცხოვრებით. ორი ადამიანი იბრძვის მისი სიყვარულის მოსაპოვებლად: შუქრი ბეი, ბიძაშვილი და მამის შერჩეული საქმრო და გერმანელი ოფიცერი. ჯუჰანზე დიდი გავლენა აქვს რიდა ფაშას. მწერალი ხაზს უსვამს რიდა ფაშას ამბივალენტურ დამოკიდებულებას დასავლური ცივილიზაციის მიმართ, მას, ერთი მხრივ, მოსწონს პროგრესული დასავლეთი, მაგრამ ამავე დროს, აღმოსავლური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების დამცველია, ისევე, როგორც ჯუჰანი ცდილობს შეათანხმოს ერთმანეთში აღმოსავლურ-დასავლური ფასეულობები. ქალის იმედი იმ მომავალ ბავშვშია ჩადებული, თავად რომ გააჩენს – გოგოს, რომელიც მის კვალს გაჰყვება და იბრძოლებს აღმოსავლელი ქალის თავისუფლებისთვის ან ბიჭს, რომელიც გაიზრდება გმირი, ლიდერი, მხსნელი ერისა. ამ ოცნების ახდენა ჯუჰანს შეუძლებლად მიაჩნია საკუთარი ერის წიაღში, ამიტომ სურს, ბავშვის მამა გერმანელი გენერალი იყოს, თუმცა ქორწინების იდეაზე უარს აცხადებს. გენერალი ვერ ითავისებს ქალის უარს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჯუჰანი თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. მამის ციხიდან გათავისუფლების დაპირებით გენერალი ქალს იმორჩილებს. ჯუჰანი ხდება გენერლის მსხვერპლი. შუქრი ბეი, ჯუჰანის მამა და ძმა – სამივე გენერლის წყალობით იღუპება, რის შემდეგაც ქალი შურისძიებას გადაწყვეტს – გენერალს სახლში შეიტყუებს და წინაპრების ხანჯლით მოკლავს. შემდეგ სტამბოლიდან მოშორებით სხვა სახელით აგრძელებს ცხოვრებასა და ბრძოლას, თანამშრომლობს პროგრესულ გაზეთებთან და ზრდის ქერათმიან ბიჭს, მუსტაფას¹, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის იდეალებით. ამ ბავშვშია ჩადებული მთელი იმედი მისი ხალხის უკეთესი და ნათელი მომავლისა.

„ჯუჰანი“ მხოლოდ ფენიმიისტური იდეის მატარებელი როდია, აქ ჩანს კონფლიქტი ორ ურთიერთგანსხვავებულ აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროს შორის. აღმოსავლეთისა და დასავლეთის განმასახიერებელი ორი მთავარი გმირის ერთმანეთისკენ სიყვარულის გზით სვლას რომანში საბედისწერო ფინალი აქვს, რადგან მათი ერთმანეთისკენ სავალი გზები აცდენილია. ამ კავშირით ორივე გმირი სრულიად განსხვავებულ მიზნებს ისახავს

1 მუსტაფა – (არაბ.) რჩეული. შდრ. ჯიბრან ხალილ ჯიბრანის 1923წ. გამოცემული მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოების “წინასწარმეტყველის” პროტაგონისტის სახელი – ალ-მუსტაფა.

– აღმოსავლელი ქალი ნანატრი თავისუფლებისთვის იბრძვის, ის ოცნებობს სიცოცხლე მისცეს ბავშვს, რომელიც გააერთიანებს აღმოსავლურ და დასავლურ ღირებულებებს, დასავლელი კაცი კი განუსაზღვრელი ძალაუფლებისკენ მიისწრაფვის, მისი „აზიური ოცნება“ იხილოს იმპერია გერმანული პროტექტორატის ქვეშ.

ნანარმოების ბოლოს ავტორი გვიჩვენებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ქორწინების იდეის კრახს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გმირი წავიდა კულტურულ კომპრომისებზე: გენერალმა შეითვისა აღმოსავლური ტრადიციები, ჯუჰანმა კი – დასავლური, მათი ქორწინების იდეა ჩაიშალა. ჯუჰანი ქორწინების წინააღმდეგია, მაგრამ იმედი მომავალშია ჩადებული. ჯუჰანის ვაჟი – მუსტაფა იქნება სწორედ ის „წინასწარმეტყველი“, რომელიც შეძლებს აღმოსავლურ-დასავლური ფასეულობების შეთანხმებას. სწორედ ეს არის რომანის მთავარი იდეა.

ჩვენი ყურადღება საგანგებოდ უნდა შევაჩეროთ ნანარმოების ფინალზე, რომელიც განსხვავებულია ინგლისურ ორიგინალში და არაბულ და რუსულენოვან თარგმანებში. პირველ და მეორე არაბულენოვან გამოცემებში (1917 და 1922 წწ-ის) „ჯუჰანი“ სრულდება გენერლის მკვლელობის სცენითა და ჯუჰანის თვითმკვლელობით (<https://www.hindawi.org/books/39464158/>). მთარგმნელს ('აბდ ალ-მასიჰ ჰადადს) სრულიად შეუცვლია ნანარმოების ფინალი და ამოუღია მუსტაფას მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს რომანის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს და ნანარმოების მთავარი იდეის მატარებელია, ჩვენი აზრით. ამინ ალბერტ რეიჰანი მთარგმნელის ასეთ ინტერპრეტაციას იმით ხსნის, რომ აღნიშნული ეპიზოდი იმ დროის არაბი მკითხველისთვის შეიძლება სრულიად მიუღებელი ყოფილიყო. 1948 წლის არაბულენოვანი გამოცემა შესწორებული და შევსებულია რეიჰანის ძმის მიერ (Rihani 1948: 127-131). სწორედ არაბული ენიდანაა თარგმნილი რუსულად რეიჰანის „ჯუჰანი“, თუმცა რუსულენოვანი თარგმანი ეყრდნობა არა ბოლო, არამედ 1922 წლის ნაკლებ არაბულენოვან გამოცემას, შესაბამისად რუსული თარგმანიც არასრულყოფილია. რუსული თარგმანი (მთარგმნელი – დერდროვა) შესულია 1981 წელს გამოცემულ კრებულში: XIX-XX საუკუნეების არაბული რომანტიკული პროზა („Арабская романтическая проза XIX-XX веков“). შენიშვნებში მთარგმნელი თავად მიუთითებს, რომ თარგმანი შესრულებულია კაიროს 1922 წლის გამოცემის მიხედვით. ამდენად, რუსული თარგმანის გამოჩენამდე არსებობდა რამდენიმე გამოცემა: 1917 წლის ნიუ-იორკის გამოცემა, 1922 წლის კაიროს გამოცემა, 1933 და 1948 წლის ბეირუთის გამოცემა.

რუსულენოვან კრიტიკაში რამდენიმე არაბულენოვანმა თარგმანის არსებობამ ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ დავეთანხმებით დოლინინას მოსაზრებას იმის თაობაზე, თითქოს ამინ არ-რეიჰანიმ შეცვალა მესამე გამოცემაში მოთხრობის ფინალი და დაამატა მუსტაფას ეპიზოდი (Долинина 1981:18). იგივე აზრს ავითარებს აიდა იმანგულიევაც მუსტაფას მონაკვეთთან დაკავშირებით: „როდესაც ჯუჰანი თავიდან გამოიცა

1933 წელს, რეიჰანიმ შეცვალა ფინალი. ჯუჰანი არ მომკვდარა, ის სტამბოლიდან მოშორებით ცხოვრობს და ზრდის ვაჟს, რომელიც ეყოლა გერმანელი შეყვარებულისგან“ (Imangulieva 2009: 112). ვფიქრობთ, დოლინინასა და იმანგულიევას მოსაზრება ნანარმოების ფინალთან დაკავშირებით მცდარია, რადგან ორიგინალ ინგლისურენოვან ხელნაწერში აღნიშნული მონაკვეთი თავიდანვე არსებობდა. სინამდვილეში, ამინ არ-რეიჰანის არც არაბულენოვან და არც ინგლისურენოვან ტექსტში ცვლილება არასდროს შეუტანია. დოლინინა და იმანგულიევა მიუთითებენ 1933 წლის მესამე გამოცემაზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ თუკი 1948 წლამდე რომელიმე არაბულენოვან გამოცემაში მართლაც არსებობს მოთხრობის სრული ვერსია, ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ გამომცემელს არაბულენოვან ტექსტთან ერთად ხელთ უნდა ჰქონოდა ინგლისურენოვანი ორიგინალი ხელნაწერი არაბულ ტექსტთან შესადარებლად და მის შესავსებად.

დღესდღეობით ამინ არ-რეიჰანის აღნიშნული რომანის არაბულენოვანი თარგმანის ელექტრონული ვერსია PDF ფაილის სახით ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში (<https://www.hindawi.org/books/39464158/>), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტში გავრცელებულია არა სრული და შესწორებული ვარიანტი, არამედ ნაკლული, სავარაუდოდ 1922 წლის გამოცემა. ინტერნეტ სივრცეში რომანის განთავსების და გავრცელების წყაროდ ჩანს Hindawi organization: www.hindawi.org, საიდანაც სავარაუდოდ ტექსტი სხვა საიტებზეც მოხვდა და დაიბეჭდა კიდევ. მაგალითად, 2016 წელს დამასკოში არაბ მწერალთა კავშირმა „ჯიზის წიგნის“ სერიის ფარგლებში თავიდან გამოსცა „ჯუჰანი“ (<https://www.albayan.ae/books/from-arab-library/2017-05-02-1.2933397>), თუმცა ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ნაკლულ ვარიანტთან. ჩანს, აქაც გამომცემელი ელექტრონულ ვერსიას დაეყრდნო და სათანადოდ არ გადაამოწმა ტექსტი და არ შეუდარა ორიგინალს. გამოდის, რომ არაბულენოვანი მკითხველი ხშირ შემთხვევაში ეცნობა არასრულ ტექსტს. ამიტომ, საჭიროა გამომცემლები დაინტერესდნენ ამ საკითხით და თავიდან გამოსცენ „ჯუჰანის“ სრული თარგმანი არაბულ ენაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ინგლისურ ორიგინალთან, ნანარმოების სხვა ენებზე თარგმნის შემთხვევაში კი მთარგმნელი, პირველ რიგში, უნდა დაეყრდნოს უშუალოდ ორიგინალს. ამრიგად, ამინ არ-რეიჰანის „ჯუჰანის“ ნაკლული არაბულენოვანი და რუსულენოვანი გამოცემები ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება თარგმანი ასე დაშორდეს ორიგინალს. მთარგმნელის მისია კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას ტექსტის სიზუსტე და შეძლოს ლიტერატურული ღირებულებების მაქსიმალურად უდანაკარგოდ გადატანა ერთი ენობრივი სისტემიდან მეორეში.

დამონებანი:

- Allen, Roger. „The Nahdah and It's Problematics: Ameen F. Rihani and The Mahjar“. *Ameen Rihani's arab-american legacy: from Romanism to Posrmodernism. Proceedings of the Second International Conference on Lebanese-American Literary figures. Introduced by Naji B. Oueijan, Editor-in-Chief.* Lebanon: Notre Dame University, 2012.
- Dolinina, Ana. *Arabskaya Romanticheskaya Proza XIX-XX Vekov.* Sbornik perevody s arabskogo Predislovie A. Dolilinoj. Leningrad: khudozhestvennaya literatura, 1981 (Долинина, Ана. Арабская романтическая проза XIX-XX веков. Сборник перевод с арабского Предисловие А. Долиной. Ленинград: Художественная литература, 1981).
- Bregvadze, Levan; Bregvadze, Roland; Gazdeliani, Maizer. "Chuniri [Chianuri]". *Georgian Folk Music Instruments*, 2013. Web. 15 April 2019. <http://www.hangebi.ge/eng/chuniri.html>.

- Ch'ianuri / ჭიანჭური. <https://ka.wikipedia.org/wiki/ჭიანჭური>
- Chubinov, Davit. *Gruzino-russkij Slovar'*. 2-oe izd., podg. ofsetnym obrazom; podg. k pečati i predislovie Akakiya Shanidze. Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1984 (Чубинов, Давит. *Грузино-русский словарь*. 2-е изд., подг. офсетным образом; подг. к печати и предисловие Акакия Шанидзе. Тбилиси: издательство „сабчота сакартвело“, 1984).
- Davidson, Judson France. Transl. *Principal Remains of Anacreon of Theos, in English Verse ; with an Essay, Notes, and Additional Poems*. London and Toronto: J. N. Dent & Sons; New York: E. P. Dutton & Co., 1915.
- Domínguez, César; Saussy, Haun; Villanueva, Darío. *Introducing Comparative Literature: New Trends and Applications*. London & New York: Routledge, 2015.
- Dowsett, Charles. *Sayat'-Nova: An 18th-century Troubadour: A Bibliographical and Literary Study*. Louvain: Peeters, 1997.
- Evgenidze, Iuza. “Thematische Schwerpunkte der Dichtung Baratašvilis”. *Nik'oloz Baratašvili: Ein georgischer Dichter der Romantik*; hrsg. v. Gaga Shurgaiia, Luigi Magaroto und Hans-Christian Günther. Würzburg: Köningshausen & Neumann, 2006: 37-51.
- Evrop'uli da Aghmosavluri Salekso Pormebi Kartul P'oeziashi* (Nats'ili I. Ist'oria. Teoria. Nats'ili II. Krest'omatia). Barbakadze, Tamar (khelmdzghvani); Rat'iani, Irma (redakt'ori). Tbilisi: gamomtsemloba “meridiani”, 2018 (*ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში* (ნაწილი I. ისტორია. თეორია. ნაწილი II: ქრესტომათია). ზარბაქაძე, თამარ (ხელმძღვანელი); რატიანი, ირმა (რედაქტორი). თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2018).
- Filina, Maria, and Danuta Ossowska. *Losy Polaków na Kaukazie. Część I: “Tbiliska grupa” polskich poetów zesłańczech*. Wydanie drugie: poprawione i uzupełnione. Tbilisi: Universal, 2015.
- Filipova, Sofiya. *Rechnik po Stikhoznanie*. Sofija: Iztok-Zapad, 2005 (Филипова, София. *Речник по стихознание*. София: Изток-Запад, 2005).
- Gasparov, Mikhail. *Ocherk Istorii Russkogo Stikha. Metrika. Ritmika. Rifma*. Moskva: Nauka, 1984 (Гаспаров, Михаил. *Очерк истории русского стиха. Метрика. Ритмика. Рифма*. Москва: Наука, 1984).
- Gasparov, Mikhail. “Stroficheskaya Traditsiya i Eksperiment”. Gasparov, M. *Izbrannye Trudy*. [T. I–IV]. Moskva: yazyki russkoj kul'tury, 1997. T. 3. O stikhe: 366-98 (Гаспаров, Михаил (1997a). „Строфическая традиция и эксперимент“. Гаспаров, М. *Избранные труды*. [T. I–IV]. Москва: Языки русской культуры, 1997. Т. 3. О стихе: 366-98).
- Gasparov, Mikhail. “Topika i Kompozitsiya Gimnov Goratsiya”. Gasparov, M. *Izbrannye Trudy*. [T. I–IV]. Moskva: Jazyki russkoj kul'tury, 1997. T. 1. O poetakh: 490-523 (Гаспаров, Михаил (1997b). „Топика и композиция гимнов Горация“. Гаспаров, М. *Избранные труды*. [T. I–IV]. Москва: Языки русской культуры, 1997. Т. 1. О поэтах: 490-523).
- Gasparov, Mikhail. *Ocherk Istorii Evropejskogo Stikha*. Izd. 2-oe, dop. Moskva: Fortuna Limited, 2003 (Гаспаров, Михаил. *Очерк истории европейского стиха*. Изд. 2-е, доп. Москва: издательство „Фортуна Лимитед“, 2003).
- Genov, Krústjo. *Romantizmút v búlgarskata literatura*. Sofija: BAN, 1968 (Генов, Кръстьо. *Романтизмът в българската литература*. София: БАН, 1968).
- Ghyka, Matila. *The Geometry of Art and Life*. New York: Dover Publications, Inc., 1977.
- Grishashvili, Ioseb. *Sayat'novi*. Tbilisi: st'amba “kartvelta bech'dviti amkhanagobisa”, 1918 (გრishaშვილი, იოსებ. *სადათნოვა*. ტფილისი: სტამბა „ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა“, 1918).

- HORATIUS.RU (Kvint Goratsij Flakk: Perevody i materialy) N.d: n.pag. Web. 15 April 2019. <http://www.horatius.ru> (HORATIUS.RU (Квинт Гораций Флакк: Переводы и материалы). N.d: n.pag. Web. 15 April 2019. <http://www.horatius.ru>).
- Janakiev, Miroslav. *Bŭlgarsko stikhoznanie*. Sofija: Nauka i izkustvo, 1960 (Янакиев, Мирослав. *Българско стихознание*. София: Наука и изкуство, 1960).
- K'ench'oshvili, Irak'li. Shemdgeneli. *Kartuli Lirik'is Antologia (1765–1825)*. Sheadgina, bolotkma, shenishvnebi da leksik'oni daurot I. K'ench'oshvilma. Tbilisi: Ivane Javaxishvilis saxelobis T'bilisis saxelmtsip'oi universitetis gamomts'emloba, 2014 (კენჭოშვილი, ირაკლი (შემდგ.). *ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765–1825)*. შეადგინა, ბოლოთქმა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. კენჭოშვილმა. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014).
- Kochetkov, N. D. “N. P. Nikolev (1758–1815)”. *Elektronnaya Biblioteka IRLI RAN: Sobraniya Tekstov: Russkaja Literatura XVIII Veka: Lirika*. N.d: n.pag. Web. 15 April 2019: <http://lib.pushkinskijdom.ru/Default.aspx?tabid=5381> (Кочетков, Н. Д. „Н. П. Николев (1758–1815)“. *Электронная библиотека ИРЛИ РАН: Собрания текстов: Русская литература XVIII века: Лирика*. N.d: n.pag. Web. 15 April 2019: <http://lib.pushkinskijdom.ru/Default.aspx?tabid=5381>).
- Kuncheva, Raya. *Metrika. Svoboden Stikh. Sonet. Stikhoznaniето Predi i Segа*. Sofija: Aura, 2000 (Кунчева, Рая. *Метрика. Свободен стих. Сонет. Стихознанието преди и сега*. София: Аюра, 2000).
- Lambton, Ann K. S. *Persian Grammar: Students Edition*. Cambridge (UK): Cambridge University Press, 2003 [1984].
- Lermontov, Mikhail. *Polnoe Sobranie Stikhotvorenij: v 2 tt.* T. 1. Stikhotvorenija i dramy [1825–1836 гг.]. Leningrad: Sovetskij pisatel, 1989 (Лермонтов, Михаил. *Полное собрание стихотворений: в 2 т.* Т.1. Стихотворения и драмы [1825–1836 гг.]. Ленинград: Советский писатель, 1989).
- Lolashvili, Ioane. “Nik'oloz Baratashvilis Lit'erat'urruli Memk'vidreoba”. 2005: 5-10 (ლოლაშვილი, ივანე. „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“. 2005: 5-10).
- Machard, Alexandre. Transl. *Odes d'Anacréon : Traduction littérale et rythmique*. Paris: Isidore Liseux, 1884. Web. 15 April, 2019: <http://www.gutenberg.org/files/26376/26376-h/26376-h.htm>
- Meschonnic, Henri. *Poétique du traduire*. Paris: Verdier, 1999.
- Milchakov, Jani. “Bŭlgarskijat stikh ot 20-te godini na XX vek i stikhovata traditsija na bŭlgarskija simvolizŭm” [1990]. Milchakov, J. *Bŭlgarska stikhotvorna kultura: XVII–XX vek*. Varna: Slovesnost, 2006: 102-148 (Милчаков, Яни. „Българският стих от 20-те години на XX век и стиховата традиция на българския символизъм“ [1990]. Милчаков, Я. *Българска стихотворна култура: XVII–XX век*. Варна: Словесност, 2006: 102-148).
- Milchakov, Jani. “Stikhovijat stroezh na ‘Ne pej mi se’ na P. R. Slavejkov i sŭdbata na bŭlgarskija literatura silabizŭm” [1990]. Milchakov, J. *Bŭlgarska stikhotvorna kultura: XVII–XX vek*. Varna: Slovesnost, 2006: 48-61 (Милчаков, Яни. „Стиховият строеж на „Не пей ми се“ от П. Р. Славейков и съдбата на българския литературен силабизъм“ [1990]. Милчаков, Я. *Българска стихотворна култура: XVII–XX век*. Варна: Словесност, 2006: 48-61).
- Morozova, G. V. “Vstrechi Lermontova s Dekabristami na Kavkaze”. *Zhizn' i Tvorchestvo M. Ju. Lermontova: Issledovaniya i Materialy: Sbornik Pervyj*. Moskva: OGIz: Gos. izdatel'stvo „khud. lit.“, 1941: 617-632. Web. 15 April 2019: n.pag.: <http://lermontov-lit.ru/lermontov/kritika/morozova-dekabristy.htm> (Морозова, Г. В. „Встречи Лермонтова с декабристами на Кавказе“. *Жизнь и творчество М. Ю. Лермонтова: Исследования и материалы: Сборник первый*. Москва: ОГИЗ; Гос. изда-

- тельство «худож. лит.», 1941: 617-632. Web. 15 April 2019: n.pag.: <http://lermontov-lit.ru/lermontov/kritika/morozova-dekabristy.htm>.
- N. O. “Sapfo”. *Entsiklopedicheskiĭ Slovar’ Brokgauza i Efrona*. S.-Peterburg: Brokgauz i Erfon. T. 28A (56), 1900 (Н. О. „Сапфо“. *Энциклопедический Словарь Брокгауза и Эфрона*. С.-Петербург: Брокгауз и Эфрон. Т. 28А (56), 1900).
- Orbeliani, Grigol. *Leksebi. Gamotsema meore*. T’bilisi: kartuli ts’ignta gamomtsemi amxanagoba, 1879 (ორბელიანი, გრიგოლ. *ლექსები. გამოცემა მეორე. თბილისი: ქართული წიგნთა გამომცემი ამხანაგობა, 1879*).
- Potskhishvili, Aleksandre. *Saiatnova – Legendebi da Sinamdvile*. Tbilisi: Tbilisis universitetis gamomtsemloba, 1990 (ფოცხიშვილი, ალექსანდრე. *საიათნოვა – ლეგენდები და სინამდვილე*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990).
- Saiatnova. *Saiatnovas Somkhur Leksta Sruli K’rebuli*. Targmnili Variant’ebit, Ts’inasiq’vaoba-sheavlit, Shenishvnebit da Leksik’on-sadzieblit p’ropesor Leon Melikset’-Begis mier. Tbilisi: sakhelmtsipo universit’et’is gamomtsemloba, 1935 (საიათნოვა. *საიათნოვას სომხურ ლექსთა სრული კრებული*. თარგმნილი ვარიანტებით, წინასიტყვაობა-შესავლით, შენიშვნებით და ლექსიკონ-სამძიებლით პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935).
- Sayat-Nova. *Sbornik Armyanskikh, Gruzinskikh i Azerbajdzhanskikh Pesen*. Sost., prim. i red. G. Abov. Erevan: Armgiz, 1945 (Саят-Нова. *Сборник армянских, грузинских и азербайджанских песен*. Сост., прим. и ред. Г. Абов. Ереван: Армгиз, 1945).
- Sayatnova*. K’rebuli Sheadgina, Samive Enaze t’ekst’ebis redaktisia gasts’ia, somkhuri da azerbaijanuli leksebi kartulad targmna, ts’inatkma da leksik’oni daurto Zezva Medulashvilma. Tbilisi: K’avk’asiuri sakhli, 2005 (საიათნოვა *სადათნოვა – შაჟაჟ სოქა – Sayat nova*. კრებული შეადგინა, სამივე ენაზე ტექსტების რედაქცია გასწია, სომხური და აზერბაიჯანული ლექსები ქართულად თარგმნა, წინათქმა და ლექსიკონი დაურთო ზეზვა მედულაშვილმა. თბილისი: კავკასიური სახლი, 2005).
- Shatirishvili, Zaza. “Romantik vor Baratashvili oder Mittelalterliche Tradition?”. *Nikoloz Baratashvili: Ein georgischer Dichter der Romantik*; hrsg. v. Gaga Shurgaia, Luigi Magaroto und Hans-Christian Günther. Würzburg: Köningshausen & Neumann, 2006: 25-36, 2006.
- Steingass, Francis Joseph. *A Comprehensive Persian-English Dictionary, Including the Arabic Words and Phrases to be Met with in Persian Literature*. London: Routledge & Kegan Paul, 1963.
- Tajik-Russian Dictionary online*. N.d.: n.pag. Web. 15 April 2019: <https://glosbe.com/tg/ru>.
- Vitkovskij, Evgenij (Sost.). “Boris Brik”. *Vek Perevoda*. Web. 15 April 2019. <https://www.vekperevoda.com/1900/bbrik.htm> (Витковский, Евгений (сост.). „Борис Брик“. *Век перевода*. Web. 15 April 2019. <https://www.vekperevoda.com/1900/bbrik.htm>).
- West, Martin Litchfield. *Greek Metre*. Oxford: Clarendon Press, 1982.
- Zabolotskij, Nikolaj. *Sobranie Sochinenij*. T. 2. Moskva: izdatel’stvo “khudozhestvennaya literatura”, 1984 (Заболоцкий, Николай. *Собрание сочинений*. Т. 2. Москва: издательство „художественная литература“, 1984).
- Zhukovskij, Vasilij. *Polnoe Sobranie Sochinenij i Pisem: v 20 t.* Gl. red. A. S. Yanushkevich. T. 1. Stikhotvoreniya 1797–1814 Godov. Moskva: Yazyki russoj kul’tury, 1999 (Жуковский, Василий. *Полное собрание сочинений и писем: в 20 т.* Гл.ред. А. С. Янушкевич. Т. 1. Стихотворения 1797–1814 годов. Москва: Языки русской культуры, 1999).

Yordan Lyutskanov
(Bulgaria)

**“To Chonguri” by N. Baratashvili:
the Rhythm of the Original and of Three Translations**

Summary

Key words: Nikoloz Baratashvili; three-lined stanza in georgian poetry; poet’s invocation of musical instrument; romanticism outside Europe; translation as [mode of] implicit literary studies.

In this article I analyse semantic, syntactic, strophic and verse rhythm of a poem by Nikoloz Baratashvili (1817–1845), “To chonguri” (1837), and of three of its translations (to Russian – by Boris Pasternak and by Boris Brik, – and to Bulgarian – by Stoian Bakūrdzhiev).

As tool for the analysis of the original text, two literal translations are used (by Irine Modebadze, 2012, and mine, 2017).

Analysis of the semantic and syntactic rhythm of the original leads to the following conclusion: while the text switches its focus from past to present to future, on the hind a coming-to-being and then an interiorisation of dialogue as an experience of the lyrical ‘I’ happens.

Proceeding towards analysis of the strophic and verse rhythm, I put forth the question of Baratashvili’s poem’s hypothetic precedents: thematic (a poet addressing his musical instrument) as well as strophic (three tri-verse stanzas). I discuss commonalities and differences between “To chonguri” and the following forms: *terzina* (minding both hypothetic paths of its Georgian reception – via Russian and via Polish mediation), Spenserian stanza, some specimens of Mikhail Lermontov’s lyric and of Anacreontic lyric, Sapphic stanza, psalms, and of particular works in Georgian language from the 18th and early 19th c. displaying close similarity to “To chonguri” at least in their strophic structure.

Considering both thematic and strophic levels allows indicating two works of poetry – hopefully known to me and to Baratashvili at the same time – as closest to Baratashvili’s: Horatius’ ode I, 32 and Psalm 136 (137 acc. to the Masoretic numbering). Considering the level of poetic line, “To chonguri” can be viewed as an exact structural equivalent of the form called, with regard to syllabotonic systems of versification, “logaeds” (heterometric ‘prose-poetic’ lines).

Considering all three levels – thematic, strophic, and of poetic line (lines are structured as symmetric – 5/5 – decasyllables, combined on strophic level with pentadecasyllables, all shaped as dactyl-trochaic logaeds), – another piece of poetry appears closest to “To chonguri”: “Mastam [Intoxication] about [gown’s] rustle, to be pronounced for [during] the dance mukhaliph” by Giorgi Tumanishvili (1774–1837). It is shown that two

poems by Grigol Orbeliani (“To Ek[aterine] Cha[vchavadz]e” and “Imitation of Sayat-Nova”) stay less close to “To chonguri”, due to proximity but not coincidence in the structure of the verse line. The issue of (mediated) link between “To chonguri”, on the one hand, and textual and mental artefacts related to the multilingual minstrel Sayat-Nova (1722?–1795?), on the other hand, is raised, but no definite answer is offered. The textual and mental artefacts in point are: one Armenian, “Praised among all instruments, you are a perfect ten, O kamancha...”, and a number of Georgian poems by him – “O my unhappy head...”, “How shall the ray of a star dry up the sea...”, “Most Holy Patriarch...” etc. (translations cited are Charles Dowsett’s); the image of the “vardapet” “Saatlama” from Ioane Batonishvili’s pedagogic travelogue *Kalmasoba*; and the image and memories of Sayat-Nova in Tiflis of the 1810s–30).

Then I analyse two of the existing translations of “To chonguri” into Russian (Pasternak’s and B. Brik’s) and the only translation into Bulgarian known to me (by Bakürdzhev). These translations, especially the former two, turn to be unthinking / insensitive of the various levels of rhythm of the original. I consider the non-use of logaeds in the Russian translations as a failure which, against the context of several other inaccuracies, does not come as a surprise. I pay considerable attention to diverse versification options at disposal of the Bulgarian translator. In doing this, I reckon the possibility of diverse literary-historical contextualisations of Baratashvili and his works in verse: as Romanticist; as users of “Oriental” verse forms; as representative of a particular (historical) moment after native poets started using European syllabotonic forms.

Analyses in this article allow detecting gaps in most recent Georgian studies in Georgian versification, as far as the history of three-line stanzas is concerned. As a whole, the article provides reference points for revising, or at least modifying, of teleological perspective on Baratashvili’s oeuvre as “European”. It provides as well reference points to revise the heritage of the Soviet school of Georgian-Russian translations of poetry.

In this way I pay tribute – one based not on theory but on textual analysis – to an agenda of liberating of studies in Georgian literature from two ideological fields of power at once: of the erstwhile discourse of friendship within the confines of USSR and the “Soviet Block”, and of the present discourse of retroactive Europeanisation of Georgian literature.

Through the relatively more detailed analysis of versification options hypothetically faced by the Bulgarian translator of “To chonguri”, I pay modest tribute to the agenda of a discipline which is still to be born: of comparative literature of the Black Sea region and, in particular, of study of cross-Black Sea literary contacts and (dis)similarities.

იორდან ლუცკანოვი
(ბულგარეთი)

**ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჩანგურს“:
ორიგინალის რითმა და სამი თარგმანი**

რეზიუმე

საკვანძო სიტყვები: ნიკოლოზ ბარათაშვილი, სამტროფეული ქართულ ლიტერატურაში; პოეტის მიმართვა მუსილაური ინსტრუმენტისადმი; რომანტიზმი ევროპის გარეთ; თარგმანი, როგორც იმპლიციტური ლიტერატურათმცოდნეობა.

სტატიაში განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის – „ჩანგურს“ (1837) და მისი სამი თარგმანის (რუსულად ბორის პასტერნაკისა და ბორის ბრიკის, ბულგარულად – სტოიან ბაკურძიევისა) სემანტიკური, სინტაქსური და სტროფული აგებულება, ასევე – ვერსიფიკაციულ სისტემა.

ორიგინალური ტექსტის საანალიზოდ გამოყენებულია ორი პნკარედული თარგმანი (პირველი შესრულებულია 2012 წელს, ირინე მოდებადის მიერ, მეორე კი 2017 წელს და ეკუთვნის სტატიის ავტორს).

ორიგინალის სემანტიკური და სინტაქსური რიტმის ანალიზს შემდეგ დასკვნამდე მივყავართ: იმ დროს, როდესაც ტექსტის ფოკუსი წარსულიდან აწმყოზე და აწმყოდან მომავალზე გადადის, უკანა პლანზე მიმდინარეობს გარკვეული დიალოგის ფორმირება, შემდეგ კი მისი გათავისება, როგორც თავად ლირიკული „მე“-ს განცდისა.

სტროფული და სალექსო რიტმის ანალიზის შედეგად, სტატიის ავტორი სვამს ბარათაშვილის ლექსის ჰიპოთეტური პრეცედენტების საკითხს: თემატური (პოეტი მიმართავს თავის მუსიკალურ ინსტრუმენტს); სტროფული (სამი სამ-სტრიქონიანი სტროფი); განიხილავს მსგავსებებსა და განსხვავებებს „ჩანგურსა“ და შემდეგ ფორმებს შორის: ტერცინა (ქართულში მისი მოხვედრის ორივე ჰიპოთეტური გზის გათვალისწინებით – უშუალოდ რუსულიდან ან პოლონურის გავლით), სპენსერის სტროფი, მიხეილ ლერმონტოვის ლირიკისა და ანაკრეონტული პოეზიის ზოგიერთი ნიმუში, საფოს სტროფი, ფსალმუნები და ცალკეული ნაწარმოებები ქართულ ენაზე, მე-18 საუკუნიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, რომლებიც აჩვენებენ განსახილველი ლექსის ახლო მსგავსებას მინიმუმ, სტროფულ სტრუქტურასთან მაინც.

როგორც თემატური, ისე სტროფული დონეების განხილვა ავტორს საშუალებას აძლევს დაასახელოს ბარათაშვილის ნაწარმოებებთან ყველაზე ახლოს მდგომი ორი ლექსი, რომლებიც, მისი ვარაუდით, პოეტისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. ესენია: ჰორაციუსის ოდა I, 32 და ფსალმუნი 136 (მასარეტიული ნუმერაციით 137). ლექსის – „ჩანგურს“ პოეტური ხაზის დონის

განხილვისას, შესაძლებელია ფორმის ზუსტი სტრუქტურული ექვივალენტის დანახვა, რომელსაც ლექსთწყობის სილაბურ-ტონურ სისტემებთან მიმართებაში „ლოგამიდებად“ (ჰეტერომეტრულ „პროზაულ“ ხაზებად) მოიხსენიებენ.

სამივე –თემატურ, სტროფულ და პოეტურ (სიმეტრიულად – 5/5 სტრუქტურებული ხაზები – დეკასილები, სტროფულ დონეზე პენტადეკასილებთან კომბინაციაში, ყველა ერთად კი – დაქტილ-ტროქაული ლოგადების სახით) დონეზე განხილვის შედეგად, ლექსთან „ჩონგურს“ ყველაზე ახლოს მდგომად მოჩანს გიორგი თუმანიშვილის (1774-1837) ლექსი „მასტამ იალალზედ შარაშური შუშტარ მუხალიფში სათქმელი“. ნაჩვენებია, რომ გრიგოლ ორბელიანის ორი ლექსი („ეკატერინე ქაჭავაძე“ და „საიათნოვას მიბაძვით“ ნაკლებად ენათესავება ლექსს „ჩონგურს“. სტრუქტურული ხაზი თუმც ახლოსაა, მაგრამ მთლიანად მაინც არ ემთხვევა მას. სტატიაში დასმულია საიათნოვას (1712-1795) მრავალენოვან მენესტრელებთან ლექსის „ჩონგურს“ არაპირდაპირი კავშირის საკითხი, მაგრამ გადაჭრილი პასუხი მოცემული არ არის.

შემდეგ სტატიის ავტორი ანალიზებს ლექსის „ჩონგურს“ არსებულ ორ რუსულ და მისთვის ცნობილ ერთადერთ ბულგარულ თარგმანს. ეს თარგმანები, განსაკუთრებით პირველი ორი, უგრძნობნი არიან ორიგინალის რიტმის სხვადასხვა დონის მიმართ. გამორჩეული ყურადღება ეთმობა ბულგარელი მთარგმნელის ხელთ არსებულ ლექსწყობის სხვადასხვა ვარიანტს. ამასთან, მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია ბარათაშვილისა და მისი ლექსების მრავალფეროვანი ლიტერატურულ-ისტორიული კონტექსტუალიზაცია: როგორც რომანტიკოსის, როგორც „აღმოსავლური“ სალექსო ფორმების მომხმარებლისა და გარკვეული ისტორიული მომენტის წარმომადგენელისა.

სტატიაში ჩატარებული ანალიზი საშუალებას იძლევა ამოავსოს ქართული ლექსწყობის, კერძოდ სამსტროფეულების შესახებ ქართულ მეცნიერებაში არსებული სიცარიელე. მთლიანობაში სტატიაში მოტანილია ორიენტირები, ბარათაშვილის შემოქმედების „ევროპულობის“ შესახებ არსებული შეხედულების გადასახედად ან შესაცვლელადაც კი.

ამგვარად, სტატიას გარკვეული წვლილი შეაქვს ქართული ლიტერატურის ორმაგი იდეოლოგიური წნეხისგან გათავისუფლების საქმეში. ესენია: ძველი დისკურსი – მეგობრობა სსრკ-ს და სოციალისტური სისტემის ქვეყნების ფარგლებში და ახლანდელი დისკურსი – ქართული ლიტერატურის კვლავ ევროპეიზაცია.

ლექსწყობის იმ ვარიანტების უფრო დაწვრილებითი ანალიზის საშუალებით, რომლებსაც ჰიპოთეტურად ლექსის „ჩონგურს“ ბულგარელი მთარგმნელი აწყდება, მკვლევარი მონაწილე ხდება იმ სამეცნიერო დისციპლინის დღის წესრიგის შედგენისა, რომელიც ჯერ კიდევ არ შექმნილა. ესაა „შავიზღვისპირა ქვეყნების შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“.

თეა თალაკვაძე
(საქართველო)

იდენტობის ძიება და სიმბოლოს რღვევის პარადიგმა გარდატეხის ქალაქში¹

1. ურბანული მოდელის ტრანსფორმაცია და ქალაქის იდენტობის კვლევის საკითხი

ადგილის შესწავლით თავდაპირველად ფენომენოლოგია დაინტერესდა, რომელსაც სათავე დაუდო ჰუსერლმა და ყურადღება გაამახვილა ადამიანის მიერ რეალური სამყაროს სუბიექტური აღქმისა და გამოცდილების, ადგილისა და სახლის ურთიერთმიმართებებსა და კავშირზე. დროთა განმავლობაში ადგილის კვლევის მიმართ ინტერესი გაიზარდა და მოიცვა არაერთი დარგი: ფსიქოლოგია, სოციოლოგია, გეოგრაფია, არქიტექტურა, ეთნოგრაფია, მომზადდა ნიადაგი თეორიული კვლევებისთვის, საფუძველი დაედო ადგილის, როგორც ურბანული გარემოს იდენტობის ძიებასა და შესწავლის პარადიგმას.

ადგილი არის გეოგრაფიული სივრცე, რომელსაც შექმნილი აქვს მნიშვნელობა ადამიანის ამ სივრცესთან ურთიერთობის შედეგად. ადგილი არის არა მხოლოდ კონტექსტი ან ფონი, არამედ იდენტობის განუყოფელი ნაწილი, მცირე აქტიურობებში ცვლილებამაც კი შეიძლება შეცვალოს ქალაქის იდენტობა (Speller 2002). ქალაქი არის ფიზიკური, სივრცული და სოციალური ორგანიზაცია, რომელიც იბადება და არსებობას იწყებს ისტორიულ განგრძობითობაში სხვადასხვა ეპოქების ფიზიკური, სოციალური, ადამიანური და კულტურული კომპონენტების წარმატებული თანამშროლობით (Birol 2007).

რა ქმნის ქალაქის იდენტობას? შესაძლებელია თუ არა ერთ დროით პერიოდსა და განსხვავებულ სივრცეში, საერთო პოლიტიკური იდეოლოგიის ქვეშ მყოფი ქალაქების იდენტობის საერთო მახასიათებლებით განსაზღვრა და როგორია გარდატეხის, გარდამავალი ხანის ქალაქების იდენტობა?

ურბანული მოდელის ტრანსფორმაციის პროცესში გამოიყო ურბანული ტრანსფორმაციის სამი ტიპი: დროის ერთ პერიოდში, მაგრამ სხვადასხვა სივრცეში არსებული ერთგვარი ტრანსფორმაციები (კულტურული გავლენები და სხვა), სხვადასხვა დროში, მაგრამ ერთ სივრცეში არსებული ტრანსფორმაციები და ტრანსფორმაციები სხვადასხვა სივრცესა და დროში (Renfrew 2009: 49). კვლევისას გავიზიარებთ პირველ მოდელს, როდესაც დროის ერთ

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით PHDF-18-407918.

პერიოდში, იძულებით თავსმოხვეული დიქტატისა და იდეოლოგიის გავლენით ჩამოყალიბებული იდენტობის მაორიენტირებელი ნიშნები საერთო იყო განსხვავებული კულტურის ქვეყნებისათვის. საერთო პოლიტიკური იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებული ქალაქები ზიარ სივრცობრივ, ტერიტორიულ და პოლიტიკურ განფენილობაში ხასიათდებიან და თავსდებიან საერთო ნაციონალურ ნარატივში, როგორც, მაგალითად, საბჭოთა კავშირში შემავალი და საბჭოთა იდეოლოგიით თავსმოხვეული დასავლეთ ევროპის ქალაქები. მათ შორისაა, ქალაქი ბერლინი, რომელიც კედელმა გამიჯნა და განსაზღვრა ერთი კულტურული იდენტობის ქვეყნის ორი იდენტობა: დემოკრატიული და ტოტალიტარული, დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინი.

საბჭოთა სიმბოლიკით დეტერმინირებულები ქალაქები თავისდაუნებურად ექცევიან საერთო სიმბოლოურ შინაარსში. ნიშნების წარმოება განსაკუთრებული დატვირთვით კონსტრუირდა ტოტალიტარული მართველობის მოდელში, სადაც სიმბოლომ გააფორმა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების შინაარსი და ადამიანის ფსიქო-სოციალური ყოფიერება.

2. ქალაქის იდენტობის თეორიული მახასიათებლები

ტერმინი „ადგილის-იდენტობა“ (place-identity) 1970-იანი წლების ბოლოდან გამოიყენება და წარმოადგენს ინდივიდის მიერ ადგილის მნიშვნელობის სტრუქტურირებას მე-კონცენფიაში და განიმარტება, როგორც „კონკრეტული ფიზიკური გარემოს, ასევე გარემოს ტიპების შესახებ მოგონებების, კონცეფციების, ინტერპრეტაციების, მოსაზრებებისა და ადგილთან დაკავშირებული გრძნობების ერთობლიობად (Proshansky ... 1983: 61), განსაზღვრავს მე-იდენტობას და გულისხმობს გარემოს აღქმასა და გააზრებას. ეს აღქმა და გააზრება შესაძლებელია დიფერენცირდეს ორგვარად: გარემოს შესახებ მოგონებები, ფიქრები, ღირებულებები, ექსპრესია და სხვადასხვა გარემოთა ურთიერთობა (სახლი, სკოლა და სამეზობლო) (Proshansky ... 1983: 25).

ადგილის იდენტობის მკვლევარი პროშენსკი განასხვავებს ადგილის იდენტობის ხუთ მთავარ ფუნქციას: ცნობა, მნიშვნელობა, ექსპრესიული-მოთხოვნა, ცვლილების შუამავლობა, შფოთვისა და თავდაცვის ფუნქცია, რომელთა ჩართულობით ადგილის-იდენტობა წარმოგვიდგება კოგნიტურ „მონაცემთა ბაზად“, რომლის მეშვეობითაც განიცდება ყველა ფიზიკური გარემო. მართალია, ადგილის-იდენტობის თეორია დეტალურად არ აღწერს სტრუქტურასა და პროცესს (როსი და ბრეიქვილი 2003), მაგრამ შეეხება „სქემატას“, სქემატურ ხატებს, რასაც ნაისერი (Neisser 1976) და პიაჟე (Piaget 1954) განიხილავენ, როგორც ფიზიკურ გარემოსთან დაკავშირებულ აღქმებსა და მოსაზრებებს, ადამიანებისა და ფიზიკური გარემოს ინტერაქციას, ბალანსისა და ჰარმონიის ძიებას ხალხსა და მათ მიერ რეკონსტრუირებულ გარემოს შორის.

ქევინ ლინჩი (Kevin Lynch 1984) გვთავაზობს ქალაქის ხუთ ძირეულ ნიშანს, თუ რა ქმნის ქალაქის ფიზიკურ გარემოს, ესენია: ქუჩები, გზები, ბილიკები, რკინიგზა, რომლებსაც დამკვირვებელი იყენებს ქალაქში გადასადგილებლად (Paths are the channels along which the observer moves. They may be streets, walkways, transit lines, canals, railroads); ნაპირები, კიდეები (Edges are the linear elements not used as paths by the observer. They are the boundaries and linear breaks in continuity: shores, railroad cuts, edges of development, walls); საშუალო ზომის ქალაქების ალქმა და გაცნობიერება (Districts are the medium-to-large sections of the city which the observer mentally enters “inside of”, and recognizable as having some common, identifying character); ქალაქის გზაჯვარედინები, კვანძები (Nodes are points, the strategic spots in a city into which an observer can enter, and which are the intensive foci to and from which he is traveling. They may be primarily junctions or concentrations) ქალაქის ღირსესანიშნაობები, მონუმენტები (Landmarks are another type of points-reference, but in this case the observer does not enter within them, they are external. They are usually a rather simply defined physical object: building, sign, store, or mountain (Lynch 1984).

ლინჩის მიხედვით, ქალაქის იდენტობა გაგებულია პერსონის მიერ ადგილის შეცნობის, ალქმისა და გახსენების პროცესად, თუ რამდენად შეუძლია მან იცნოს/შეიცნოს/შეიგრძნოს და გაიხსენოს, ასევე განასხვავოს ერთი ქალაქი სხვა ქალაქებისგან, როგორც გარკვეული თავისთავადი ხასიათის/სულის მქონე ლოკალური სივრცე. რელიგიური ადგილის არსის განხილვისას მიუთითებს საზოგადოებასა და ადგილს შორის მჭიდრო ურთიერთობაზე, რამდენადაც თითოეული აძლიერებს ერთმანეთის იდენტობას და განიხილავს ორი ინსტანციიდან: შიდა (insideness) და გარე (outsideness) ინსტანციებს. გარე ინსტანცია აღიქმება ტურისტის, მოგზაურის პოზიციიდან, ხოლო შიდა ინსტანცია, ქალაქის შიგნით განცდილი მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი გარშემორტყმულია ქალაქით და მოცულია მისით. ამდენად, ქალაქის იდენტობის კვლევა უნდა განხორციელდეს ამ ორი – გარე და შიდა პერსპექტივიდან (Relph 1976: 51) და წარმოჩინდეს ადამიანის გამოცდილებები, ემოციები, მეხსიერება, წარმოდგენა/წარმოსახვა, არსებული მდგომარეობა და განზრახვა, რომელიც შეიძლება იყოს ცვალებადი და ემსახურებოდეს ადგილის შეცნობას განსხვავებული გზებით (The experiences, emotions, memory, imagination, present situation, and intention can be so variable so a person can see a place in several distinct ways) (Relph 1976: 56).

ურბანული თეორიისა და ქალაქის კვლევის პარადიგმის მიხედვით, გარდა ფიზიკური გარემოს ნიშნებისა, ქალაქის იდენტობა დაფუძნებულია ადამიანის ინდივიდუალურ ბუნებაზე, ან ობიექტზე და ასევე იმ კულტურაზე, რომელშიც ის ცხოვრობს, იდენტობა არ არის სტატიკური და უცვლელი, მაგრამ ვარირებს ვითარებების და დამოკიდებულების ცვლილებების მიხედვით და განისაზღვრება რამდენიმე ძირეული მახასიათებლით: იერარქია, ექსპერიმენტულობა, უნიკალურობა, კოლექტიურობა, ინტიმურობა, დუალურობა, მთლიანობა, თაობათაშორისი განგრძობითობა, სულიერება, საკუთრება. ქალაქში მიმდინარე ისტორიული, ბუნებრივი და სოცო-კულტურული ინტერ-

აქცია ურბანულ სივრცეში აყალიბებს იდეას ადგილის შესახებ. უნიკალური, ურბანული ხასიათი მნიშვნელობა და ვითარდება თაობიდან თაობამდე გრძელვადიან პერსპექტივაში მოზინადრების ცხოვრების სტილთან, მათ კულტურულ იდენტობასთან, ტრადიციებთან, ენასთან და რელიგიასთან კორელაციაში. რელფის მიერ ადგილის იდენტობა განსაზღვრულია სამი ძირითადი კონცეპტით: ფიზიკური თვისებები/გარეგნული მხარე, აქტივობები/ფუნქციები და სიმბოლო/ნიშანი (Relph 1976:29).

გარდატეხის ქალაქის იდენტობის კვლევა გარე და შიდა ინსტანციების გარდა აჩენს მესამე პერსპექტივას, რომელიც გულისხმობს ქალაქის ხელახალ შეცნობა/აღქმის პროცესს, იდენტობის რეკონსტრუქციას და ტრანსფორმაციას, „მე“ კონცეფციის მიმართებას შეცვლილ პოლიტიკურ რეალობასთან, რადგან გარდატეხის ეპოქის ადამიანმა ერთ დღეს „მშვიდობით, ლენინ!“ ფილმის პერსონაჟის მსგავსად, სრულიად შეცვლილ პოლიტიკურ რეალობაში გაიღვიძა და იძულებული გახდა, ხელახლა შეეცნო ის ქალაქი, რომელშიც იშვა და გაიზარდა.

ამდენად, გარდატეხის ქალაქის კვლევისას გაზიარებულია ქვეინ ლინჩის მიერ შემუშავებული ქალაქის ფიზიკური გარემოს ერთ-ერთი მთავარი მსაზღვრელი: ღირშესანიშნაობები, მონუმენტები, ნიშნები. კვლევისას წარმოვაჩინო სიმბოლოს მნიშვნელობას, როგორც გარდატეხის ქალაქის იდენტობის პარადიგმის ძირითად საყრდენს და ასევე, ვიზიარებთ რალფის (Relph 1976:56) მიერ ქალაქში ადამიანის მიკუთვნებულობისა და მისი ექსპრესულობის წარმოებას მოცემულ დროსა და სივრცეში. ქალაქის იდენტობის კვლევისას კი ვამატებთ მესამე ინსტანციას, როგორც ქალაქის იდენტობის რღვევისა და ხელახალი შეცნობა/გააზრების, იდენტობის დაძლევის პერსპექტივას.

3. სიმბოლოს გაუჩინარება და იდენტობის ძიება

აღმოსავლეთ გერმანიაში სოციალიზმის დამყარების შემდეგ შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია მკაცრი ცენზურისა და კომუნისტური ნომენკლატურის მიერ იყო კონტროლირებული. შესაბამისად, ბერლინის კედლის ნგრევისა (Mauerfall) და გერმანიის გაერთიანების (Einheit) შემდეგ გარდატეხის ლიტერატურამ ათეული წლების განმავლობაში დაფარული და დაგროვილი ისტორიის გამომზეურება დაიწყო.

ტერმინი გარდატეხის ლიტერატურა (Wendeliteratur) თავდაპირველად, როგორც ზეპირ, ასევე კრიტიკულ წერილებში, დროითი ცვლილების ამსახველი ტექსტების აღსანიშნად გამოიყენებოდა. მას შემდეგ, რაც 1995 წელს ფოლკერ ვედეკინგმა (Volker Wehdeking) თავის მონოგრაფიას “Wende” vier “Portalromane zur Vereinigungs problematik” უწოდა და გააერთიანა 1991-1993 წლებში დაწერილი სამი რომანი, „გარდატეხის ლიტერატურამ“, როგორც ლიტერა-

ტურის პროცესის აღმნიშვნელმა, დამკვიდრება დაიწყო, მოიცვა გერმანიის გაერთიანების პროცესში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონე და ლიტერატურის სამივე ჟანრი.

90-იან წლებში აღმოსავლეთ გერმანიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უცხო არ იყო საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ იძულებით გაერთიანებული ქვეყნებისთვის, კერძოდ საქართველოსთვის. საქართველოს დედაქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მასიურ გამოსვლებსა და დემონსტრაციებში გადაზრდილი ანტისაბჭოთა პროტესტი სისხლის ღვრით დასრულდა, ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, იმავე დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად გაფორმდა. ამდენად, საქართველოსა და აღმოსავლეთ გერმანიის დედაქალაქებში ბერლინსა და თბილისში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქალაქებში, მიმდინარე პროცესები ერთი პოლიტიკური სივრციდან მეორე, ახალ რეალობაში გადასვლით აღინიშნა. დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, პროცესი მეტნაკლები დრამატულობით განვითარდა, როგორც პოლიტიკურ, ასევე ისტორიული კუთხით, „ყველაზე მტკივნეული ადამიანებისთვის აღმოჩნდა ის, რომ მათთვის დაირღვა იდეებისა და იმედების სისტემა, მითი, რომელზეც ისინი აფუძნებდნენ თავიანთ მსოფლმხედველობას, პიროვნული, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პერსპექტივებს. ეს მსოფლმხედველობრივ – იდეოლოგიური სისტემა, რომელიც საბჭოთა ბელადების მიერ ამდენად დიდი ძალისხმევითა და სისხლიანი მსხვერპლის ფასად იყო შექმნილი, ათწლეულების მანძილზე მართლაც წარმოადგენდა ხალხის ცნობიერების საფუძველს“ (ნიფურია 2016: 92).

პოლიტიკურმა ცვლილებამ, საბჭოთა ნარატივის დასასრულმა, წლების განმავლობაში დაფუძნებული სოციალური მოდელის რღვევა განაპირობა, რაც არანაკლები ტრამეზულობითა და დრამატულობით აისახა პოსტსაბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში, მათ გარშემო და მათში დეკონსტრუირდა სოციალური ყოფის მოდელი, რომელშიც ადამიანებს უნდა გაეგრძელებინათ ცხოვრება და პოლიტიკურად ტრანსფორმირებული სივრცეში ეშვათ ახალი ადამიანი. საბჭოთა ადამიანები გარემოსთან მაინდენტიფიცირებელი ნიშნებით დებორიენტირებულები და გაუცხოებულები ცდილობდნენ გადარჩენას ახალ დროში. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ კოლექტიური იდენტობის დაძლევა გარდატეხის ადამიანის მთავარ საზრუნავად იქცა, ხოლო ლიტერატურაში კი, დომინანტურ ტენდენციად რეფლექსირდა.

იდენტობის ფორმირების კვლევისას თეორიული მახასიათებლები გვაძლევს საშუალებას წარმოვაჩინოთ ფიზიკური გარემოს (გეოგრაფიული, არქიტექტურული) „გაქვავებული“ ნიშნების თანხვედრა ადამიანების პერსონალურ თუ კოლექტიურ ინტერაქციასთან კულტურულ-ისტორიულ პროცესში და გამოვკვეთოთ პოსტსოციალისტური, იგივე გარდატეხის ქალაქის იდენტობა, რადგან გარემო, რომელშიც რომანი პერსონაჟები ცხოვრობენ ტოტალიტარულია, იწყება საბჭოთა კავშირის იმპერიულ სივრცეში საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობით და სრულდება საბჭოთა

კავშირის დაშლით, 9 აპრილის ტრაგედიის დრამატული და ტრაგიკული ლამით. პერსონაჟების ნაწილისთვის საბჭოთა სივრცეში შემოსაზღვრული სამოქმედო არეალი ჩაკეტილი სივრცეა და მათი მცდელობა, სწორედ ამ მყარად ნაშენები ზღუდის ჩამოშლისკენაა მიმართული, ნაწილი შეგუებულია საბჭოთა მოქალაქის საარსებო მოდელს, ისინი არ აღიარებენ ეგზისტენციას განსხვავებული სისტემის შიგნით, თუმცა ტოტალიტარული მართველობის სიმძაფრე თითოეული მათგანის სოციალურ ყოფიერებამდე აღწევს და მათი ღირებულებების განმსაზღვრელად და „მეს“ მაიდენტიფიცირებლად გვევლინება.

სოციალური იდენტობა დამოკიდებულია იმ ჯგუფის ან პირების თვისებებზე, რომელსაც მიეკუთვნება ადამიანი ან რომელთანაც აქვს პოზიტიური მიმართება, როგორც არის: ეროვნება, კულტურა, რელიგია, ოჯახი, სამეზობლო და ა.შ. სოციალურმა იდენტობამ, რომელსაც ვიძინთ ჩვენ, როგორც ჯგუფის წევრები, შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფური ქცევა, ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში ინდივიდისთვის მნიშვნელოვანია მეკონცეპტის სხვადასხვა კომბინაციები, რაც ქმნის განსხვავებულ მე-ხატებს და განსაზღვრავს მიკუთვნებულობას ამა თუ იმ სოციალურ სივრცესთან, ან კოლექტივთან. საბჭოთა იდეოლოგიით ნასაზრდოები ცნობიერება კი უპირველესად ეფუძნებოდა ნიშნებსა და სიმბოლოებს და ამყარებდა საბჭოთა მოქალაქის უპირატესობის განცდას. საბჭოთა სიმბოლოში იყო გაცხადებული საბჭოთა მოქალაქის კოლექტიური ძალისხმევა და საერთო იდეოლოგიური „მე“ ხატების ცნება.

თავდაპირველად, ძველ საბერძნეთში, „სიმბოლო“ მრავალი მნიშვნელობით გამოიყენებოდა. სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ რელიგიურ ჯგუფებს, პარტიებს, გაერთიანებებს ჰქონდათ თავიანთი, ერთმანეთისგან განმასხვავებელი ნიშნები (ლეთოდიანი 2009). ძველ ბერძნულ ტექსტებში სიმბოლო ყოველთვის გაიაზრებოდა, როგორც რაღაც ორი საწყისის სინთეზი და არა რაღაცის სიმბოლო. ავერენცევი მიჩნევდა, რომ სიმბოლო დისკურსული მნიშვნელობის მითოსური ბუნების მატარებელია და მისი შინაარსი სიმბოლოს ფორმისა და არსის ერთიან აღქმაშია გამყლავებული (ავერენცევი 2001: 159), მირჩა ელიადე სიმბოლოს განიხილავს, როგორც რეალობას, რომლის მნიშვნელობით ადამიანი აწესრიგებს სივრცეს (ელიადე 1999: 407). ამდენად, სიმბოლოს მრავალმხრივობა, ფორმისა და შინაარსის სინთეზური გაგება რეალობის აღქმაში გვეხმარება. სიმბოლოს გააზრება, აღქმა დამოკიდებულია აღმქმელზე, როგორც განმცდელსა და განმმარტელებზე (კუპერი). „სიმბოლო ადამიანის ცნობიერებას აკავშირებს კულტურულ ცხოვრებასთან. მასში აკუმულირდება გარკვეული საზოგადოებრივი ერთობის ცხოვრებისეული გამოცდილება, ამავე დროს იგი ასრულებს საკომუნიკაციო – ინფორმაციულ ფუნქციას, რადგან მას შესწევს უნარი იდეებისა და რიტუალების ურთიერთგაცვლისა, როგორც შიდა, ასევე ინტერკულტურული კონტაქტების დონეზე“ (ლეთოდიანი 2009). „სიმბოლოები კულტურის მეხსიერების მნიშვნელოვან მექანიზმს წარ-

მოადგენენ, მათ გადააქვთ ტექსტები, სიუჟეტური სქემები და სხვა სემიოტიკური წარმონაქმნები მისი ერთი პლასტიდან მეორეში. სიმბოლოთა კონსტანტური რიგები, რომელნიც კულტურის დიაქრონიას მსჭვალავენ, გარკვეულწილად, თავის თავზე იღებენ ერთიანობის მექანიზმთა ფუნქციას: კულტურის მეხსიერების საკუთარ თავზე განხორციელებით, ისინი მას იზოლირებულ ქრონოლოგიურ პლასტებად დაშლის საშუალებას არ აძლევენ. ერთიანობა, რომელიც ემყარება დომინანტურ სიმბოლოთა ჯგუფს და მათი კულტურული სიცოცხლის ხანგრძლივობას, გარკვეულწილად, განსაზღვრავს კულტურათა ნაციონალურ და არეალურ საზღვრებს“ (ლოტმანი 2010).

ამდენად, სიმბოლოს ძირითადი ნიშანია შინაარსისა და ფორმის ურთიერთშერწყმა და სიმბოლოს, როგორც კულტურათა ნაციონალური არეალის განსაზღვრა, პიერ ბურდიე სიმბოლოს სოციოლოგიის კვლევისას ყურადღებას ამახვილებს სიმბოლოს კულტურულ მნიშვნელობაზე, რომელიც გამოხატავს ერთი ერის, ეპოქის, ან კონკრეტული კლასის კულტურის გაგებას, ხსნის კულტურულ მახასიათებლებს აღქმის საშუალებით, რომლებაც გვთავაზობენ ნიშნები და სიმბოლოები (Bourdieu 1974:128).

სიმბოლოს იმპერიალისტურ ქვეყნებში საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგალითად, მნიშვნელოვან ნაგებობებზე გამოსახული გერბები, სკვერებში აღმართული საბჭოთა სიმბოლიკის მატარებელი სკულპტურული ძეგლები, უცნობი ჯარისკაცის საფლავები და მათ საფლავებზე მარადიული ცეცხლი. საბჭოთა ბელადების სახელობის საგანმანათლებლო ცენტრები, ინსტიტუციები. მიმოქცევაში არსებული ფულადი ერთეულები საბჭოთა სიმბოლიკითა და ბელადის სახეებით, სკოლის მოსწავლეების წითელი ყელსახვევები და სამკერდე ნიშნები, პიონერებსა და კომკავშირში მიღების ცერემონია-რიტუალები, საბჭოთა სიმბოლიკით გაჯერებული ფიზიკური და სოციალური გარემო საბჭოთა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო, მათ სოციალურ ყოფას განსაზღვრავდა და ადამიანების როგორც კოლექტიურ ქმედებას, ასევე მათ კოლექტიურ ცნობიერებას აწესრიგებდა, რაც ავტომატურად უპირისპირებდა მის ოპოზიციურ მდგომარეობას, ინდივიდუალიზმის რეპრეზენტაციას. თითოეული სოციალური იდენტობის მაორგანიზებელი ლოკალური სივრცე სახლი, სკოლა, უნივერსიტეტი, ქუჩა, სკვერი, მოედანი საბჭოთა სიმბოლიკით კოდირებული აღწევდა ადამიანის გონებაში და რთავდა მას კოლექტიური ზეიმის და მანიფესტების ფერხულში, რაც საბჭოთა ადამიანს მუდამ საბჭოთა სიმბოლიკის შინაარსში ამყოფებდა, რადგან თითოეული ადღუმი, სწორედ საბჭოთა მოქალაქის უპირველესი დანიშნულების გააზრებას, კოლექტიურ მარშში მასის კუთვნილებასთან ზიარებას და საბჭოთა ბელადების თავყანისცემას ემსახურებოდა. ამადენად, გასაკვირი არ არის, რომ 90-იანი წლებში გარდატეხა, საბჭოთა ცნობიერების გამოთავისუფლების პროცესი სწორედ ბელადების ძეგლების დაცემით, გულმკერდიდან საბჭოთა სიმბოლიკის ჩამოხსნით და ადღუმების დასასრულით დაიწყო, „ხმაურიანად და თვალსაჩინოდ, აქციების სახით იყო განხორციელებული საბჭოური იდე-

ოლოგიის/კულტურის სიმბოლოების, მონუმენტების დამხობა და გამოდევნა საქართველოს ურბანული ლანშაფტიდან“ (ნიფურია 2016: 49), ქალაქის ურბანულმა სივრცემ დაიწყო დეკორატიული და საბჭოთა წარსულისგან გათავისუფლება.

საბჭოთა წარსულისგან კოლექტიური გათავისუფლება დაიწყო ქალაქის ცენტრალურ მოედნებზე თავშეყრითა და დემონსტრაციებით, მიტინგებითა და სახალხო პერფორმანსებით. ქალაქის იდენტობის მკვლევრები, საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას ქალაქის სკვერებსა და მოედნებზე, როგორც ურბანული სივრცის სიმბოლურ ნიშნებზე, რომლებიც ქმნიან ქალაქის იდენტობას. ქალაქის მთავარი, ცენტრალური მოედნები არიან იდენტიფიცირებულები თავიანთი ქალაქების იდენტობასთან და აძლიერებენ მიკუთვნებულობის განცდას მათ გამომყენებლებთან და მომხმარებლებთან (Relph 1976: 147).

მთავარი ელემენტი რაც ქალაქს აქცევს ქალაქად და აჩვენებს მის მახასიათებლებს არის ქალაქის მოედნები. პირველად რაც ადამიანს თავში მოსდის ქალაქებთან დაკავშირებით არის ქალაქის მთავარი, ცენტრალური სკვერები და მოედნები (Yeşil, Akköse 2018). არსებობს გარკვეული ასპექტები, რაც ყველა ქალაქმა დაამკვიდრა წარსულიდან აწმყოში. ქალაქები განიცდიან ცვლილებებს და ტრანსფორმაციებს გამუდმებით, ისინი გავლენას ახდენენ და იწვევენ ინდივიდების ცვლილებებს მთელი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოდელით (Erdönmez, Çelik 2017). ადგილზე მიკუთვნებულობის გრძნობა არის ადამიანის მოთხოვნილებების ძირეულ საჭიროებებში და ამ გრძნობის ქონა დამოკიდებულია ამ ადგილის სიმბოლურ, იდენტობის და სივრცულ მახასიათებლებზე (Kart Aktaş, Çınar 2018). მაგალითად, გმირთა მოედანი ბუდაპესტში. უნგრელი გმირების გამოცდილებები, რომლებიც ისტორიის განმავლობაში იქცნენ ამ მოედნის სიმბოლოდ. თითოეული მოვლენა განაპირობებს მოედნის, სკვერის, პროსპექტის სიმბოლურ ფორმირებას, რომლებიც არიან მთავარი პოლიტიკური მოვლენების ცენტრში. პოლიტიკური გამოცდილების მატარებელი მოედნები აძლიერებენ თაობების კავშირს წარსულთან და ქმნიან ალტერნატიულ ურბანულ მეხსიერებას. გარდატეხის ლიტერატურაში ქალაქის ცენტრალურ მოედნებს, მაგ. ბერლინში ალექსანდრეპლაცს და თბილისის ყოფილ ლენინის მოედანს, ახლა კი გმირთა მოედანს, ასევე რუსთაველის პროსპექტს, ცენტრალური როლი და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს გარდატეხის ქალაქის იდენტობის კვლევის საკითხში. ქალაქის მთავარ მოედნებზე მიმდინარეობდა პოლიტიკური გარდატეხის კოლექტიური ინტერაქცია, დემონსტრაციები და მიტინგები. გარდატეხის ლიტერატურაში გარდამავალი ეტაპი, ბერლინის კედლის რღვევა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი რეფლექსირდა სამი დროითი ფაზით: მზადება გარდატეხისთვის, გარდატეხა და გარდატეხის შემდგომი პერიოდით. სამივე დროითი ფაზა მოიცავს თაობამ, რომელიც „საბჭოთა გარემოში დაიბადა და ალიზარდა, მაგრამ სრულიად განსხვავებულ, პოსტსაბჭოთა რეალობაში მოუწია ცხოვრების გაგრძელება. ისტორიამ არ დაინდო ეს თაობა: სამოქალაქო და ქვეყანათაშორისი ომები,

ეთნიკური დაპირისპირებანი მსხვერპლი, სიბნელე, შიმშილი, უკიდურესი გაჭირვება – ყველა ეს უბედურება ერთბაშად დაატყდა თავს საბჭოური წესების პირობებში აღზრდილ ახალგაზრდებს და რადიკალურად შეცვალა მათი სამომავლო გეგმები, იმედები, ილუზიები... ეროვნული დამოუკიდებლობის, სიტყვისა და ფიქრის თავისუფლების ესოდენ ნანატრმა გზამ უდიდეს ადამიანურ ტკივილზე, სევდასა და მიუსაფრობაზე გაიარა“ (რატიანი 2015: 188).

ოთარ ჭილაძის რომანში გარდატეხა სწორედ 9 აპრილით შემოდის და გვამცნობს იმპერიის დასასრულს, რომელსაც გაცილებით ადრე წინათ-გრძნობდა აველუმი „ვიდრე მისი მეტოქე იმპერია საკუთარი კანიდან გადმოძრომას დაიწყება, ვიდრე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სახლის წინ, სანიმუშოდ დასჯიდა უიარალო დემონსტრანტებს“ (ჭილაძე 2016: 246). ერის ლოსტის *Nikolaikirche* (1995) და მარტინ იანკოვის *Das Verschwinden einer Himmelsrichtung* (1999) გარდატეხის ლიტერატურის რომანებია. მოქმედება პოლიტიკური გარდატეხების ფონზე მიმდინარეობს. პერსონაჟები ახალგაზრდა ადამიანები არიან, რომლებსაც აღარ სჯერათ სოციალისტური უტოპიის და აქტიურად ერთვებიან გერმანიის გაერთიანებისათვის გამართულ დემონსტრაციებში. შემთხვევითი არ არის, ვოლფგანგ ბეკერის ფილმის „Good Bye, Lenin“ ბოლო კადრი, ლენინის ძეგლის გატანა. ქალაქის ფიზიკური გარემოს პოლიტიკურმა ორიენტირმა დატოვა ქალაქი, გარდატეხის ქალაქში დაცვა საბჭოთა იდეოლოგიის სიმბოლო. მართალია, დემონსტრაციების, გამოსვლებისა და მიტინგების შედეგი მიღწეულია, ბერლინის კედელი დანგრეული, საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილი, ლენინის ძეგლი გატანილი, მაგრამ საერთო იდეა – პოლარიზებული, რადგან ტრავმულობის განცდას გარდატეხის ქალაქში სწორედ საბჭოთა იდეიდან, სიმბოლოს შინაარსიდან გამოსვლა ამძრავრებს, რაც წარმოშობს ახალ იმედს მიკედლებულ „მე“-ს, რომელიც ხშირად სასონარკვეთილი და იმედგაცრუებულია.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სოციალიზმიდან მოყოლებული 1990-იან წლებში ძირითადი ფოკუსი გადავიდა ქალაქებზე, რომ მოესროლათ წარსული მემკვიდრეობა და სოციალისტური იდენტობა. სწორედ სიმბოლური ნიშნებითაა შენარჩუნებული ფიზიკურ გარემოში ქალაქის იდენტობა ვოლფგანგ ბეკერის ფილმი „Good Bye, Lenin!“ და სიმბოლური ნიშნებით ირღვევა იდენტობა აკა მორჩილაძის რომანში „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, სადაც „მაგნამ“ ჩაანაცვლა „კოლხეთი“ და განსაზღვრა ადამიანის ინტერაქცია ქალაქში. რომანის პროტაგონისტი, დილით ადრიანად გაღვიძებული და სიგარეტის საძიბლად თბილისის ქუჩებში მიმავალი ზაზა ამბობს კიდევ: „ეს „მაგნა“ ხომ პირდაპირ ეპოქის სიმბოლოა ლამის კომუნიზმის დასასრულის მაუწყებლად შემოვიდა თბილისში. შეიძლება პირდაპირ დავარქვათ ეპოქა „მაგნა“ (Morchiladze 2011: 1). დასავლეთთან კავშირი და იქ ყოფნის სურვილი ზაზას თხრობასაც რეფრენივით გასდევს და ხშირად ათქმევინებს: „ნიცაში მინდა!“, თუმცა ვერ მიდის, გაუგებრობას და შემთხვევითი კრიმინალის მსხვერპლი ხდება. იარაღი, მკვლელობა, აგრესია, ძალაუფლების, ავტორიტეტის მოპ-

ოვებისა და ადგილის დამკვიდრებისთვის ბრძოლა 90-იანი წლების ქალაქური ცხოვრების ფორმა და საზრუნავია.

ვოლფგანგ ბეკერის ფილმი „Good Bye, Lenin!“ ბრენდებისა და საბჭოთა სიმბოლოების საშუალებით შენარჩუნებულ იდენტობას ეხება, როდესაც საბჭოთა წარმოების მარკებისა და ბრენდების პროდუქტებით, საბჭოთა სიმბოლოების გამოყენებით ცდილობენ გაუმყარონ სოციალისტურ წარსულთან მიკუთვნებულობა ფილმის მთავარ პერსონაჟს, რომელიც ინსულტის შემდეგ პოსტ-საბჭოთა ბერლინში იღვიძებს. დედის კრიტიკულ-ემოციურ ბუნებას შვილი განსაკუთრებულად უფროთხილდება და ცდილობს, ფსევდო ნიშნებითა და მარკებით, წარსულის ილუზიური გარემოს შექმნას, რადგან მას გულწრფელად სწამს სოციალისტური მომავლის. ბუნებრივია, დედა, დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა გარდატეხის მიჯნის დაძლევას, რომ არა ალექსი, რომელმაც რამდენიმე თვის განმავლობაში წარსულში აცხოვრა და სწორედ, ფილმის ამ ტრაგიკომიკურ ნაწილში ცხადად იკვეთება საბჭოთა და დასავლურ სიმბოლოთა პლასტები, როგორც ფიზიკური გარემოს (არქიტექტურა, მონუმენტები, სიმბოლოები), ასევე საზოგადოების სოციალური ინტერაცია, მათი თამაში ძველი და ახალი დროის გასაყარზე. ფილმი „Good Bye, Lenin!“, წარსულის ნოსტალგიადაც განიხილება, როდესაც ადამიანები ვერ ეთხოვებიან და აქვთ წარსული ქალაქის, ადამიანების, ცხოვრების სტილის, საკვები პროდუქტების ნოსტალგია.

ამდენად, ფსევდო-მარკირებით, სიმბოლოებითა და საბჭოთა ნიშნებით, ან ინარჩუნებენ საბჭოთა ქალაქის იდენტობას, ან პირიქით, დასავლეთიდან შემოჭრილი სიგარეტისა და კოკა-კოლის სიმბოლოებით წყვეტენ საბჭოთა წარსულთან კავშირს.

ვოლფგანგ ბეკერის ფილმისგან განსხვავებით აკა მორჩილადის „ფალი-აშვილის ქუჩის ძაღლებში“ პოსტსოციალისტური ეპოქის დასაწყისის ნიშნები პირველივე ამბიდან ჩნდება, როდესაც დილით გაღვიძებული ზაზა ნიცაზე ფიქრს იწყებს და იქ ყოფნის სურვილს გამოთქვამს „ნიცაში მინდა“. ნიცა და საერთოდ, შავი ზღვის იქით მდებარე „რკინის ფარდით“ დისტანცირებული სამყარო სწორედ 90-იან წლებში ახდენილი ოცნებაა, რომელსაც ახალგაზრდა თაობა სამოქალაქო ომით, უშუქობითა და „ჩამოგრძელებული სიფათებით“ შეხვდა. მეორე ნიშანი, რაც დასავლეთთან კავშირის აღდგენას ცხადჰყოფს, სიგარეტი „მაგნაა“. პროტაგონისტი გაღვიძებისთანავე იწყებს სიგარეტის მოსაპოვებლად „ბრძოლას“, „მაგნა“ – „ეპოქის სიმბოლო და კომუნიზმის დასასრული“, მაგნამ ჩანაცვლა კომუნისტურ ეპოქაში ღირებული „კოლხეთი“ თუ „ყაზბეგი“. ბრენდისა და რეკლამის შემოსვლა სოციალურ ტრანსფორმაციასა და პოლიტიკურ პროექტებთან ასოცირდება. „მაგნას“ ბრენდს პოსტსოციალიზმის ხანის მეტასიმბოლოდ იაზრებს ამერიკელი ფილოლოგი და ანთროპოლოგი პოლ მანინგი, რომელიც თავის კვლევას „მაგნას“ ეპოქა: ბრენდის ტოტემიზმი და წარმოსახვითი გარდასახვა სოციალიზმიდან პოსტ-სოციალიზმამდე საქართველოში“ მთლიანად აფუძნებს ნაწარმოებში წარმოდგე-

ნილ სიგარეტის ბრენდების კონტექსტურ ანალიზს. ბრენდი არაა კონკრეტული პროდუქტის სიმბოლო, როდესაც საუბარია „კოკა-კოლაზე“ ან „მაკდონალდსზე“, იგულისხმება არა მხოლოდ უაღკოჰოლო სასმელი ან სწრაფი კვება, არამედ საქმე გვაქვს ვესტერნიზაციასა და ამერიკანიზაციასთან, სიმბოლო, მარკა, ნიშანი გაგებულია და განსაზღვრავს ქვეყნის სოციაურ-პოლიტიკურ იდენტობას. პოსტსოციალისტური ქალაქი ცდილობს ურბანული სივრციდან წარსულის ნიშნების განდევნას, შემოაქვს ახალი ნიშნები, რომელსაც ანაცვლებს საოცნებო მარკებითა და სიმბოლოებით. თუმცა, ეს ჩანაცვლება უმტივირებული არ არის, წარსულის ტრამპულობა, კოლექტიური ცხოვრების მოდელის რღვევა, დაეჭვება სოციალურ მიკუთვნება – მიჯაჭვულობის კონცეპტში, საკუთარ ეგზისტენციაში, გარდატეხის ქალაქთან მაიდენტიფიცირებულ ნიშნებია.

90-იან წლებში საბჭოთა სივრცემ ნიშნებისგან გათავისუფლება დაიწყო, ადამიანების ინტერაქციული მიმართება ფიზიკურ გარემოსთან გაუცხოვდა, ძირი გამოეცალა საბჭოთა ნიშნებზე დაფუძნებულ იდენტობას და ქალაქიც გადასხვაფერდა, შეიცვალა ყველასთვის, მათთვის ვინც ეგუბოდა და მათთვისაც, ვინც ვერ ეგუებოდა და იბრძოდა ცვლილებისა და დასავლური ღირებულებებისთვის.

ქრისტა ვოლფის გმირი, მოთხრობაში „Was bleibt“, გარდატეხამდე პერიოდს იხსენებს, სადაც ადამიანებს თვალთვალისა და ურთიერთდასმენის ფონზე დაკარგული ჰქონდათ ერთმანეთის ნდობა. რომანის მთავარი პერსონაჟი ყოველდღიურად აკვირდება ახალგაზრდა მამაკაცს, თუმცა დარწმუნებულია, რომ თვალთვალი საიდუმლოდ არ ხორციელდება და მასაც აკვირდებიან. ტექსტში წარმოდგენილია უშიშროების სამსახურის ფსიქოპათიური ზედამხედველობა, სადაც შიში წარმართავს ადამიანების ნებას, რაც გამანადგურებლად მოქმედებდა არა მხოლოდ პროტაგონისტზე, არამედ მის ირგვლივ მყოფ ადამიანების ჯგუფზე, „მათ ეშინიათ“ ყოველდღიურობის. საზოგადოების გახლეჩა და ურთიერთნდობის დაკარგვა ტოტალიტარული რეჟიმის სტრატეგიის ნაწილია, რადგან დისტანცირებული საზოგადოება, შიშჩამდგარი ცნობიერება მარტივად კარგავდა თვითმყოფადობის უნარს. ამბობს კიდევ რომანის ერთ – ერთი პერსონაჟი: „გაუცხოებული ვარ, ოთხი კვირაა დავდივარ უსახელო ქუჩებს შორის და უსახელო ქალაქში“. მათთვის გაუცხოვდა სამყარო, ვერ ცნობენ ქალაქს, სადაც იშვნენ, ქუჩებს სადაც „მე“ დაასახლეს. სწორედ, ამ დროს დგება მათი იდენტობის, „მე“ კონცეფტის თვითგადარჩენის, ხსნისა და განახლების აუცილებლობა: ხელახლა შეიცნონ მშობლიური ქალაქი და განსაზღვრონ ქალაქში თავიანთი ეგზისტენცია, ან დისტანცირდნენ და დატოვონ მშობლიური ქალაქი. ქრისტა ვოლფის მოთხრობის პროტაგონისტი, მოთხრობელი – მე ეძებს ახალ იდენტობას, ცდილობს თანაარსებობას და შელახული ღირსების აღდგენას ახალ პოლიტიკურ დროში.

ოთარ ჭილაძის „აველუმის“ გმირს კი „მშობლიური ქალაქიდან თავის დაღწევაზე მეტად, არაფერი რომ არ უნდოდა იმ წუთას ეს სრული სიმართლეა.

სხვათა შორის, სწორედ მაშინ გადაწყვიტა ფრანსუაზასთან გაქცევა. უფრო ზუსტად, შემთხვევით გაახსენდა უცებ ფრანსუაზასგან ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულში მიღებული და დღემდე უპასუხოდ დატოვებული მიპატიჟება, და ახლა, საკუთარ ქალაქში გზააბნეული, მგზნებარედ ეფიციებოდა გუნებაში უსინდისოდ დავიწყებულ ფრანსუაზას, აუცილებად რომ ისარგებლებდა ამ ბედნიერი შემთხვევით...“ (ჭილაძე 2016: 324). აველუმი თავადაც გაუცხოებულია ადამიანებისთვის, რომლებიც ძველებურად ველარ ხედავენ მისთვის ჩვეულ ადგილებში „გმირთა“ და „საზოგადო მოღვაწეთა“ შორის, მისთვის „აუტანლად მძიმეა მკვდარ ქალაქში ცხოვრება. მართლა მომკვდარიყო თითქოს ყველაფერი: ჰაერიც, წყალიც, პურიც, ხმაც, სახეც...“ (ჭილაძე 2016: 323). აველუმისთვის ქალაქი მოკვდა. დასახლებული რომანების თუ ფილმების პერსონაჟებმა დაკარგეს კომუნიკაცია საკუთარ ქალაქებთან, ისინი ან გარბიან, ან რჩებიან იმედგაცრუებულები და დემორალიზირებულები იწყებენ ახალ ცხოვრებას.

თეოდორ შთოერის ფილმი „ბერლინი, გერმანიაშია?!“ გარდატეხის შემდეგ პერიოდს ასახავს, სადაც მთავარ პერსონაჟს, მარტინ შულცეს, ციხიდან გამოსვლისას ბერლინის კედელი დანგრეული ხვდება. ციხიდან გამოსვლისთანავე ეკრანზე მონუმენტად ქცეული ტანკი ჩანს, როგორც წარსულის უფუნქციო ნარჩენი. მარტინი 11 წლის შემდეგ, მატარებლით მიემგზავრება ბერლინში ძველი დროებიდან შემორჩენილი, ციხიდან გამოყოლილი ტელევიზორით, ის ერთადერთი ნივთია, რომელიც დროში გადმოყვა და თავისდაუნებურად იქცა ახალ იდენტობაში გამავალ ყავლგასულ სიმბოლოდ. მარტინ შულცე ბერლინის პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების იმპლიკაციების ფონზე დამკვიდრებას და ახალი ოჯახურის ცხოვრების აწყობას იწყებს. ქალაქში ჩასულს სამგზავრო ბილეთის ყიდვისთანავე ეწყება ნიშნებსა და ქმედებებს შორის უთანხმოება. ფულის ერთეული შეცვლილია, ქალაქის ფიზიკური ნიშნები გადასხვაფერებული. ტრანსპორტიდან აკვირდება გადაღებულ სახლებს, მშენებარე ბინების არაბუნებრივ არქიტექტურას, კოკა-კოლას რეკლამას სავაჭრო ცენტრზე, სასტუმროს მისი საცხოვრებელი სახლის გვერდზე, ისინი დინამიურად ენაცვლებიან ერთმანეთს და ქმნიან ახალი ქალაქის იერსახეს და იდენტიფიცირდებიან შეცვლილ გარემოსთან. მარტინს სურს დაივიწყოს წარსული, მოიპოვის მისთვის უცნობი შვილის სიყვარული და დაიბრუნოს გათხოვილი ცოლის ნდობა. მიუხედავად ძალისხმევისა, წარსული ნასამართლეობის გამო, ის ვერ იღებს ტაქსის მძღოლის მოწმობას, ამასთან კარგავს სამუშაოს, რომელიც მისი მეგობრის არალეგალური ბიზნესია და საბოლოოდ ხელმოცარული ენარცხება ახალ დროში წარსულისგან კუთვნილი მარკირებული ნიშნით.

ამდენად, სიმბოლოს განდევნა ქალაქის ფიზიკური და ინტერაქციული გარემოდან არღვევს დიალოგურ კავშირს და აცლის იმანენტურ შინაარსს ადამიანის ცნობიერებაში კოდირებულ *მე-კონცეფტს*, რომელიც მიისწრაფვის ახალი გარემოში დაძლიოს წარსული ტრავმულობა და სოციალური იდენტობა. 90-იანი წლებიდან დეკოდირებულია სიმბოლური კავშირი გარემოსთან,

გამოთავისუფლებულია სივრცე, თუმცა შენარჩუნებულია შინაარსი, რაც გაუცნობიერებლად წარმოშობს სუბიექტში გარე სამყაროსთან კონფლიქტს და აუცხობებს მას ქალაქში ტრანსფორმირებულ რეალობასთან.

დამონშებანი:

- Averintsevi. *Sitq'va Ghvtsa, Sitq'va Adamianisa*. Tbilisi: Sakartvelos Metsnierebata Akademiis gamomtsemloba, 2004 (ავერენცევი. *სიტყვა ღვთისა, სიტყვა ადამიანისა*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2004).
- Birol. *An Identity of a City and an Evaluation on the Kervansaray Hotel*. Arkitekt Magazine, November-December, 2007.
- Bourdieu, Pierre. *Zur Soziologie der symbolischen Formen*. Frankfurt am Main: Suhrkamp, 1974.
- Ch'iladze Otar. *Avelumi*. Tbilisi: gamomtsemloba "aret'e", 2016 (ჭილაძე ოთარ. *აველუმი*. თბილისი: გამომცემლობა „არეტე“, 2016).
- Grub, Frank Thomas: „Wende ” und “ Einheit ” im Spiegel der deutschsprachigen Literatur. Berlin: 2003.
- Eliade. *Mitis Asp'ekt'ebi*. Tbilisi: Ilias sakhlemts'ipo universit'et'is gamomtsemloba, 2009 (ელიადე. *მითვის ასპექტები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009).
- Erdönmez, E., Çelik, F. *Public space relations in urban space*. Kültür Envanteri, 2017.
- Heidegger, M. *Identity and difference*. New York: Harper and Row, 1969.
- Letodiani Ana. “Simbolos Gaazrebitvis”. *Sjani*, 11. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2011 (ლეთოდიანი, ანა. „სიმბოლოს გააზრებისთვის. *სჯანი*, 11. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011), http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/ana_letodiani.pdf
- Lot'mani, I. *Simbolo K'ult'uris Sist'emashi*. Mtargmneli Tamar Berek'ashvili. (ლოტმანი, ი. *სიმბოლო კულტურის სისტემაში*. მთარგმნელი თამარ ბერეკაშვილი. <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/02/იური-ლოტმანი-სიმბოლო-კულ/>)
- Lynch, Kevin. *The Image of The City*. Cambridge: The MIT Press, 1960.
- Maningi P'ol. “Magnas” Ep'oka: Brendis T'ot'emizmi da Ts'armosakhviti Gadasvla Sotsializmidan P'ost'-sotsializmande Sakartveloshi. Tbilisi: gamomtsemloba “erovnuli mts'erloba”, 2009 (მანინგი, პოლ. „მაგნას“ ეპოქა: ბრენდის ტოტემიზმი და წარმოსახვითი გადასვლა სოციალიზმიდან პოსტ-სოციალიზმამდე საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“, 2009).
- Morchiladze, Aka. *Phaliashvili Street Dogs*. Tbilisi: :Bakur Sulakauri”, 2011.
- Neisser, U. *Cognition and Reality*. San Francisco: Freeman, 1976.
- Piaget, J. *The Construction of Reality in the Child*. New York: Basic Books, 1954.
- Proshansky, H. M., Fabian, A. K., & Kaminoff, R. (1983). *Place-identity: Physical world socialization of the self*. Journal of Environmental Psychology, 3(1), 1983, 57–83.
- Rat'iani Irma. *Kartuli Mts'erloba da Msoplio Lit'erat'uruli P'rotsesi*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2015 (რატიანი, ირმა. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015).

- Renfrew, C. *The City through Time and Space: Transformations of Centrality*. In *The Ancient City: New Perspectives on Urbanism in the Old and New*, 2008.
- Relph, E. *Place and placelessness*. London: Pion, 1976.
- Speller, G., Lyons, E., & Twigger-Ross, C. *A community in transition: The relationship between spatial change and identity processes*. *Social Psychological Review*, 4(2), 2002, 39-58.
- Taylor, C. *The sources of the self: The making of the modern identity*. Cambridge, MA: Harvard University Press, 1989.
- Ts'ipuria B. *Kartuli T'ekst'i Sabch'ota/P'ost'modernul K'ont'ekst'shi*. Tbilisi: Ilias sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba, 2016 (წიგურია ბ. ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016).
- Twigger-Ross, C.L./ Uzzel, D.L. *Place and identity process*. *Journal of Environmental Psychology*, 16, 2003, 205-220.
- Yeşil, P.; Akköse, S. *The effect of squares on urban identity; an example of an army city*. *Academic Research in Architecture Planning and Design*. Ed., Hasan Babacan, Tanja Soldatovic Nihada Delobegovic Dzanic. Ankara: Cigdem Eren, Night Library, 2018.

Tea Talakvadze
(Georgia)

The Destruction of a Symbol and the Identity Paradigm of a City in Transition

Summary

Key words: Urban identity, symbol, transitional literature.

As the place is not only a context or background but it is an integral part of the identity, we should mention the role of a symbol in social and cultural studies. A small architectural change may change, for instance, social interaction, which in its turn may change the meaning of place. Places facilitate or challenge personal and social identity, as the place is a geographical environment which has acquired significance through the interaction between the person and the environment (Speller et al., 2002).

When studying the urban identity, we shall determine the main characteristics of place identity theory and define common features of the identity of a city in transition: What makes an urban identity? Is it possible to determine common features of identities of cities in one period and different places, with similar political ideology? What is the identity of cities in transition? Does the destruction of a symbol determine the crisis in personal identity?

Studies focused on the transformation of the urban model, describe three types of urban transformation: transformation taking place in one and the same period, but in

different places (cultural influence etc.); transformation taking place in different times but in one and the same place; and transformation in different time and place (Renfrew 2009:49). This study deals with the first model, when in one and the same period of time, identity markers formed under the influence of dictate and forced ideology, were common for countries with different cultures and history, namely, for the Soviet Union and the Eastern European Countries. Among these countries, Berlin is of interest which was divided by the wall and two countries with one cultural identity were formed: democratic and totalitarian. Through the analysis of literary texts, the study attempts to determine identity characteristics of a city in transition based on the examples of the capital of Western Germany, Berlin, and Tbilisi, the capital of Georgia, one of the member countries of the USSR. The study uses characteristics described by place-identity and city-identity researchers; basically, it employs the studies of Kevin Lynch and Edward Relph, sharing views of researchers on certain features of city-identity markers and determinants.

Literature produced after the establishment of socialism in East Germany, was subject to strict censorship and control from the Communist nomenclature. Accordingly, after the fall of the Berlin Wall (Mauerfall) and German reunification (Einheit), the turnaround literature began to reveal history which had been accumulated and hidden for decades. The term **turnaround literature**, denoting a literary process, began to be established, encompassing all areas of public life in the German unification process and all three genres of literature.

The political processes taking place in East Germany in the 90s of the 20th century were not alien to the countries of the Soviet Union, including Georgia. Anti-Soviet protests developed into insurgency and demonstrations in the Georgian capital, Tbilisi, on April 9, 1989, ended in bloodshed. Thus, the processes taking place in the capitals of Georgia and East Germany, in Berlin and Tbilisi, as well as in other post-Soviet cities, have moved from one political space to another, new reality. Despite its independence, the process has evolved dramatically, both politically and historically. The political change, the end of the Soviet narrative, led to the disintegration of the social model that had existed for many years, that was no less traumatic for post-Soviet people. A model of social was constructed in them and around them in which people had to live and give birth to a new person in a politically transformed space. Soviet people, disoriented and alienated to new environmental signs, were trying to survive in the new time. Consequently, it is not surprising that the overcoming of collective identity and the search for a new identity became the main concern for the human being, while in literature it reflected as the dominant trend.

The turnaround started with the fall of the symbol in the Soviet Union and escalated into insurgency and demonstrations, as the destruction of the symbol each Soviet citizen had to destroy connection to their former identity and begin a struggle for liberation from a new, totalitarian state. The immanent function of the Soviet symbol was deeply rooted in the consciousness of the Soviet man, as the symbol was of particular importance in imperialist countries. Physical and social environment, saturated with Soviet symbols, was

part of the daily life of Soviet people; they controlled their social being and governed their collective activity and collective consciousness as well, which automatically contradicted their opposition with the representation of individualism. For some of the citizens, the area of action in the Soviet space is locked, and their attempt to bring down these firmly built borders. Others are used to the model of Soviet citizenship; They do not recognize the existence within a different system. However, the harshness of totalitarian rule reaches the social realm of each of them and determines their values and the “Self”.

The study discusses the meaning and conceptualization of a symbol based on dialogic relation of symbol and its immanent content and role in the process of conscious formation. Throughout the centuries, the symbol formed along with the change of times was represented in a range of connotations. Therefore, unsurprisingly, since ancient times, beginnings with thoughts of Plato and Aristotle, scholars have discussed the role of a symbol for the interpretation of different thinking models.

ოთარ ონიანი
(საქართველო)

„თეთრი მანგურის“ მიმართება სამონადირეო ბალადებთან

დალის ციკლის მასალებიდან „თეთრი მანგური“ გამოირჩევა თემატური სიახლითა და არქაულობით, მაღალმხატვრულობითა და რთული სარწმუნოებრივი დატვირთვით. იგი ორიგინალურ ადგილს იმკვიდრებს როგორც ქართულ, ასევე ზოგადად მითოლოგიურ პერსონაჟთა შორის. მიხეილ ჩიქოვანი საგანგებოდ მიაჩნებდა, რომ „თუ წინა საფერხულო ლექსებში მონადირეებთან დალი კეთილ განწყობას ამყარებდა მგლის მოკვლისა და შვილის დაბრუნებისათვის, აქ ქალღმერთი მონადირეებს პეტერული მიჯნურობის გამო მფარველობს. ეს ხარისხობრივად განსხვავებული თვისებაა მატრიარქატის დროინდელი ღვთაებისა. ამ სიუჟეტში შეიძლება მამაკაცის სამეურნეო ძლიერების ანარეკლიც დავინახოთ, მოდგმის გაგრძელებაზე რომ არაფერი ვთქვათ... მოკვდავი მანგურისა და დალის ურთიერთობა ანტიკური ხანის მითოლოგიას მოგვაგონებს, ამავე დროს მას მსგავსება ინდურ მითოლოგიასთანაც აქვს“ (ჩიქოვანი ... 1972: 209). მკვლევრის დაკვირება, რომ ქალღმერთი დალი ხარისხობრივად განსხვავებული თვისობრივობით წარმოგვიდგება, სიახლეა, ამასთანავე, საინტერესოა ძეგლის ანტიკურ და ინდურ მითოლოგიასთან მსგავსების დანახვა... კვლევა ამის იქით აღარ მიდის. ავტორი აზრის ფაქტობრივი დასაბუთებისაგან თავს იკავებს. უნდა დავძინოთ, რომ „თეთრი მანგურის“, მართლაც, გამოკვეთილად გამორჩეული ძეგლია – შედეგრი ქართული სამონადირეო პოეზიისა. მისი რთული თემატური სამყაროს მეტ-ნაკლები სიღრმისეული წვდომა გულისხმობს არა მარტო სვანურ, არამედ მთლიანად ქართული ზეპირსიტყვიერების ტრადიციის, რწმენისა და წეს-ჩვეულებათა შესატყვის მეცნიერულ დონეზე წარმოჩენასა და გააზრებას. კვლევის ამგვარ გზას გვთავაზობს ელ. ვირსალაძე. მისი აზრით: „ფოლკლორული ძეგლის დახასიათებისას, მისი კვლევისას, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ საკუთრივ ამ ძეგლის მონაცემებით. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ხალხის ცოცხალ ყოფაში, ადამიანთა ცნობიერებაში ამ ძეგლის ადგილის განსაზღვრას. სწორედ ეს გარემოება უნდა იქცეს ამოსავალ წერტილად ხალხური შემოქმედების ძეგლის არქაულობის, მისი განვითარების საფეხურის დადგენის დროს. ცალკეული ძეგლი უნდა შეისწავლებოდეს მის მიმართებაში მთლიანად ფოლკლორულ ტრადიციასთან და მთლიანად შემქმნელი კოლექტივის იდეოლოგიასთან. მაშინ გაირკვევა, თუ რა ხვედრითი წონა აქვს ფოლკლორის ამა თუ იმ ნიმუშს – წარმოადგენს იგი დღეს არსებულის ცოცხალ ნაწილს, თუ გადმონაშთის სახე აქვს. ახალი შინაარსი აქვს, მას შექმნილი დროთა ვითარებაში, თუ ხალხურმა ტრადიციამ იგი შემოინახა მხოლოდ როგორც მხატვრულ-ესთეტიკური

მნიშვნელობის ძეგლი... მხოლოდ ამგვარ დაკვირვებებზე აგებული ანალიზით შეიძლება სრული შეფასება მიეცეს ფოლკლორის ამა თუ იმ ნიმუშს“ (ვირ-სალაძე 1964: 16). დამონმებული აზრი არ საჭიროებს განმარტებას. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ „თეთრი მანგურის“ თემატურ სირთულეთა წარმოსაჩენად, უპირველეს ყოვლისა, დალის ციკლის მასალის სრული სახით გათვალისწინება აუცილებელი (როგორც პოეტურის, ისე პროზაულის), ნაწარმოები მთელი თავისი არქაული მრავალფეროვნებითა და მხატვრული სიძლიერით მხოლოდ სვანურ ზეპირსიტყვიერებაშია შემონახული. რომ დადგინდეს და დაზუსტდეს განსახილველი ძეგლის სპეციფიკურობები, პირველ რიგში იმის გარკვევაა საჭირო თუ რა მიმართებაშია ის სხვა ბალადებთან: „ბეთქილთან“, „მონადირე ჩორლასთან“, „ქალასთან“ და სხვა პროზაულ გადმოცემებთან, ასევე – ქართულ ფოლკლორულ ტრადიციასთან. ბალადის შინაარსი მრავალი სირთულის წინაშე გვაყენებს. ეს განსაკუთრებით ითქმის შესავალზე, რომელიც მთლიანად მანგურის პიროვნულ ღირსებათა წარმოჩენას ეძღვნება. გმირის ამგვარი დახასიათება არცერთ დასახელებულ ბალადაში არ ჩანს. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ „თეთრი მანგური“ თვისებრივად ახალი ფოლკლორული გმირია არა მარტო ქართული სამონადირეო ეპოსისა, არამედ ზოგადად მითოლოგიისაც. მსგავსი მრავალმხრივობა არც ერთი მითოლოგიური პერსონაჟის ქმედებაში არ შეინიშნება, იგი საკაცობრიო შინაარსის პერსონაჟია, შეიძლება ითქვას მომავლის ადამიანიც. ამგვარი აზრის თქმის უფლებას გვაძლევს ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელიც ყურადღების მიღმა დარჩენილი. ბალადა პირველი სტრიქონიდანვე რთული ამოცანის წინაშე გვაყენებს:

სვანეთის საქებო თეთრო მანგურ,
ყოფა-ცხოვრება კარგი გქონია,
სანიავებელი წვირში გქონია.
სრავალი (პურის საშრობი) იფარში გაქვს,
კალო კალაში გქონია,
სახნავი ლახამულაში ქონია,
სათიბი შხარაში გაქვს;
საფოცხრად თურმე დევები გენევიან,
მოსამკალად თურმე დაღები გეხმარებიან;
კიდობნებად ვეებერთელა ქვაბები გიდგას,
მარანი ქვევრებით სავსე გაქვს,
(ქვევრებში) ღვინო იმერეთისა გიდგას,
პური გაქვს, ო, ყირიმისა.

(შანიძე ... 1939: 277)

ბალადის შესავალი, ორიგინალური სათაურით, ბევრ საფიქრალს გვიჩენს. მას ანალოგი არ დაეძებნება დალის ციკლის მასალაში. სირთულეს პირველი სტრიქონი ქმნის: „სვანეთის საქებო თეთრო მანგურ“. რა გააკეთა, რა

მოიმოქმედა ისეთი, რომ მთელი სვანეთის საქებ პიროვნებად მოიხსენიება?! ასევე საინტერესოა მანგურის წარმომავლობა. რა გვარისაა, რომელი სოფლიდან, რომელი თემიდან, არ ვიცით. ამ და სხვა თავისებურებათა წარმოსაჩენად საჭიროდ მიგვაჩნია სხვა ბალადებთან მიმართების გარკვევა.

ავის მომასწავებელი მოთქმა-გოდების შემდეგ გადმოცემულია თეთრი შუნის გადმოხტომაზე, რომელიც მოფერხულეთა შორის ჩამდგარ ბეთქილს „ლაჯებში“ გაუხტება. მოფერხულეთა აზრით, თეთრ შუნს მხოლოდ ბეთქილი დაედევნება, სხვა ვერავინ. როგორც ვხედავთ, თეთრი მანგურისაგან განსხვავებით აქ ყველაფერი გასაგებია: ბეთქილი მულახ-მუჟალის საზოგადოებიდანაა, ამ ორი სოფლის მცხოვრებთა ჭირისა და ლხინის თანაზიარი, განთქმული მონადირე, ადამიანობისათვის თავდადებული, კაი ყმა. თეთრ შუნს დაედევნებულმა ბეთქილმა ძალიან კარგად იცის, რომ საბედისწერო გზაზეა დამდგარი, მას უკან დაბრუნება აღარ უნერია, მაგრამ მაინც მიზანსწრაფულად სდია ბოლომდე. იცის, რომ თეთრი შუნი გარდასახული დალია, რომელთანაც მას გამოუსწორებელი შეცდომები აქვს დაშვებული: ბეთქილმა დალისთან დადებულ ყველა პირობას უღალატა, უნმინდური მიდის სანადიროდ, დალთან ურთიერთობას სხვა ქალის სიყვარული არჩია, ქალღმერთის მიერ ბოძებული მძივი თავის რძალს, თამარს, აჩუქა, დალის კი სიმართლე დაუმალა – იცრუა, რომ მძივი სანოლის სასთუმალში დამრჩაო, რითაც კიდევ უფრო განარისხა დალი. მისი დაღუპვაც გარდაუვალი აღმოჩნდა და კიდევ დაიღუპა. ბალადაში ბეთქილის ტრაგიკული თავგადასავალია გადმოცემული, როგორც მონადირის. განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ჩვენთვის საინტერესო ბალადაში „თეთრი მანგური“. მასში განსაკუთრებულ სირთულეს სწორედ შესავალი ნაწილი ქმნის, სადაც მანგურის ქმედებათა მხოლოდ შედეგებზეა საუბარი (ამაზე ქვემოთ). ზემოთ დასახელებული სვანური სამონადირეო ბალადები შედეგებია, როგორც ფორმით, ისე შინაარსით. თითოეული დამოუკიდებელი თავისთავადობაა, მონადირის ფიზიკურ-სულიერი განვითარების გზები და საფეხურებია საინტერესო. ამბის განვითარება მონადირეთა ყოფიერების ძნელად გასააზრებელ მრავალმხრივობასა და ქვემდებარებული. საბოლოოდ მონადირის ბედი მისივე ქმედების გამოძახილია, როგორც ეს ბეთქილის ტრაგიკული თავგადასავლის შემთხვევაში გვაქვს. სწორედ ამ აზრითაა საინტერესო მონადირე ჩორლას თავგადასავალი. იგი ჭეშმარიტი მონადირეა მულახ-მუჟალის საზოგადოებიდან.

წინასწარვე უნდა გაცხადდეს, რომ „მონადირე ჩორლა“ ურთულესი შინაარსის ძეგლია ქალღმერთი დალის ციკლის მასალიდან. იგი ერთადერთია ჯერჯერობით, რომელშიც გმირი ინიციაციის ძნელად გასავლელ გზებსა და საფეხურებს გადის. მხედველობაში გვაქვს ა) ვარიანტი. მასში ჩორლამ სულიერი ზეალსვლის ახალსა და მალალ საფეხურს მიაღწია. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ერთხმააა აღიარებული, რომ ჩორლამ ტაბუ დაარღვია, მეათე კლდეზე გასულმა ას ოცი ჯიხვი და არჩვი მოკლაო. სინამდვილეში ტექსტი სულ სხვა რამეს გვეუბნება:

სანამ გზას გაუდგებოდი,
ცხრა კლდეს გადასულხარ,
არაფრის კვალი არ გინახავს,
მეათე კლდეზე გადასულხარ.
ჩაგიხედავს შიდა ხევში;
ჯიხვითა და არჩვით სავსეა.
შენი კუთხვა მხარზე გადმოგიღია,
სანამ სროლას შეუდგებოდი,
ას ოცი უკვე მოგიკლავს,
ჯიხვი და არჩვი ყველა შერეულად.
(შანიძე ... 1939: 290)

აქ საქმე გვაქვს ძნელად ამოსაცნობ სარწმუნოებრივი შინაარსის ძეგლთან. საკმარისია, დაისვას კითხვა: სანამ გზას გაუდგებოდა მონადირე ჩორლა, როგორ გაიარა ცხრა კლდე? სანამ სროლას დაიწყებდა, რანაირად შეიძლება მოეკლა ას ოცი ჯიხვი და არჩვი? ეს ხომ ალოგიკურია. სინამდვილეში სულ სხვა სირთულეებთან გვაქვს საქმე, ძნელად გამოსავლენ და გამოსაცნობთან... მონადირე ჩორლა ფათერაკებით აღსავსე ინიციაციის რთულ გზას გადის. ამ გზაზე ადამიანი შეიძლება დაიღუპოს კიდეც, თუ სულიერად არაა სათანადოდ მომზადებული. ჩორლამ რაინდულად გაუძლო განსაცდელს... დალებისაგან კლდეზე გადმოკიდებულს წმ. გიორგი მოველინება. მან დალები, დალთა ლაშქრიდან მოკვეთილი ერთ-ერთი შერისხული დალის დახმარებით გაიგო, რომ დალებს ყველაზე მეტად აშინებთ მეძავი ქალის ფეხის დანადგამზე გავლილი მამაკაცის მოყვანა... დალებმა გაათავისუფლეს ჩორლა, მაგრამ მარჯვენა ფეხი მოსტეხეს. წმ. გიორგი კი განკურნავს მას და დალოცავს:

– შენ რა გინდა, ჩემო ჩორლა,
– კვირაში წვრილი არჩვი
უხვად და უნანებლად,
თუ – დღეში ჯიხვის თავი.
– უფალო ჩემო, ნუ გამინყრები:
დღეში – ჯიხვის თავი.
(შანიძე ... 1939: 296)

ამ დიალოგს წინ უძღვის წმ. გიორგის მიერ წარღვნის მოვლინება დალთა ლაშქარზე და ჩორლას თხოვნა ერთ-ერთი დალის გადასარჩენას – „არ დავახრჩოთ“. მთავარ მონამემ უპასუხა:

– ჩორლა ჩემო, არ დავახრჩობთ,
სადაც მოჰკვდე, იქ მოკვდეს.
თქვენი შთამომავალი მილიონი იყოს.
(შანიძე ... 1939: 295)

წმ. გიორგის ამგვარი დალოცვის შემდეგ საქმე გვაქვს მრავალმხრივ დამაფიქრებელ დასასრულთან: ჩორლა შინ მიდის.

აქ ჩორლას ქალი დაუხვდა,
ქალი დაუხვდა ძლიერ მეძავი,
წინ შეხვდა კლდის დალს,
კლდის დალს სული ამოხდომია.
„შე მეძავო ცოლო ჩემო,
(რად) არ გერჩია ცოცხლად ყოფნა!“
ჩორლა აქ სული ამოხდომია.
(შანიძე ... 1939: 297)

ამგვარი დასასრული, მთავარმონამის დალოცვისა და დაბედებული მადლის შემდეგ, რომ ჩორლასა და დალის შთამომავლობა მილიონი იყოს, არა მხოლოდ ადამიანური განსჯით და ლოგიკით, არამედ სულიერი პოზიციებიდანაც დამაფიქრებელია. საქმე იმაშია, რომ ჩორლა უკვე ინიციატივით, ახალი პიროვნებაა, სულიერად განწმენდილი, წმ. გიორგის მადლით ცხებულის.

გადარჩენილი დალი კი ადამიანურ ყოფიერებასთან ყველაზე ახლოს მყოფია დალთა ლაშქარიდან, მას ხომ ბევრი მშვიერი მონადირე შეუკედლებია და დაუპურებია, ბევრი გაციებული გაუთბია, ასე რომ, პრობლემა ღიად რჩება, ამგვარი საიდუმლოების ამოცნობა, მისი ჭეშმარიტ მეცნიერულ დონეზე გააზრება მომავლის საქმეა... ორივე ბალადა – „ბეთქილი“ და „მონადირე ჩორლა“ ვრცლად გვაქვს განხილული ნაშრომში „კულტურული გმირის“ პრობლემა ქართულ ფოლკლორში (2009 წ). „თეთრ მანგურთან“ მათი მიმართება მნიშვნელოვნად თავისებურია იმ აზრით, რომ წარმომავლობით ორივე ბალადის გმირი მულახ-მუჟალის საზოგადოებიდანაა. ბუნებრივია, რომ თითოეულის თავგადასავალი, ქმედება წმინდა სამონადირეო ყოფიერებასთანაა დაკავშირებული და რჩებიან პროფესიონალ მონადირეებად, ცხადია დამოუკიდებელი სპეციფიკურობებით. „თეთრი მანგური“ კი განსხვავებული თავისთავადობაა. არც ისაა შემთხვევითი, რომ მისი წარმომავლობა ბუნდოვანია, იდუმალების ბურუსით მოსილი. მართალია, ბალადა სამონადირეოა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მანგური პროფესიონალ მონადირედ რჩება, როგორც ბეთქილი და ჩორლა. ამ საკითხზე ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

შესადარებელი მასალის მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად თქმულით დავკმაყოფილდეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, საკვლევი ბალადის მიმართებამ სვანურ ფოლკლორულ ტრადიციასთან, კონკრეტულად კი სამონადირეო პოეზიისა და პროზის ძეგლებთან, საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა, თითოეული ძეგლი დამოუკიდებელ თავისთავადობად წარმოგვიდგა. მონადირეთა მძაფრი, ზოგჯერ წინააღმდეგობებით აღსავსე თავგადასავლები, იმის უტყუარი დადასტურება აღმოჩნდა, რომ ისინი ბოლომდე რჩებიან ჭეშმარიტ მონადირეებად, საზოგადოებაში გამოკვეთილად გამორჩეულ

ინდივიდუალად. შედარებამ დაგვარწმუნა თითოეულის თემატიკური სამყაროს მრავალფეროვნებაში, ღრმად რელიგიურობასა და მაღალმხატვრულ ოსტატობაში. რასაკვირველია, ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს სვანურ ფოლკლორში მოძიებული მასალა. საერთო ფოლკლორული ძირების წარმოსადგენად განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეთა კლასიკური პოეზია. შევჩერდებით ხევსურულნ ერთ-ერთ შედეგზე, თქმულზე ქურაზიშვილთა დიდებით მოსილ საგვარეულოზე:

ნეტავ თქვენ, ქურაზიშვილნო,
სამი მზე მოვა თქვენზედა;
ერთ მოვა პურადობისა,
შუქ დაგიღვებისთ სკამზედა,
მეორე – მამაცობისა,
მტერ ვერ შაგიდგათ ძალზედა,
მესამე – თოფოსნობისა,
ჯიჰვენ ვერ გიგვლენ მთაზედა.
(შანიძე 1931: 108)

დამონმებული ლექსი რთული შინაარსისაა. მისი მნიშვნელობა არაერთგვაროვანია. თითოეული სტრიქონი დამოუკიდებელ დაკვირვებას საჭიროებს. როგორც დ. გოგოჭური შენიშნავს: პურადობასა და მამაცობასთან ერთად ხევსურისათვის ნადირობა ვაჟკაცის მესამე ღირსებად არის აღიარებული (გოგოჭური 1974: 148), ხოლო ჭეშმარიტი მონადირე კაი ყმის ყველა ნიშანთვისებების მატარებელია. ასე რომ, სამი მზის მადლი (სამივე თვისებაზე) ერთნაირი ძალმოსილებით არის გადმოსული, ისინი ერთიმეორეს ავსებენ.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო ბალადა „თეთრ მანგურთან“ მიმართებით ქურაზიშვილებზე გამოთქმულ კლასიკურ ლექსს ბევრი რამ აქვს საერთო. განმასხვავებელი ნიშანი კი ისაა, რომ ხევსურულში მთლიანად საგვარეულოზეა დაშვებული ღვთიური მადლი, თითოეულ წევრზე, რაც იშვიათ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ქართულ მითოლოგიაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით საგვარელოს ამგვარად აღზევებულ სულიერ მდგომარეობას წინ უძღვის ქურაზიშვილების სანაქებო მოღვაწეობა ადამიანთა საცხოვრისში, წინაპრების გამორჩეულობა, თავდადება და გარჯა ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებისათვის, კონფლიქტები საგვარეულო, თუ მეზობელ კუთხეთა შორის, უფრო მეტად კი – გარეშე მტრების წინააღმდეგ. ჩანს, რომ ქურაზიშვილების სანაქებო მოდგმას განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული კუთხის გმირულ ისტორიაში, სულიერ აღზევებასა და განვითარებაში. სამი მზის მადლიც ამიტომაა დაშვებული მათზე. საგანგებოდ უნდა დავძინოთ, რომ მთქმელი „თეთრი მანგურისა“ და ქურიზიშვილების გამორჩეულობაზე ფაქტებით არ გვესაუბრება, აქცენტი შედეგებზეა გადატანილი. მკითხველმაც შედეგები უნდა გააცნობიეროს, უნდა შეძლოს იმ იდუმალებათა ამოც-

ნობა, რამაც პიროვნებისა და მთელი საგვარეულოს ამგვარი სრულყოფილებით წარმოჩენა განაპირობა, რასაც ასე სიღრმისეულად ატარებს ორივე კუთხის გმირული ისტორია თავისი მაღალი სულიერებით. ბალადაში „თეთრი მანგური“ ადამიანია საინტერესო, უფრო ზუსტად, ადამიანის დანიშნულება ფიზიკურ საუფლოში. ეს საკითხი ფილოსოფიურ ფიქრებსაც გვიჩენს და იგი აქტუალურია ქართული ფოლკლორისათვის. ამ აზრით, საინტერესოა ელ. ვირსალაძის დაკვირვება ფილოსოფიური ხასიათის ლექს-სიმღერებზე: „ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლექსებსა და აფორიზმებში უმეტესად ეთიკურ პრობლემებზეა მსჯელობა. აქ არის გადმოცემული ქართველი ხალხის შეხედულებანი ადამიანისა და მისი დანიშნულების შესახებ ამქვეყნად, წარმოდგენები ბუნებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, სიყვარულსა და სიძულვილზე... ფილოსოფიური ხასიათის ტექსტები ხშირად ქართული „სუფრული“ სიმღერების შინაარსს წარმოადგენდა. ამან არ უნდა გაგვაკვირვოს. ჩვენ ვიცით, რომ ქართული სუფრა, თავისი წეს-ჩვეულებათა მთელი კომპლექსით, არ წარმოადგენდა მხოლოდ ლხინისა და უსისტიემო ღრეობისათვის განკუთვნილ ადგილს. სწორედ აქ, თამადის დალოცვისა და მორიგი სადღეგრძელოების შემდეგ ადგილი ჰქონდა – უმეტესად ფილოსოფიური განსჯის შემცველ ლექს-სიმღერების, აფორიზმების შესრულებას“ (ვირსალაძე 1979: 6).

განმარტება აღარაა საჭირო, ქურაზიშვილების სამი მზის მაღლით მოსილ პურადობას, რომელიც ღრმა რელიგიური შინაარსითა და მაღალი მხატვრული ოსტატობითაა წარმოჩენილი, ქართული სუფრის ტრადიციებიდან იღებს სათავეს. ბალადა „თეთრი მანგური“ კი ორიგინალურ მიდგომას საჭიროებს. არცერთი მონადირე ზემოთ განხილულთაგან არაა მოხსენიებული სახელდებით, ისიც ამგვარი აღზევებული მდგომარეობით, თანაც ბუნდოვანებით. კონკრეტულ შემთხვევაში თეთრს ფიზიკური ფერის გაგება კი არ ახლავს, არამედ მასში განათლული, ნათლით მოსილი ადამიანი მოიაზრება. ამდენად, ბალადის შესავალი გასაღებია ნაწარმოების იდუმალებით მოცული შინაარსის ამოცნობაში. თუნდაც პირველი სტრიქონი: „სვანეთის საქებო თეთრო მანგურ“. დალის ციკლის მასალებდან არცერთი მონადირე არაა მოხსენიებული მთელი სვანეთის საქებად, ასეთი გამონაკლისი მიმართვა ერთადერთზე, ნათლით მოსილ მანგურზეა თქმული. ამ ერთი სტრიქონით მთქმელი ბევრ რამეს გვაგრძნობინებს, კონკრეტულად კი იმას, რომ ნათლით მოსილი მანგურის ტიპის ინდივიდიც ბუნებრივია, კარგი ცხოვრებით ცხოვრობს და ჩამოთვლილია სოფლები, რომ სანიავებელი წვირმში აქვს, პურის საშრობი იფარში, კალო – კალაში, სახნავი – ლახამულაში, სათიბი კი – შხარაში. იბადება კითხვა: როგორ, რა გზებითა და საშუალებებით მიაღწია მანგურმა ამგვარ აღმატებულ მდგომარეობას ადამიანთა საცხოვრისში? ჩვენ ვიცით, რომ ძველ დროში ოჯახს, გვარს, სოფელს, თემს მკაცრად შემოსაზღვრული ტერიტორია ეკავა. დავძენთ, რომ სასიცოცხლო სივრცის დაცვა დასაბამიდან დღემდე ადამიანთა მოდგმის უპირველესი ვალი იყო. ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზეც, მისი ხელყოფა კონფლიქტებისა და ომების მიზეზი ხდება. ასე რომ, პრობლემა

მარადჟამიერია. ძველ დროში კი საზღვრის გადაწევა ძმათა შორისაც დაჭრით, ცალკეულ შემთხვევაში კი მკვლელობითაც მთავრდებოდა. ნათქვამს ისიც უნდა დაუვმატოთ, რომ ადამიანთა ურთიერთობები უკიდურესად დაძაბული იყო, გვარი გვარს მტრობდა, თემი – თემს, ოჯახი – ოჯახს, სოფელი – სოფელს. ამგვარ გართულებულ სიტუაციაში ადამიანები მეზობელ სოფელში ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ, რომ ვინმეს შეურაცხყოფა არ მიეყენებინა, გზაში არ დახვედროდა, არ გაედარცვა ან არ დაეჭირათ და საფასურის გადაუხდებლობის შემთხვევაში ტყვედ არ გაეყიდათ ჩრდილო კავკასიაში. მკაცრად იყო დაცული ტყის მასივები, სამონადირეო ადგილები, საძოვრები და სათიბები. ამ ფონზე თითქოს მოულოდნელია, ალოგიკურიც თეთრი მანგურის ესოდენ მკვეთრად გამორჩეული, ადამიანური არსებობის ყველა სფეროში მიზანმიღწეული მდგომარეობა. თუმცა ეს არაა გასაკვირი, მანგური ხომ სხვათაგან განსხვავებული ინდივიდულობაა, ნათლით მოსილი, ღვთით ხელდებული. იგი უნივერსალური მოვლინებაა ადამიანთა საცხოვრისში, იმდენად, რომ მის უმთავრეს ღირსებათა შესატყვისის სისრულით წარმოჩენა და გააზრება გადაუღალავი სირთულეების წინაშე გვაყენებს. მთქმელი ხელშესახები ფაქტებითა და პერსონაჟის რაიმე თავგადასავლების აღწერა-დახასიათებით არაფერს გვეუბნება, მაგრამ იმგვარი პოეტური სტრიქონებით წარმოგვიდგენს მანგურის პიროვნებას, რომ მკითხველს უსაზღვრო შესაძლებლობები ეძლევა მისი ზეაღმატებული მდგომარეობის გასაცნობიერებლად – ნათლით მოსილ მანგურს ფიზიკურ შრომასა და გარჯაში მხარში უდგანან და ეხმარებიან სულიერი არსებები:

საფოცხად თურმე დევები გენვევიან,
სამკალად თურმე დალები გეხმარებიან.
(შანიძე ... 1939: 277)

დამონმებულ სტრიქონებში ღრმა სიბრძნეა ჩადებული, ადამიანური არსებობის ყოველნაირ ღირსებათა სრული სისავსის დამტვევი. მასში, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური და სულიერი ძალების თანახმიერი, ჰარმონიულად შერწყმული მრავალფეროვნებაა ამოსაცნობი, ზემხედველი სულიერებით განათებული აზრები. დევები ამირანიანის ვარიანტებსა და დალის ციკლის მასალებში დემონურ ძალებად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ მანგურის საუფლოში ბოროტება, როგორც ასეთი, არ არსებობს, იგი სიკეთედაა გარდაქმნილნი, აშკარაა, რომ მანგურზე ღვთიური მადლია გადმოსული. მისი საუფლო თავისუფლების საუფლოა. ბუნებრივია, რომ ამგვარ ინდივიდუალობას ხალხური მთქმელი პრაქტიკული ცხოვრების ყველა სფეროში ხელმომართულ, ყოველნაირად აღზევებული მდგომარებით წარმოგვიდგენს: მას კიდობნებად ვეებერთელა ქვაბები უდგას, ხოლო ქვევრები იმერული ღვინით აქვს სავსე. ამას მოსდევს მთქმელის ერთგვარი გაკვირვებითა და სიამაყით აღსავსე სიტყვები:

პური გაქვს, ო, ყირიმისა.
(შანიძე ... 1939: 277)

როგორც ვხედავთ, ვინროდ გაგებული ლოკალური სივრცე გარღვეულია. ნათლით მოსილ მანგურს ყველგან მიესვლება (უფრო ზუსტად, ყველგან მყოფია და – კონკრეტულად არსად). იგი ზეამაღლებულ ინდივიდად წარმოგვიდგება, სხვანიად არც შეიძლება, იგი ხომ „მინიერი სამოთხის“ ბინადარია, თავისი ფართო თვალსაწიერით მომავლის ადამიანი, ზოგადკაცობრიული შინაარსით დატვირთული. აქვე უნდა დავძინოთ, როცა ვამბობთ „მინიერი სამოთხე“, მხედველობაში გვაქვს ე. ელიზბარაშვილის საინტერესო ნაშრომი „ამქვეყნიური სამოთხის იდეა „დიგენის აკრიტაში“ (ელიზბარაშვილი 2003).

ზემოთ თქმულთან დაკავშირებით კი მცირე განმარტებაა აუცილებელი: მანგურს ქვევრები სავსე აქვს იმერული ღვინით, ხოლო პური აქვს „ყირიმისა“. რასაკვირველია, თანამედროვე მკითხველისათვის არამც თუ იმერეთი, ყირიმიც არ წარმოადგენს ძნელად მისაღწევ მხარეს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ისევ ძველი დრო, გვაროვნულ ურთიერთობაში მყოფი ადამიანების მძიმე, კარჩაკეტილი ცხოვრებისეული პირობები უნდა გავითვალისწინოთ, რომელთაც მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე უხდებოდათ შრომა, გარჯა და მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლა. უნდა შევძლოთ, მოხერხდეს მათი რთული ყოფიერების შუა გულიდან ამოსვლით მსჯელობა, დასკვნამდე მისვლა. ცხადია, აქ იმის გათვალისწინებათცაა აუცილებელი, თუ როგორია სვანურის, როგორც საერთო ქართული ტრადიციებიდან ამოზრდილი ტომობრივი ერთეულის განვითარების გზებისა და საფეხურების სპეციფიკურობა და თვით გვაროვნულ-თემური ურთიერთობის შიგნით მიმდინარე პროცესები, წეს-ჩვეულებებიდან მკაცრად ჩამოყალიბებული ფსიქიკა, მათი სიღრმისეული წვდომა, ანალიზი. ადამიანები ხომ მიჯაჭვულნი იყვნენ მათთვის განკუთვნილ სასიცოცხლო ტერიტორიას, ფლორასა და ფაუნას. ისინი, ცალკეული გამოწვევის გარდა, მთლიანად მონყვეტილნი იყვნენ მოსაზღვრე კუთხეებთან ურთიერთობას, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ დასახელებულ მხარეებს შორეულად თვლიდნენ, მით უმეტეს ყირიმს. ნათქვამთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ზევსის ბრძანება, რომ პრომეთე კავკასიონის ქედზე მიეჯაჭვათ. იქვე ვკითხულობთ: „ქვეყნის დასალიერად თვლიდნენ ბერძნები იმ მხარეს, სადაც კავკასიონის მარადთოვლიანი მხარე ეგულეობდათ... ჰეფესტომ სწორედ ამ, კავკასიონის კლდოვან ქედზე მიაჯაჭვა თავისი თანამოდმე (ბერძნული მითების სამყარო, „ლოგოსი“, 1998). „თეთრი მანგური“ თავისი სპეციფიკურობით იპყრობს მკითხველის ყურადღებას. იგი დალის ციკლის ყველა მონადირისაგან იმ ნიშან-თვისებებითაც სხვაობს, რომ მასში პიროვნულ ღირსებებზე მინიშნებაც კი არ გვაქვს, როგორც ეს ასე თვალში საცემია ცალკეულ მონადირეთა თავგადასავლების აღწერისას. მანგური ზოგად ადამიანური ღირსებებითაა მომხიზვლენი გმირი და არა – თემში, თუ სოფელში თავისი კაი ყმობით, შეუდარებელი სამონადირეო ხელოვნებით, მუხლმაგრობით, ამტანობითა და სხვა. ასე რომ, ნაწარმოებში წარმოდგენილი სოფლები და მხარეები პირობითია, იგი სცილდება ლოკალურ საზღვრებს და საზოგადო შინაარსს იძენს. მისი სამოქმედო არეალი მთელი სამყაროა და არა მხოლოდ კონკრეტუ-

ლად მითითებული ადგილები (ონიანი 2009: 289). ამდენად, ბუნებრივი ჩანს, რომ მანგურის სამყაროში ბოროტება გარდაქმნილია, ის სიკეთის სამსახურშია ჩამდგარი, მას ხომ „საფოცხრად დევები ენევიან“, ხოლო მოსამკალად დალები ეხმარებიან.

მართალია, ბალადა სამონადირეოა, მაგრამ შესავალი ნაწილი მთლიანად მანგურის მიწიერი შრომის ქება-დიდებას ეძღვნება, რაც მრავალმხრივაა საინტერესო და ბევრ საფიქრალს გვიჩენს. ამ აზრით, იგი გამონაკლისია დალის ციკლის მასალაში. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ვილაპარაკოთ „თეთრი მანგურის“ უნივერსალურობაზე, რომ შრომის უძველესი ფორმა ნადირობა მინათმოქმედებასთან ერთად სინთეზურადაა წარმოჩენილი მანგურის ბუნებაში, ორივე სფეროში შეუდარებელია, ამიტომაც იგი მთელი სვანეთის საქები. დავძენთ, რომ ამგვარი დასაწყისი ორიგინალურია, მას ანალოგი არ დაეძებნება სამონადირეო პოეზიაში. ეჭვი არ არის, რომ „თეთრი მანგური“ მითოლოგიურ პერსონაჟთა შორისაც საპატიო ადგილს ჰპოვებს. აი, ამგვარი, ყოველნაირი ღირსებით შემკული გმირი მიდის სანადიროდ:

ასე გასდგომიხარ გზას,
წასულხან ჯიხვზე სანადიროდ,
დაგლამებია თურმე გამოქვაბულში,
დაგინთია დიდი ცეცხლი,
ჯიხვის მწვადი შეგინვავს
ამ დროს დალი გსტუმრები.
(მანიძე ... 1939: 277)

ბალადის მეორე ნაწილი ბუნებრივი გაგრძელებაა პირველისა და მასში ნადირობასთან დაკავშირებული სირთულეებია უმთავრესი. აქაც თითოეული სტრიქონი დამოუკიდებელ დაკვირვებას საჭიროებს. ტექსტში პოეტური მეტყველების სტილია საინტერესო. მთქმელის ყურადღება გადატანილია არა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, არამედ ამბის განვითარებაზე, რომელიც ძალზე ლაკონურად, ტევადი აზრის შემცველი სიტყვებითა და სტრიქონებითაა მოწოდებული. მას არ ახლავს მანგურის, როგორც მონადირის რაიმე ნიშან-თვისების, თავგადასავლის აღწერა-დახასიათება. თანაც მთქმელი გადმოგვცემს ამბავს თითქოს სხვისგან გაგონილს, მონათხრობს ეუბნება მანგურს. დამონმებული ტექსტის თითოეული სტრიქონი ამ აზრის დადასტურებაა. თავისთავად იგულისხმება, რომ სანადიროდ გასული მანგური ხელმოცარული არ დაბრუნდება, მაგრამ სახლიდან გასვლის გადანყვეტილებასა და თვით ნადირობის პროცესზე არაფერია თქმული. ამბავი პირდაპირ მანგურისადმი მიმართვით იწყება: „ასე გასდგომიხარ გზას, წასულხარ ჯიხვზე სანადიროდ და გამოქვაბულში დაგლამებია“. ცხადია, იგულისხმება, რომ მანგურმა ჯიხვი მოინადირა და მერე შევიდა გამოქვაბულში, სადაც დაულამდა კიდევ. ეს ეპიზოდი ასეა გააზრებული მიხეილ ჩიქოვანის მიერ: „ბალადის მიხედვით ჯიხვებში მოსიარულე თეთრ მანგურს შემოალამდა და გასათევად

გამოქვაბულს მიმართა. გავიმეორებთ, ტექსტში პირდაპირ წერია, რომ ჯიხ-
ვზე სანადიროდ გასულ მანგურს გამოქვაბულში დაუღამდა. სხვა შემთხვევაში
ამგვარ სხვაობაზე შეიძლება არაფერი გვეთქვას, მაგრამ, როდესაც მანგურის
პიროვნებაზე ვსაუბრობთ, ამას მნიშვნელობა აქვს. მკვლევარი განაგრძობს:
„მანგურმა გააჩაღა ცეცხლი, ააგო მწავდი. ამ დროს დალი ესტუმრა. მშვიდო-
ბით მომიხველ, „თეთრო მანგურ“, ეუბნება კლდეების დედოფალი მონადირეს,
თანაც კითხვას უსვამს: „ჩემს გამოქვაბულში რისთვის მოსულხარ?“ „დამი-
ღამდა და რა მექნა? სამიჯნურო ქსელის გაბმას დალი მუქარით იწყებს: „ცუ-
დად გაგიშვებდი აქიდან, მაგრამ ასეთი ვაჟკაცი არ მემეტები“. სიბრალულის
სიტყვების მოსმენის გამო, შეშფოთებული მონადირე მცირედ დამშვიდდა“ (ჩი-
ქოვანი 1970: 44). როგორც ვხედავთ, დალისა და მონადირის შეხვედრა ძალზე
უჩვეულოა. მას არ უძღვის რაიმე პირობა ქალღმერთის მხრიდან, როგორც ეს
ჩვეულებრივ გვაქვს მონადირესთან შეხვედრის შემთხვევაში: საჩუქრის ბოძე-
ბა, გაფრთხილება, მუქარა და სხვა. ამ შეხვედრის თავისებურებათა ჩვენებამ-
დე იმის აღნიშვნა აუცილებელია, რომ თეთრი მანგური ცნობიერი პიროვნებაა,
მისი ყოველი ნაბიჯი, ქმედება, წინასწარაა გააზრებული, გათვლილი, ასევეა
კონკრეტულ შემთხვევაშიც. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ დალის გამოქ-
ვაბულში შევიდა. ეს კი უჩვეულო ქმედებაა – ფიქრითაც წარმოუდგენელი. თუ-
კი რომელიმე მონადირემ იცის დალის სამყოფ-სადგომი, ვალდებულია საიდუმ-
ლოდ შეინახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალღმერთის რისხვა გარდაუვალია
– მონადირეს დაღუპვა ელის. ასე რომ, დალის ნებართვის გარეშე მის გამო-
ქვაბულში ვერც ერთი მონადირე ვერ შევა. ნადირთ პატრონი გულთმისანია,
მან მონადირეზე ყველაფერი იცის. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ დალის
სამყოფ-სადგომს მოკვდავთაგან ვერავინ გაეკარება. ყოველი მონადირე, რო-
გორი სახელგანთქმულიც არ უნდა იყოს, თუნდაც დალის რჩეული, კრძალვითა
და ლოცვით უფლის გვერდს იმ მიდამოს, სადაც დალის გამოქვაბულია. სწორედ
ამ ფონზეა საინტერესო დალისა და თეთრი მანგურის შეხვედრა. ამ შეხვედრას
არანაირი სიმძაფრე არ ახლავს. ეს არაა შემთხვევითი. დავძენთ, რომ მანგური
არაა დალის საყვარელი. ამიტომ ეს ეპიზოდი საგანგებო, ორიგინალურ მიდ-
გომას საჭიროებს. როგორც ითქვას, ქალღმერთმა დალიმ ზედმინევენით კარგად
იცის მანგურის ვინაობა, რა ტიპის ინდივიდია იგი, რას წარმოადგენს. ესეცაა
იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მას სხვა მონადირეთა მსგავსად არ ეპყრობა.
მგავს ქმედებას დალი არცერთ მონადირეს არ აპატიებდა. მაგრამ ნათლით მო-
სილი მანგური მისთვისაც გამორჩეულია. ამიტომაცაა, რომ მასთან დიალოგი
სხვაგვარად წარიმართა. ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ დალის გამოქვაბულში
შესულმა მანგურმა ცეცხლი დაანთო და მწვადი შეწვა. უნდა ვივარაუდოთ,
რომ გარკვეულ რიტუალსაც შეასრულებდა. სწორედ ამ დროს შევიდა დალი
გამოქვაბულში:

თეთრო მანგურ, მშვიდობით მომიხვე!
რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?
– დამიღამდა, აბა რა მექნა?

(შანიძე 1939: 277)

როგორც ვხედავთ, ქალღმერთი დალისა და მანგურის შეხვედრა სპეციფიკურია. მისი სისრულით ამოცნობა და წარმოჩენა ნათელმოსილი მანგურის პიროვნულ ღირსებათა უნივერსალურობაშია საძიებელი, იგი ხომ ნუთისოფლის ამაობასა და ყოველდღიურობაზე ამალღებელი, უფრო ზუსტად, ზემხედველი ინდივიდუალობაა, ფართო თვალსაწიერის. მისთვის კუთხური კარჩაკეტილობა უცხოა, მისი საზღვრები გარღვეულია იმ დონეზე, რომ მკითხველის ცნობიერებაში ზოგადკაცობრიული ინტერესებით დატვირთული მითოსური გმირია წარმოდგენილი, რომელშიც ადამიანთა მოდგმისათვის მესიტყვე ძალზე შორსმხედველი პიროვნებაა დასაწახი. ამიტომ ბუნებრივად ჟღერს დალის კითხვაზე: „რატომ მოხვედი ჩემს გამოქვაბულში?“, მანგურის წრფელი პასუხი: „დამიღამდა, აბა რა მექნა?“ ვერც ერთი ზემოთ განხილული მონადირეთაგანი მსგავს პასუხს ვერ გასცემდა. არცაა მოსალოდნელი, ვინაიდან ნადირთ პატრონის ნებართვის გარეშე გამოქვაბულს ახლოსაც ვერ გაეკარებოდა. ე.ი. ის, რაც სხვათათვის დაუშვებელია და შეუძლებელი, მანგურისათვის ბუნებრივი ჩანს. ჩვენ სრულიად განსხვავებულ, სხვა სულიერი სიმაღლის მქონე პერსონაჟთან გვაქვს საქმე. ასე რომ, თეთრი მანგური ყველგან და არსებობის ყველა სფეროში ორიგინალური მოვლინებაა, მისი ქმედებათა განსჯაც მაღალი სულიერების დონეზეა შესაძლებელი. დავძენთ, რომ დალთან მისი ურთიერთობა თანაბარი უფლებით წარიმართა. მრავლის მეტყველია ქალღმერთის სიტყვები მანგურის პასუხზე:

ასვლა დაბრუნებას ცუდს მიზამდი,
მაგრამ ამისთანა ადამიანი მენანები.
(შანიძე 1939: 277)

ე.ი. თვით დალიც თეთრი მანგურის განსაკუთრებულ ღირსებებზე მიგვანიშნებს. მართალია, ნაწარმოების მომდევნო სტრიქონები მოგვითხრობს ქალღმერთი დალის მიერ სიყვარულის შეთავაზებაზე, მაგრამ მას არ ახლავს მუქარა. ეს კი მრავალმხრივია საინტერესო. აქაც აშკარად იგრძნობა მანგურისადმი განსხვავებული დამოკიდებულება. რასაკვირველია დალი დარწმუნებულია თეთრი მანგურის ნებელობის სიძლიერეში, ამიტომ მხოლოდ მიმართავს, რომ საიდუმლო არ გაამჟღავნოს და აღუთქვა:

როცა დიდი გაჭირვება დაგადგეს („მოგივიდეს“)
მაშინ ჩემი სახელი ახსენე,
გვერდში მდგომად გამოგადგები,
ჯიხვსა და არჩვს არ დაგიძვირებ.
(შანიძე 1939: 277-279)

დამონმებული ეპიზოდი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. დალი თეთრ მანგურს ფიზიკურ საჩუქარს კი არ სთავაზობს, რომელიც მისივე არ-

სების განივთებული ნაწილია, არამედ მხოლოდ სახელის ხსენებას. ე.ი. ქალღმერთმა სიტყვის ძალით დააჯილდოვა მანგური და არა მძივით, მაკრატლით ანდა სხვა ნივით. ეს კი ყველაზე მაღალი ჯილდოა და, ამასთანავე, ერთადერთი დალის ციკლის მასალაში. ასეთი ღვთიური მადლი მხოლოდ და მხოლოდ მანგურზეა დაშვებული. შინისკენ მიმავალს, მართლაც, სვავეები დაესხმიან თავს. რვა, ცხრა კაცს კლავს, მასაც დაჰკრეს. სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლზე მდგარმა მუხლი მოიყარა და დალს შესთხოვა დახმარება (ონიანი 2009: 386):

აბა, დალო, სადა მყავხარ?
 მე სავები მკლავენ!“
 გამომხტარა ჭიუხიდან
 დალი მანგურის საყვარელი,
 იფნის შტო ხელთ ჰქონია,
 დარეგია სავებს,
 მოამბედ ერთიც არ დაუტოვებია.
 მანგურს ერთი ფრთა მოუსვა,
 ჭრილობა მოურჩენია.
 ჯანსალი (გამრთელეებული) შინ გაუშვია.
 (შანიძე 1939: 279)

